

ქვირის პალიტრა



წავიდა თუ არა
ვისტრადიდან
თემურ ნიკლაური

N24(53) 14/VI.-20/VI.2001. ჟანი 60 თ.

ნეკლოტი, როლის გამოც
ნისუბეს პარლამენტარებმა



ისი ოცნება სასდინა მარტი ჯანაშია



*ცნობილი „უცნობი“
გია გაჩეჩილაძე:*

**... მერა ის გოგო მეორედაც
მოვიტაცა... იქ რაღაც სულელური
სცენები გავითამაშეთ — ვითომ
ჩხუბი მოგვივიდა, გოგო მანქანაში
ჩავსვით და მოვიტაცეთ. მებრამ...
ისევ დავაბრუნე: ისევ „შემაბა“...**

გვ.15



„ყველა ინსტანციაში გვყავს საინფორმაციო წყარო...“



კანცელარიაში ისეთ საინფორმაციო წყაროებთან მაქვს კავშირი, სანამ პოლიტიკოსები გაიფიქრებენ, მანამდე ვიცი, ვინ რას იტყვის. ყველა თანამდებობის პირს აქვს თავის თქმონებზე კომპრომატები. და არის წუთები, როცა ყოველი მათგანი მზად არის, მოგაწოდოს ისინი.

7

მინიატურები

„... ორივე წყალში ჩაბვყარვინა...“ 3
ხელისუფლება

პარლამენტი მოღვათის საჩვენებელ
სალონად ან სასიროკო არენად
არ უნდა გადავაქციოთ 4

კოლეგა

ეკა ხოფერიძე:
„ყველა ინსტანციაში გვყავს
სანდო საინფორმაციო წყარო...“ 7

მსახიობი

თემურ წიკლაური:
„ღავთქვით შეხვედრა და
გადაწყვეტილი: ტყვიას აერხია,
ვის - გოგო და ვის - სიკვდილი“ 10

ოჯახი

გუბერნატორმა სასიამორო
ნარდის თამაშით დაატყვევა 13

ვიკილი სიყვარული

„გეროელას მოვიტაცე და
ისევ ღავაბრუნე: ისევ „შემაბა“ 15

ანტიდაკრძანები

ინფორმაციულ-შეგნებათითი
კოლაქი გოგა ღვალის
უბის წიგნაკიდან 16

ნაფიქვილი აგაპი

თვალის კაჭუნი -
თაყვანისმცემლის მოგერიების
საუკეთესო ხერხი 16

ფსიქიკი

საქართველოს პროვინციაში
საროსკიპოები მომრავლდა 18

კრიმინალი

- ნოშრევიან ფერაძეს
ღაგარაღებულები, ბიძაშვილის
ბარდა, საკუთარი მამის
მკვლელობაშიც აღანაშაულებენ 20
- „გესტაპო“ თბილისის ქუჩებში 22

პირადი ხსოვნება

მარი ჯანაშია:
„ბავრს ვხეშობოლით - მე
ბავროლი, თემო გაკავებდა“ 25

ვეკვიდრობა

გუბალაშვილების შთამომავალი
სათნოების სახლში საბაღლოდ
საღილობს 28

ფსიქოლოგიური თამაში

რამდენად კარგად
იმახსოვრებთ სიფრებს 31

საყვარელი

მოსეკვავე და მომღერალი
ღვინო 32

გადაწყვეტილი: ტყვიას აერხია, ვის - გოგო და ვის - სიკვდილი

მონაცვლეობით „ეთოფავლით“
ერთმანეთს. გვეყვებისაგან ასხლე-
ტილი კლდის ნაგებებით სულ და-
გვეკაწრა სახე. მესამე, მეოთხე გა-
სროლის შემდეგ ორივე მივხვდით,
რომ ერთმანეთის სიკვდილი არ
გვინდოდა.



10

პარლამენტი მოღვათის საჩვენებელ სალონად ან სასიროკო არენად არ უნდა გადავაქციოთ



მანდატურს აქვს ოფიციალუ-
რი ფორმა. ჩვეულებრივ, ევროპუ-
ლ ფრაკში ძველი ეროვნული
ელემენტები გამოყენებული. თვი-
თონ ეს სამოსი იმდენად თვალში
საცემია, რომ მანდატურის გამო-
ჩენაც კი საკმარისი უნდა იყოს,
რომ ხელჩართული ბრძოლა მაშ-
ინვე შეწყდეს!..

4

„ტყვია თოფიდან შემთხვევით გაამიგარდა“

შემზარავი დანაშაულის მსხ-
ვერპლი 24 წლის შავლეგ ფერაძე
აღმოჩნდა: იგი ღვიძლი ბიძაშვი-
ლის მიერ გასროლილმა გყვიათ
შეიწირა. ნოშრევიან ფერაძეს, რო-
მელსაც ამ საშინელი ქმედები-
სთვის ასამართლებენ, ნათესავე-
ბი საკუთარი მამის მკვლელობა-
შიც აღანაშაულებენ.



20

წილანები

ღავით და კონსტანტინე მხეიძეები
წილანებად უშიშარი
ალსარებით ქსეულნი 34

ისტორიის გაკვეთილები

1922 წლის ეროვნულ-
განმათავისუფლებელი
აჯანყება ხევსურეთში 35

სკანდალური ქრონიკა

ფერადკანიანი ქალების
მოყვარული ბორის ბეკერი 38

ტესტი

ერთგული მკითხველი 40

მოგზაურის დღიურები

როგორ გავიხსენი ავსტრიის
ბრილიანტი – ადელაიდა 41

უაპოწმეთ თქვენი სოფლი

ტესტი ერულინიამე 43

პარსკვლავი

ელისონ ისტვულს მაგის დიღება
მოსვენებას არ აძლევს 44

რომანი

ნიკო აშკარელი.
ბელისწერა (ბაბრქელა) 46

ავტო

50

ავტო-მოტო

51

მოტო

52

ესკიზები

ღაპარბული სამოთხის
მაკიებალი, შეშინებალი
თაობის შვილი 54

ჯანვრთალოა

- ამეზიამი 56
- გაქვთ თუ არა დიფუზური
ტოქსიკური ნიყვი? 57
- თუ უხეი ბიოლოგიანღებათ 57

სოხსალი ლეგანდა

ჰიპერსექსუალი ინტელექტუალი 58

სასარგებლო აზრები

აფორიგმების ენციკლოპედია 60

სკანდორდი

61

ჰოროსკოპი

ჰვირის (18-24 ივნისი)
ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

ხართ თუ არა მომჭირნე? 63

კალენდოსკოპი

ჰრელ-ჰრელი ეგებები 64

გარეკანა: ბიორგი შორშოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთი „ჰვირის კალიტრის“ ღამათება
შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

**როგორ გავიხსენი ავსტრიის
ბრილიანტი – ადელაიდა**



სასტუმროს გვერდით, სადაც
ვესტრობდი, გზავარდინი იყო,
რომელმაც მოძრაობას პოლიცი-
ელი ქალი არეგულირებდა... ქუ-
ჩაზე რომ გადავდიოდი, მუდამ
მიღიმოდა ხოლმე, რაც ძალიან
მსიამოვნებდა... ჩემი თავი აღენ
დელონი მეგონა...

41

**ზუგაღუპილების უთაბოგაგალი სთ-
ნოების სასტუო საგდლოდ სადილოს**

როგორია – ახალგაზრდა ქალი
დიღამდე ელოდოს კარგის მოყ-
ვარულ ქმარს?!.. ამიგომანაა, რომ
ბავშვთა პირველ კლინიკურ საა-
ვადმყოფოში კაზინოსა და სასტუმ-
როს გახსნის სასტიკი წინააღმდე-
გი ვარ: ვერ ვიგან ამ დაწესებულე-
ბებს.



28

**ჰიპერსექსუალი
ინტელექტუალი**



ოთხი წლის წინ მან მეშვიდედ
მოიყვანა ცოლი. მისი რჩეული
ამჯერად გელეწამყვანი შოუნ საუ-
სიკი აღმოჩნდა, რომელიც 26
წლით არის ქმარზე უმცროსი. მას-
თან შეუღლების პერიოდში ღარი
გულმა შეაწუხა. ცერემონია, ახლო-
ბელთა ვიწრო წრეში, მაინც შედგა
– სამედიცინო ცენტრში.

58

ბელონსწერა

– არა, რუსუდან მასწავლებელი,
– მუღარით ამბობდა ნინო. – ასეთ
ძვირფას საჩუქარს ვერ მივიღებ...
იქვე მღვარმა თამარმა ვერ მოი-
თინა და ქალიშვილს მივარდა:
– როგორ შეიძლება, შვილო,
შენს გამზრდელ მასწავლებელს ამ-
დენი ახვეწინო?! გამოართვი და
მადლობა უთხარი!



46

„... არივ ნყაღში ჩავყარევი...“

ზაფხულის ზეატი ჩამოწვა თბილისში... ზანტად მიდი-მოდინ თბილისელები მშობლიურ ქალაქში და იმათ შენატრიან, ვინც უკვე მოასწრო ან ახლა ემზადება აგარაკებზე წასასვლელად.

სამაგიეროდ, ქართველი პარლამენტარები არ იცვლიან ფეხს დედაქალაქიდან და ჯერ არსმენილ კვორუმებს აფიქსირებენ პლენარულ სხდომებზე: ეს ახალი საგადასახადო კოდექსიო, ეს პრემიერ-მინისტრის პოსტი, მისი უფლებები და შესაძლო კანდიდატურებიო, ეს ესაო, ის ისაო... არადა, პარლამენტის სხდომათა დარბაზში შესული უცხო კაცი მაშინვე მიხვდება, რა არის პოლიტიკოსთა ასეთი უეცარი გაბეჯითების მიზეზი – იქ ისეთი სიგრილეა, რა წყნეთი და რის ბაზმარო. აბა რა სჯობს, როდესაც სიამოვნების მიღებასთან ერთად, დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებ (თუნდაც შენდა უნებურად)?! ამიტომაც იყო გასული კვირა განსაკუთრებით ბობოქარი პოლიტიკური მოვლენებით აღნიშნული ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც საგადასახადო კოდექსის ის პროექტები და მასთან დაკავშირებული დისკუსიები იყო, რომელიც „მოქალაქეებმა“ და „არამოქალაქეებმა“ დაუპირისპირეს ერთმანეთს – პირველნი ამტკიცებენ, დამატებითი ღირებულების გადასახადი, ე.წ. დღგ ჩვენი ბიუჯეტის შევსების ერთადერთი წყაროაო (ოღონდ ამ „ჩვენში“ რას გულისხმობდნენ, არ დაუზუსტებიათ), მეორენი კი – ლუდის, ღვინის, სიგარეტის, დაზღვევისა და სხვა „მამები“, ამ დღგ-ს შემცირებას ითხოვენ (ისე, დღგ-ს ზოგიერთი ასეც შიფრავს: „ღიდი ღორების გასაძღომი“)... თუმცა ეს მხოლოდ ერთი საკითხი იყო იმ რვიდან, რომელიც ცვლილებების სახით წარმოადგინა ო-პოზიციამ.

ერთი სიტყვით, ცოტათი ერთმა ჩაიწია, ცოტათი მეორემ და... ვერც ერთი ვერ დაეჭია.

სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ვიღაცამ თეთრი მანდილი უნდა ჩააგდოს გასაშველებლად და ამ თეთრი მანდილის როლს პოლიტიკური დისკუსიების დროს ხშირად ე.წ. „ალტერნატიული ვარიანტი“ ასრულებს ხოლმე. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ჯერ არ გამოჩნდა ის „მესამე ძალა“, რომელზეც კარგა ხანია ლაპარაკობენ და რომელიც სწორედ გამშველებელ-მომრიგებლის მისიას იკისრებდა.

ჰოდა, აგერ არ ვარ „მესამე ძალა“ და „გაჭირვების ტალკვესი“?! თანაც მზამზარეული საგადასახადო კოდექსის პროექტიც მაქვს – ქართულ სინამდვილეზე მისადაგებული – მხოლოდ რამდენიმე

ძირითად პუნქტს გაგაცნობთ.

დღგ (აბრევიატურის გაშიფვრის რომელი ვარიანტიც გნებავთ, ის აირჩიეთ) შემცირდეს 15%-მდე ბიზნესის ყველა სახეობაზე, გარდა სამეწარმეო მოღვაწეობის შემდეგი სფეროებისა:

1) ქრთამის აღება – 100 ათასამდე დაიბეგროს 20%-ით, 100-დან 150 ათასამდე – 25%-ით, 150 ათასიდან ზევით – 30%.

2) უკანონოდ პრივატიზებული მიწებისა და შენობების ქონებრივი გადასახადი გაიზარდოს მათი საბაზრო ღირებულების 1,5%-მდე ყოველწლიურად.

3) „ქაღალდზე“ ჩატარებული ტენდერიდან მიღებული თანხის „ატკატი“, ანუ „საქმის გამკეთებლისთვის“ დასაბრუნებელი თანხა გაიზარდოს 50%-მდე, ხოლო ამ უკანასკნელმა მისი ნახევარი შეიტანოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

4) ყოველმა ავტონისპექტორმა, ყოველი აღებული ათი ლარიდან სამი შეიტანოს პოლიციის ფონდში, რომელიც შსს მაღალჩინოსანთა ოჯახების კეთილდღეობას უზრუნველყოფს – ოღონდ

საგზაო პოლიციის მუშაკებს კატეგორიულად აეკრძალოთ ხუთ ლარზე ნაკლების აღება თითოეული მძღოლისაგან.

5) საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე თითოეული ხმა შეფასდეს 10 ლარიანი ნომინალით, ამის შემდეგ გაიმართოს აუქციონი კანდიდატთა შორის და გამარჯვებულმა ყოველ საარჩევნო უბანში მიიტანოს შესაბამისი თანხა, რომელიც ამომრჩევლებს გაუნაწილდებათ მათი ბიულეტენების შემოწმების შემდეგ.

სხვაც ბევრი სიახლე მაქვს მოფიქრებული, მაგრამ ჯერჯერობით ეს ვიკმართ, თორემ დაზოცვს ერთმანეთი დავითაშვილმა და თოფაძემ.

P.S. როდესაც საპარლამენტო დებატებს ვუსმენდი, ერთი თბილისური ქუჩურ-სკაბრეზული სიმღერა მახსენდებოდა სიღერებზე, უფრო სწორად – მისი პერიფრაზი:

– ჩემი პროექტი შენსას სჯობია!


– არა, ჩემი სჯობს შენს!..“

მე კი გულში მისამდერს ვლიდინებდი:

„ორივე წყალში ჩასაყრელი ხართ.

თქვენც დაისვენებთ, ჩვენც!“

პროპოკატორი





პარლამენტი

მოდების სარქველელ სალონად ან სასიჩქო პრენად არ უნდა გადავაქციოთ

ქეთი სეზიაშვილი

— რამ განაპირობა პარლამენტში მანდატურის სამსახურის შექმნა და გარკვეულნილად, დამსჯელი ფუნქციები სომ არ ექნება მას?

— არავითარ შემთხვევაში! თუმცა ზოგიერთ პარლამენტარს ჰგონია, რომ მანდატური მათ დასჯის. ასე არ არის. მაგალითად, აშშ-ის კონგრესში მანდატურს ანუ „მემორანდუმს“ (იქ ასე ეძახიან) ევალება, რომ უზრუნველყოს კონგრესმენის იძულებითი წესით გამოცხადება სხდომაზე. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს პარლამენტარის ან სენატორის ქუჩაში ძებნას და მისთვის ხელბორკილების დადებას. უბრალოდ, „მემორანდუმს“ უნდა დაადგინოს, სად იმყოფება კონგრესმენი და რატომ არ ესწრება სხდომას. სხვათა შორის, იქ კონგრესმენი ვალდებულია, რომ თვითონ კონგრესს ან ამომრჩეველს ოფიციალურად მოუხადოს ბოდიში, რაღაც მიზეზების გამო სხდომებს რომ ვერ ესწრებოდა. ისე, წინა მოწვევის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესული იყო მუხლი, რომლის თანახმადაც, თუ დეპუტატი სხდომაზე დაივიწყებდა, უნდა მისულიყო თავმჯდომარესთან და ბოდიშის ნიშნად, თავი მოეხარა. ეს მუხლი საერთოდ გააუქმეს.

— რატომ, ვინ გააუქმა?



როდესაც დეპუტატებს შენიშვნას ვაძლევთ, სწყინთ და — ბარემ, მშობლებიც მოგვაყვანინეთო, გვეუბნებიან ხოლმე

— ვინ და დეპუტატებმა: იუკადრისეს ბოდიშის მოხდა და იმიტომ! საერთოდ, ჩვენს პარლამენტში ხომ ჩვეულებრივ ამაღ ითვლება გაურკვეველი მიზეზებით სხდომების გაცდენა — თანაც, დეპუტატი, გინდაც მოვიდეს სამსახურში, როგორც კი რაიმე არ მოეწონება ან რამეზე განაწყენდება, მაშინვე ტოვებს სხდომათა დარ-

ყველაზე კონფლიქტური და ფიცხი პარლამენტარები ალბათ ძალიან უკმაყოფილონი იქნებიან იმის გამო, რომ პარლამენტში მანდატურის სამსახური შეიქმნა: ახლა, დიდი სურვილის მიუხედავად, ვეღარც „ბორჯომის“ შესვლებით გაუმასპინძლებიან ერთმანეთს და ვეღარც ტელეფონის ყურმილს ესვრიან კოლეგებს. წარმოიდგინეთ, შედარებით უწყინარ — სიტყვიერ შეურაცხყოფასაც კი ადვილად ვეღარ გაუბედავენ ერთმანეთს. პარლამენტართათოველ ნაბიჯსა და სიტყვას, მალე მათი ჩაცმის სტილსაც კი, უკვე რვა თვეა, რაც მანდატურის სამსახური აკონტროლებს. მისი უფროსი, ბატონი ალექსანდრე ჯიბლაძეც პირობას დებს, რომ პარლამენტის წევრთა (და პარლამენტში შემოსული ნებისმიერი პირის!) ქცევის საკმაოდ მკაცრი მეთვალყურე იქნება.

ბაზს. ეს, რა თქმა უნდა, არ მეტყველებს პარლამენტართა დაბალ შინაგან კულტურაზე. უბრალოდ, საპარლამენტო ცხოვრების წესი და ტრადიციები დროულად უნდა დაგამკვიდროთ, თორემ დეპუტატები როგორც ახლა, მერეც ყოველთვის უდისციპლინო მოსწავლეებს დაემსგავსებიან. როდესაც დეპუტატებს შენიშვნას ვაძლევთ, სწყინთ და — ბარემ, მშობლებიც მოგვაყვანინეთო, გვეუბნებიან ხოლმე. ზოგს ჰგონია, რომ ეს უმნიშვნელო რამ არის, არადა, სახელმწიფო სწორედ აქედან იწყება.

— კონკრეტულად, მაინც რა ევალება მანდატურის სამსახურს?

— სხდომების დროს დარბაზში წესრიგის დაცვა. პარლამენტის წევრების აღრიცხვა, ასევე ხმის მისაცემი პულტების გამოყენებაზე ზედამხედველობაც, თუმცა ეს საკითხი ჯერჯერობით დარეგულირებული არ არის, რადგან ნახევარ წუთში ძალიან ძნელია, 235 კაცში შეამოწმო, ვინ ვისი პულტი გამოიყენა. ამიტომაც დღის წესრიგში დგება, რომ ხმის მისაცემი პულტები სწორედ მანდატურმა გასცეს და სხდომის დამთავრების შემდეგ თვითონვე ჩაიბაროს.

— სხდომების დროს დეპუტატებს ეკრძალებათ მობილური ტელეფონებით სარგებლობაც. თუ ემორჩილებიან პარ-

ლამენტარები მანდატურის ამ მოთხოვნას?

— როგორ არ ემორჩილებიან! მანდატურს შეუძლია ურჩ დეპუტატს მობილური ტელეფონი ჩამოართვას, მაგრამ ასეთი მკაცრი ზომები ჯერჯერობით არ გამოგვიყენებია. პარლამენტის წევრები გაგებით ეკიდებიან ამ მოთხოვნას: ვისაც შენიშვნით მივმართეთ, ყველამ აქეთ მოგვიხადა ბოდიში. როდესაც სხდომას ესწრები და მობილურით საუბრობ, ეს იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო ცხოვრებაში ვეღარ მონაწილეობ და დარბაზში ფიქტიურად ზიხარ.

— საერთოდ, პარლამენტარები უფრო ძნელი დასამორჩილებლები არიან თუ უწინაღობები?

— სხვათა შორის, პრობლემები არც ერთი მხრიდან არ გვექმნება. მანდატურის სამსახური მართლა დამსჯელი რაზმი ხომ არ არის! ძველ საქართველოში მანდატურთან ქართული სახელმწიფოს უმაღლესი სამოხელეო ინსტიტუტის ზნეობრიობა და ტრადიციები იყო გათვალისწინებული. დღესდღეობით კი ამ სამსახურის სტრუქტურა ასეთია: მანდატური, რომლის დაქვემდებარებაშია სამი წამყვანი მანდატური (დარბაზში უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარის მითითებებს ასრულებენ), 4 უფროსი მანდატური (სტუმრების მიღება-გაცილების საკითხებს ავარებენ) და ორი სპეციალისტი (დეპუტატების გაცდენებისა და კენჭისყრაში მონაწილეობის შედეგებს აჯამებენ). მანდატურებისა და პარლამენტართა ურთიერთობა უფრო მეტად, გაგებასა და ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული. როდესაც პარლამენტის წევრებს შორის კონფლიქტური სიტუაცია იქმნება, ჩვენ ვაღიარებთ ვართ, განვმუხტოთ ეს სიტუაცია, საჭიროების შემთხვევაში კი, დარბაზიდან გავიყვანოთ მოჩუბარი პარლამენტარები. იყო ფიზიკური შეხლა-შემოხლის რამდენიმე შემთხვევა: ერთხელ — ვახტანგ რჩეულიშვილისა და მოქალაქეთა კავშირის წევრების, მეორედ კი — იმავე „მოქალაქეების“ და ფრაქცია „XXI საუკუნის“ წევრების კონფლიქტში ტაქტიანად ჩავერიეთ და სიტყვიერი თხოვნა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ორივე მხარე დაშორდებოდა. აბა, სხვა რა უნდა ვქნათ — ჭიდაობის ილეთებს ხომ არ გამოვიყენებთ და ჩხუბში მუშტი-კრივით ხომ არ ჩავერევით?!

— თქვენს სამსახურს სპე-

ციალური ფორმაც აქვს.

— დიას, მანდატურს აქვს ოფიციალური ფორმა. ეს არის ცნობილი დიზაინერის აბრამ ბაზელის მიერ შექმნილი მოდელი: ჩვეულებრივ, ევროპულ ფრაკში ძველი ეროვნული ელემენტებია გამოყენებული. თვითონ ეს სამოსი იმდენად თვალში საცემია, რომ მანდატურის გამოჩენაც კი საკმარისი უნდა იყოს, რომ ხელჩართული ბრძოლა მაშინვე შეწყდეს... პარლამენტარის უღირს საქციელს შემდეგ საპროცედურო საკითხთა კომიტეტი (ხელმძღვანელი — როლანდ გილიგაშვილი) განიხილავს და ამიტომაც, არავის სურს, რომ მეორე დღეს (მით უმეტეს, ჩვენი პრესისა და საზოგადოების კრიტიკული დამოკიდებულების პირობებში) კომიტეტის სხდომაზე მისი პიროვნება და საქციელი საყოველთაო მსჯელობის საგნად იქცეს.

— ალბათ, კურიოზიც ბევრი იქნებოდა...

— რამდენიც გნებავთ. ერთხელ ვახტანგ რჩეულიშვილმა პარლამენტში გამოსვლის დროს ერთი ასეთი ანეკდოტი მოგვიყვია: გაუპატიურების შემდეგ „დაზარალებულ“ კაცს ჰკითხეს: კი, მაგრამ ეგ ქამარ-ხანჯალი რაღად გინდა, სულ თან რომ დაატარებო?! — რატომ და, ვაითუ ვინმემ შეურაცხყოფა მომაყენოს?.. დარბაზში ყველას სიცილი აგვივარდა. ამ დროს ივერი ჭელიძე იქ არ იმყოფებოდა, სადეპუტატო ოთახიდან ადევნებდა თავს დასწრის სხდომას. შემოვიდა დარბაზში, აღელვებული „მიეჭრა“ რჩეულიშვილს და უსაყვედურა: ეგ ანეკდოტი როგორ თქვი და სვანებს როგორ დასცინე?!.. ყველანი გოცნებები დარჩნენ: სვანებზე ნამდვილად არავის არაფერი უთქვამს და ახლა ბატონი ვახტანგიც ძალიან განაწყინდა. ამ უწყინარი ეპიზოდის გამო ერთი ამბავი ატყდა. იძულებული გავხდი ჩავრეულიყავი, მაგრამ თენგიზ გავდელიანი რომ არა, ალბათ მაინც ვერაფერს გავხდებოდი. ბატონმა თენგიზმა თქვა: ამ უხერხულ ანეკდოტს მაინცდამაინც სვანებს ნუ მივაწერთ — ხანჯალს მართლ ჩვენ კი არა, ხევსურებიც ატარებენ და შეიძლება მათზე იყო ნათქვამი...

— უწინაღობებთან ურთიერთობაზე რას იტყვი?

— პარლამენტში აკრედიტებულმა უწინაღობებმა დარბაზში მათთვის განკუთვნილი ადგილები უნდა დაიკაონ, თავიანთი საქმიანობით არ უნდა მიიქციონ ვინმეს ყურადღება და არ შეეხონ



ჩვეულებრივ, ევროპულ ფრაკში ძველი ეროვნული ელემენტებია გამოყენებული

სხვის უფლებებს. თუ რომელიმე ურჩი უწინაღობის მანდატურის შენიშვნებს არ გაითვალისწინებს, მას აკრედიტაცია შეუწყდება. ჩვენს უწინაღობებს კი შენიშვნას რომ აძლევ, ჰგონიათ, თითქოს ვინმე მათ უფლებებსა და პრესის თავისუფლებას არღვევს. ერთი რამეც უნდა ვთქვა: სხდომათა დარბაზში უწინაღობის შემოსვლა პოლიუმზე გამოსვლას არ უნდა ჰგავდეს! ზოგი მათგანი მართლაც ისე იცვამს, გეგონება, მოდების საჩვენებლად არის მოსული. ამის შესახებ ოფიციალური საუბარი გვექნება პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობასთან და თვითონ თავმჯდომარესთანაც.

— ამ საკითხზე ასე განსაკუთრებულად რატომ წუხნართ? პარლამენტის წევრებს ყურადღება ხომ არ ეფანტებათ ხოლმე?

— დიას! ჯერ ერთი, დეპუტატებს ყურადღება მართლაც ეფანტებათ, მეორეც — სხდომათა დარბაზი ექსტრაგანტური ტანსაცმლის საჩვენებელ სალონს ხომ არ უნდა დაემსგავსოს?! ისე, ვისაც ამის თაობაზე დელიკატური შენიშვნა მივეცი, ყველამ უწყინრად მიიღო. პარლამენტი გონებისა და აზრთა ჭიდილის ადგილია და ამიტომაც სპორტულ დარბაზად ან საცირკო არენად არ უნდა გადავაქციოთ! ეს უპირველესად, თავად

პარლამენტარებს ეხებათ: პარლამენტის წევრებისთვის განსაზღვრული უნდა იყოს ჩაცმის საერთო წესი. მაგალითად, ინგლისში პარლამენტარები სხდომათა დარბაზში აუცილებლად მუქი ფერის ტანსაცმლით ცხადდებიან. ჩვენთანაც ასე რომ იყოს და დეპუტატებმა სპორტული ტანსაცმლით რომ ვეღარ იარონ სესიებზე, უნდა მივიღოთ კანონი პარლამენტის წევრთა ქცევისა და ეთიკის შესახებ.

— **ბატონო ალექო, თქვენს სამსახურში მხოლოდ მამაკაცები ალბათ იმიტომ გყავთ, რომ გეშინიათ, დეპუტატების ყურადღება ყურნალისტ გოგონებთან ერთად, მანდატურმა ქალებმაც რომ არ მიიქციონ?**

— ისე, ხშირად კი გვეკითხებიან ხოლმე, რატომ არ გყავთ სამსახურში სუსტი სქესის წარმომადგენლებიცო. რა ვიცი, თავიდან რატომღაც ვიფიქრეთ, რომ მანდატურის სამსახურში ქალები ნაკლებად გაამართლებდნენ... თუმცა, ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პრაქტიკანტები გვყავდნენ და ორმა გოგონამ პრაქტიკის გაგრძელების სურვილი გამოთქვა. ასე რომ, ქალებთანაც დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებთ, რატომაც არა?!

— **როგორც ვიცი, პარლამენტის წევრებს გაცდენებისთვის**



ხელფასი მცირე მაქვს, შრომა ყოველდღიური, პასუხისმგებლობა – დიდი!

გარკვეული მატერიალური სანქციებიც დაუნწეეთ. რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა ასეთი დასჯა?

— უმიზეზო გაცდენებისთვის მათ სადეპუტატო შემოსავლის 15% ექვითებათ, მაგრამ ამ სანქციისთვის ჯერ არ მიგვიმართავს. საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა მოქმედ რეგლამენტში შესატანად ცვლილებები შეიმუშავა. 15%-იანი ჯარიმის მაგივრად, თითოეულ გაცდენილ დღეზე დაწესებული იქნება განსაზღვრული თანხა (დაწესებული 10 ლარიდან). მართლა ასე რომ იყოს, ადვილი შესაძლებელია, ზოგიერთმა პარლამენტარმა, ვინც იშვიათად ან საერ-

თოდ არ ესწრება სხდომებს, ხელფასი საერთოდ ვეღარ აიღოს?

— **კი, მაგრამ შეიძლება, მათ ნაკლებად ადარდებთ პარლამენტარის ხელფასი. მაშინ?**

— კი, ბატონო, თუ ეს არ გაჭრის, მაშინ მორალურ სანქციებსაც დავაწესებთ: იმ დეპუტატების ნუსხა, ვინც გაცდენების გამო დაჯარიმდება, პრესაში გამოქვეყნდება და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება მათი ვინაობა, ვინც პარლამენტში მოსახვედრად თავს იკლავდა, ხალხს დაპირებებით აბრუებდა, ახლა კი სხდომებზეც არ ცხადდება.

— **დაბოლოს, როგორ მოგწონთ თქვენი სამსახური?**

— დღეს საქართველოში მოხელის თანამდებობით კმაყოფილი ვინ არის, მე რომ ვიყო?! ხელფასი მცირე მაქვს, შრომა ყოველდღიური, პასუხისმგებლობა – დიდი! ოჯახიც თავისას მოითხოვს, მეუღლე და ორი შვილი მყავს. ისე, ქართველებმა ჩვენი საკეთებელი თავადვე თუ არ გავაკეთეთ, ათასი ბალცეროვიჩიც ვერ გვიშველის. ეს სისულელეა! საიდანღაც წვეთ-წვეთად მოტანილი წყლით ვერც წისქვილი დატრიალდება და ვერც იმ წისქვილში დაფქული სიმინდითა და პურით იარსებებს ქვეყანა...



წარათელი პრეზიდენტის კაბდნა მუშაობს

საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პრეზიდენტის – გენერალ შარლ დე გოლის ძეგლი დაიდგება მოსკოვში, მისი სახელობის მოედანზე, სასტუმრო „კოსმოსის“ მახლობლად: ამის შესახებ განკარგულებას ხელი უკვე მოაწერა რუსეთის დელაქალაქის მერმა იური ლუჟკოვმა. მონუმენტის ავტორები მოსკოვის თავკაცის მეგობარი – ზურაბ წერეთელი და არქიტექტორი ალექსანდრ კუზმინი არიან.

„მე პირადად შევხვედრე პრეზიდენტს, პარიზში, 1968 წელს ყოფნისას, – განაცხადა ბატონმა ზურაბმა და დასძინა: – ძალზედ მნიშვნელო-



ვანია, როცა მხატვარი უშუალოდ ნატურასთან მუშაობს, თუნდაც მხსიერების მოშველიებით და არა ფოტოსურათების მიხედვით“.

ბრინჯაოს მონუმენტის სიმაღლე დაახლოებით 6 მეტრი იქნება, თვით ფიგურა კი, რომელიც სვეტის ფორმის პოსტამენტზე დაიდგება, 3,5-4 მეტრს მიაღწევს.

მოსკოველებმა უკვე უკმაყოფილება გამოთქვეს, მათ ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ მოუნებლიათ პეტრე პირველის წერეთლისეული ვარიანტი და ახლა, დე გოლი ნამდვილად ყელზე დაადგებათ.

ხეკამაც ასეიი უნდა

რეკლამის საინტერესო ფორმას მიაგნეს მსოფლიოში ცნობილი ამერიკული კინოკომპანიის – COLUMBIA PICTURES-ის სარეკლამო სამსახურის მესვეურებმა, რომლებიც ჟურნალმა „ნიუ-ზუიქმა“ ფილმების პოპულარიზაციის მიზნით გამოგონილი კრიტიკოსის გამოყენებაში ამხილეს. კინოსტუდიის პრესრელიზებში სისტემატიურად იყენებდნენ ვინმე დევიდ მენინგის ციტატებს, რომელიც თითქოს ამოღებული იყო კონკრეტული მცირეტირაჟიანი გაზეთში გამოქვეყნებული მისი რეცენზიებიდან...

ჟურნალისტური გამოძიების შედეგად აღიკვეთა აფერა, რომელიც თითქმის 1 წელიწადი – შარშანდელი ივლისიდან გრძელდებოდა: ჟურნალისტთა დაჟინებული კითხვების საპასუხოდ, SONY PICTURES ENTERTAINMENT-ის (COLUMBIA-ის შვილობილი კომპანია) პრესმდივანმა აღიარა, რომ ფიქტიური კრიტიკოსი „ფრიალ ბრიყვული წამოწყება იყო“...

ნანა ქიბიშაური

მუდამ მოლიმარი ნატა ამპლობელიისა და გიორგი სანაიას ფონზე ცივი და უკარება ზოფერია თოვლის დედოფალს მოგაგონებთ. ჩვენს ფოტოკორესპონდენტსაც მანამდე არ ღართო ფოტოსურათის გადაღების ნება, სანამ პიჯაკის ოდნავ გაწეული საყელო ქინძისთავით ბოლომდე არ შეიბნია. ალექო ბრეგვაძეს ხელი მაინც წაუცდა აპარატისკენ და ნისლისფერ სამოსში გამოწყობილ ეკას, პაპარაცული ფოტო სწორედ მაშინ გადაუღო, როცა ის ქინძისთავს ჯოჯუტად აწვალა და დრო ცოტა გვექონდა და პირდაპირ საქმეზე გადავედი.

— ეკა, უბრალოდ ეტიკეტს იცავთ თუ ეჭვიანი ქმარი გყავთ?

— არა, გიორგი ეჭვიანი არ არის. ყოველ შემთხვევაში, მე არაფერს მაგრძობინებს. ეჭვიანობის მსგავსი გრძობა ჩემშიც და გაიშვიც მანამდე იყო, სანამ ერთმანეთს უკეთ გავიცნობდით. რაც შეეხება ტანსაცმლის მოწესრიგებას, ეს ალბათ იმის შედეგია, რომ კონსერვატიული შეხედულებების მქონე ოჯახში გავიზარდე. უფრო, დედაჩემია ასეთი და მეც მას დავემსგავსე. როდესაც პიჯაკის გარეშე მიწვევს ეთერში გასვლა, საშინელ დისკომფორტს ვგრძნობ.

— კონსერვატიულ ოჯახებში ბავშვები მკაცრ პირობებში იზრდებიან...

— გეთანხმებით. ყოველთვის პრობლემა იყო ჩემი სადმე გაშვება. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც მეგობრის დაბადების დღეზე 7 საათისათვის ვიყავი მიწვეული, მამა კი სახლში ამბავს ტოვებდა: წავიდეს, მაგრამ 5 საათზე სახლში იყოსო... ჩემს მშობლებს შეილება თან დამოკიდებულებაში მთელი აქცენტი იმაზე ჰქონდათ გადატანილი, რომ მე და ჩემს ორ დას, კარგი განათლება მიგვეღო. ალბათ ესეც არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ცელქი არასოდეს ვყოფილვარ. სკოლა არა, მაგრამ უნივერსიტეტი ფრიადზე — წითელი დიპლომით დავამთავრე. ჩემი სპეციალობა ძველი ქართული ენა და ლიტერატურაა. ჩავაბარე ასპირანტურაში. დისერტაციაც მომზადებული მაქვს. თუმცა, ისევ იმ ადგილას დევს, სადაც დავტოვე. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასე მოვწყდებოდი ჩემს საქმეს. როდესაც გაზეთ „დრონი“ დავიწვეე ჟურნალისტური საქმიანობა, ვფიქრობდი, მხოლოდ ლიტერატურის შესახებ წერილებით შემოვიფარგლებოდი. მოვლენები კი სხვაგვარად განვითარდა. ჩემი პირველი შეხება პოლიტიკურ თემატიკასთან

„კანცელარიაში ისეთ საინფორმაციო წყაროებთან მაქვს კავშირი, სანამ პოლიტიკოსები გაიფიქრებენ, მანამდე ვიცი, ვინ რას იტყვის. ან ამის შემდეგ რა მოხდება. იმ ადგილსაც წინასწარ ვადგენ, სადაც უნდა მოხდეს. ოპერატორთან ერთად იქ ვდგები და მიკროფონით ხელში ვიციდი. აი, ასეთია ჩემი ყოველდღიური საქმიანობა“ — აცხადებს „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი ეკა ხოფერია, რომელიც „კურთხევის“ პოპულარობას, თითქმის ყველა სახელმწიფო ინსტანციაში სანდო საინფორმაციო წყაროების არსებობითა და შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმით ხსნის.

ეკა ხოფერია:

„ყველა ინსტანსიაში“

გეყავს სანდო საინფორმაციო წყარო...



როდესაც პიჯაკის გარეშე მიწვევს ეთერში გასვლა, საშინელ დისკომფორტს ვგრძნობ.

ირაკლი წერეთელს უკავშირდება: ირაკელი, ჩვეულებისამებრ, ნატოს ჯარის საქართველოში შემოყვანას მოითხოვდა, მასსოვს, როგორი სიამაყის გრძობა დამეუფლა, როცა „ნიუსის“ ბოლოს ჩემი გვარი წავიკითხე. „დრონის“ შემდეგ ვმუშაობდი სააგენტო „კავკას-პრესში“, შემდეგ ეკონომიკური მიმართულების გაზეთ „კაბიტალი“ში“. მოგვიანებით ტელეკომპანია „იბერიაში“ გადავედი, შემდეგ რადიო „ფორტუნაში“, სადაც საინფორმაციო სამსახურის უფროსად დამნიშნეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში კონტაქტი მქონდა „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელთან, ეროსი კიწმარიშვილთან, რომელიც დროდადრო თავის ტელეკომპანიაში საშუალოდ მიწვევდა. მაშინ რატომღაც თავს



ვიკავებდი. გადაწყვეტილების მიღებაში ხელი გათხოვებამაც შემეშალა. თუმცა, ეს მალე გამოვასწორე. ანალო ზუსტად ერთი თვის მყავდა, ნიკა ტაბატაძეს რომ დავურეკე „რუსთავი-2“-ში და დავიწვეე მუშაობა. მას შემდეგ აქ ვარ. მკაცრი სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, თავს მაინც ბედნიერად ვგრძნობ: როდესაც კარგი ანაზღაურება მაქვს და ზურგს უკან ფინანსურად დამოუკიდებელი ტელეკომპანია გიღვას, ნებისმიერი სიმძაფრის მასალას გააკეთებ. მასმედიის თითქმის ყველა დარგში მიმუშავია, მაგრამ დასავლური სტანდარტებით დამყარებული დისციპლინა და პროფესიონალიზმი, ისეთი, როგორიც აქ არის, არსად შემხვედრია. ჩვენთან არავის რჩება დრო ჭორებისა და ინტრიგებისათვის. ყველას თავისი ადგილი აქვს და ყველა მხოლოდ თავის საქმეს აკეთებს.

— ასეთი დასავლური ურთიერთობები და მკაცრად დაპროგრამებული საქმიანი გარემო ჩვენს მენტალიტეტში ნაკლებად ჯდება. ყველგან და ყველაფერში სკანდალის ძებნაც, ვფიქრობ, თქვენთვისაც და მაყურებლისთვისაც ძალიან დამლელი იქნება.

— ასეთია ჩემი ყოველდღიური სინამდვილე, რომელსაც ვერსად გავქეცვით. ჩვენ კი არ ვეძებთ სკანდალს, ის გვხვდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე და უბრალოდ, ვაშუქებთ მას. თითქმის არ ჩატარებულა

მთავრობის სხდომა, რომ სკანდალური განცხადება არ გაკეთებულიყო. არ მგონია, სხვა ქვეყნის პარლამენტში ასეთი უშვერი სიტყვებით მოიხსენიონ დეპუტატებმა ერთმანეთი, როგორც აქ. და არც ერთ ქვეყანაში მთავრობის წევრები ისეთი სიამოვნებით არ იძლევიან ერთმანეთზე კომპრომატებს, როგორც ჩვენთან. არც სხვა ქვეყნის ციხეებიდან გარბის ამდენი პატიმარი. ადამიანის გატაცება კი უკვე ჩვეულებრივ მოვლენას ემსგავსება. ასე რომ, შეულამაზებელი რეალობაა სკანდალური, ჩვენ კი მას ფეხდაფეხ მივყვებით.

— მე მგონი, აზრი არ აქვს შევითხვას თქვენი საოჯახო საქმიანობის შესახებ...

— ეს კითხვა სჯობს საერთოდ გამოვტოვოთ. მე და გიორგი სახლში მხოლოდ დასაძინებლად შევდივართ. სადილებიდან ერთადერთი, რისი მომზადებაც კარგად შემიძლია — პელმენის მოხარშვაა. არის კიდევ ერთი საოჯახო საქმე, რომელსაც სიამოვნებით ვაკეთებ ზამთარში — დაუთობება.

— ბავშვს ვინ უვლის?

— ანანო უკვე ორი წლის ხდება და საკმაოდ ბევრი ძიძაც გამოუვცვალეთ. ხან ვის მივაბარეთ, ხან ვის. ბოლოს მივხვდით, რომ მასზე ყველაზე უკეთ ბებიია და ბაბუა იზრუნებდნენ და ახლა მათთან იზრდება. მე და გიორგი მარტონი, ცალკე ვცხოვრობთ. ანანო მხოლოდ შაბათ-კვირას მოგვყავს ჩვენთან. ვცდილობ, ამ დღეს არანაირი შეხვედრა არ დაგვეგმო და მთელი დღე მხოლოდ ჩემს ქმარ-შვილს მივუძღვნა. შაბათ-კვირის გარდა კი ანანო 9 საათისთვის ტელევიზორთან მოკალათდება და ეკრანზე ეკას გამოჩენას უცდის.

— გიორგი ალბათ უკვე შეეგუა მეუღლის მოუსვენარ ცხოვრებას?

— თვითონაც არანაკლებ მოუსვენარი ცხოვრება აქვს, ასე რომ, გვესმის ერთმანეთის. დღეს ის ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია. როცა რომელიმე სიუჟეტი მოეწონება, მაშინვე მირეკავს და მეუბნება: „იცო, მე მგონი, კარგი იყო“. ის ყოველ ჩემს გამოსვლას მაყურებლის თვალთ უყურებს და მისი შეფასება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

— გიორგი რას საქმიანობს?

— ბიზნესმენობს. საგამომცემლო საქმიანობითა დაკავებული. ძალიან განსხვავებული ხასიათები გვაქვს: ვაა გამოუსწორებელი ოპტიმისტია, სულ კარგ ვუნებაზეა, მხიარული, ხალისიანი — მე მას ვერ შევედრები. მასთან შედარებით ნაკლებად ყურადღებიანიც ვარ. არც სითბოსა და



ეკა ხოფერიას ნიუ-იორკში

სიყვარულის გამოხატვა შემიძლია ისე, როგორც ამას ვაა ახერხებს. მაგრამ როგორც ვარ, ალბათ ასეთი ვუყვარვარ. ვერძნობ, რომ ამაცობს ჩემით. ერთხელ რუსეთის საელჩოში გამართულ ბანკეტზე, საკმაოდ მომხიბლავ ქალბატონებს ასე წარუდგინა თავი: „გიორგი დევიდო — ეკა ხოფერიას ქმარი!“ ამან ჩემზე ისე ამალელებლად იმოქმედა, რომ დღემდე მას სოვს. ეს ყველაფერი ნახევრად ზუმრობით. აბსოლუტურად სერიოზულად კი, შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ოჯახი მაქვს.

— ალბათ ბევრი თავყანისმცემელი გყავდათ. მაინცდამაინც გიორგიმ რთ მიიქცია თქვენი ყურადღება?

— ოჯახშიც, სამსახურშიც და ქუჩაშიც გადაჭარბებული ყურადღების ობიექტი ვიყავი. ამ ფონზე გიორგიმ ჩემი ყურადღება ჩემ მიმართ გამოჩენილი უყურადღებობით და გულგრილობით მიიქცია. გაზნე „დრონის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ბიძამისი იყო. გიორგიც მასთან მუშაობდა. როდესაც შენობაში შემოვიდოდა, ყველას მოიკითხავდა, ერთ-ორ კომპლიმენტს ეტყოდა. მე კი დერეფანში ისე ამივლიდა გვერდს, ერთხელაც არ შემომხედავდა. არც კი მესალმებოდა. მერე დავიწყე ფიქრი — ვინ არის, რას მერჩის,

რა დავუშავე, რატომ არ მესალმება-მეთქი?.. აი, ასე დაიწყო ყველაფერი. მოგვიანებით გამ ჩემი უმცროსი დაც გაიცნო და მას ჩემზე მეტად დაუმიეგობრდა. შინ დაბრუნებული თვა ვააზე შელაპარაკებოდა, ვაა — თვაზე. ეს თურმე ვაას მიერ საგანგებოდ შემუშავებული სტრატეგიული გეგმა იყო, რომელმაც საბოლოოდ გაამართლა!

— მოდი, საოჯახო ხასიათის რამდენიმე კითხვას დაგისვამთ: პასუხებში გიაც ჩაერთოთ და ორივემ მონაცვლეობით მიპასუხეთ. ვაა, ეკას მონათხრობს ხომ არ დაუმატებდი რამეს?

პიპა:

— პირველ რიგში, მინდა „რუსთავი-2“-ის სიდეხის სახელით საჯარო განცხადება გავაკეთო: ჩვენ გადავწყვიტეთ, საზოგადოებრივ საწყისებზე არასამთავრობო ორგანიზაცია ჩამოვყალიბოთ, სადაც ჩვენსავით დატანჯულ რძლებსაც გავაერთიანებთ. იქ მოგვეცემა აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება და დავსახავთ გზებს, თუ როგორ დავაღწიოთ თავი წიწიბურასა და ჰერკულესის იბულებით დიეტას. ვისაუბრებთ იმაზე, თუ როგორ ირღვევა ჩვენი, როგორც ქმრის უფლებები და ა.შ. ეკას ნაამბობი კი სიმართლეს არ შეეფერება იმდენად, რამდენადაც მე ის გაცნობამდე ერთი წლით ადრე შევაძინე და ჯეროვანი ყურადღებაც მივაქციე. მოგიყვებით, როგორ იყო ის: ვღვაკარ ჩემთვის პატიოსნად გაჩერებაზე და ვუცდი ტრანსპორტს. ჩემ წინ ჩერდება სამარშრუტო ტაქსი და ვიდაც გოგონას მიერ გაღებულ კარი ისე მაგრად მხვდება, რომ... მან კი, ვითომც არაფერი მომხდარა, ისე განაგრძო გზა... ეკას უკან გავყვები და იმ დღესვე შევაგროვე მასზე საჭირო ცნობები.

— სიყვარული სად და როგორ აუხსენი?

— ეკა, შენ გემასსოვრება სად იყო ეს? პაპა:

— მეც არ მასსოვს, ვაა. თუმცა, ჰო, მე მგონი ჩემს სახლთან მანქანაში ვისხედით... სიტყვები არ მასსოვს... მთვარე მასსოვს — მე მთვარეს ვუყურებდი.

პიპა:

— ძალიან კარგი. გამოდის, რომ მე ეკას მთვარის შუქზე ავუხსენი სიყვარული.

— ქორწილი გქონდათ?

პაპა:

— არა, უბრალოდ ჯვარი დავიწერეთ და ბათუმში წავიდით.

პიპა:

— ისე მოულოდნელად გადავწყვიტეთ ჯვრისწერა, რომ როდესაც ჩემს მეგობარს

დავურეკე, ცოლი მომყავს და სასწრაფოდ მეჯვარედ წამოდი-მეთქი, ის ბოტასებში და სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოვიდა: არ დავიჯერე, ვიფიქრე — ლუდის დასალევად მუპატიუებოდიო — თავს იმართლებდა. საქორწინო ბეჭდებიც არ გვქონდა. მღვდელმა დაგვამშვიდა: ნუ ნერვიულობთ, სანთლის ბეჭდებს გავიკეთებთო... აი, ასე, ორშაბათს, დილის 10 საათზე გადავწყვიტეთ და საღამოს უკვე ცოლ-ქმარი ვიყავით.

— მერე ალბათ საქორწინო მოგზაურობაში ნახვედით? ბიძა:

— ვჯვარი დავიწერეთ თუ არა, ბათუმში წავედით. ჩოლოქის ხაზი გადაგვეკეთეთ თუ არა, იქაურმა უშიშროებამ გაგვანერა და გაბედნიერება მოგვილოცა. ასე ოპერატიულად საიდან გაიგეს ჩვენი ამბავი, დღემდე არ ვიცი.

— თუ არის რაიმე ისეთი, რაზეც ვერ თანხმდებით? ბიძა:

— ჩვენ მხოლოდ ერთ საკითხზე ვკამათობთ: ეს არის გადასახადები.

— გადასახადები?

— დიახ. მე ვეუბნები, რომ გადასახადები ყველა ბიზნესმენმა პატიოსნად უნდა გადაიხადოს.

ბიძა:

— მე კი ვეუბნები, რომ ასეთი საგადასახადო კოდექსის პირობებში, ყველა გადასახადი პატიოსნად რომ გადავიხადო, ოჯახში კაპიკსაც ვერ შემოვიტან-მეთქი. დღემდე ვერ შევთანხმებულვართ. ეკა კანონებს პარლამენტიდან უყურებს, მე კი — ცხოვრებიდან. ეკას პოლიტიკოსებთან აქვს ურთიერთობა, მე — ხალხთან. იმდენად შორს დგანან პოლიტიკოსი და ხალხი ერთმანეთისგან, რომ აგერ, ჩვენც კი ვერ მივსულვართ კონსენსუსამდე.

— ეკა, ალბათ დიეტასაც ისეთივე პრინციპულობით იცავ, როგორც საკუთარ მოსაზრებებს.

— ვცდილობ დავიცვა. თუმცა გიოს სიახლოვეს ამის გაკეთება ძალიან მიჭირს. დილით გადავწყვეტთ, რომ დღის რეჟიმი არ დავარღვიოთ. საღამოს კი მაცდურად შემომთავაზებს ხოლმე სადმე — „მაკლონალდსში“ ან „ნიკალაში“ წასვლას. ჰოდა, ჩვენი შეთანხმება იმით მთავრდება, რომ გვიანობამდე ვსხედვართ და გემრიელად გვახლებით. ერთადერთი, რასაც სტაბილურად ვასრულებ — ვარჯიშია. „იმიჯცენტრში“ კვირაში 3 დღეს ვვარჯიშობ და თავს ძალიან მხნედ და ხალისიანად ვგრძნობ. სასურველი წონის საკითხი კი ჯერჯერობით ვერ დავარეგულირე. ამიტომ ჩემთვის ერთადერთ და ყველაზე სასიამოვნო კომპლიმენტად იგივე

სიტყვები რჩება, რასაც მაშინ მეუბნებიან, როცა უნდათ კარგ გუნებაზე დამაყენონ. ეს არის: „ეკა, შენ გახლი!“

— ახლა რაიმე კურორტი გაიხსენეთ.

— პირდაპირ ეთერში ხშირად იქმნება კურორტული სიტუაციები. ქარიანი ამინდია და „3 საათიან“ კურიერს პირდაპირ ეთერში ვერთვები. მიკროფონს ხმის დამხშობი „დრუბელი“ ეკეთა, რომელიც აუცილებელია სუფთა ჩანაწერისათვის. არ ვიცი, საუბრისას ხელი როგორ გავიქნიე, რომ უცებ მიკროფონს ეს „დრუბელი“ მოსძვრა და ხელში ცარიელი „ჯვონილა“ შემრჩა... ერთხელ კი, მოსკოვიდან ხდებოდა ჩართვა. საშინელი სიცივე იყო. ისე გამეყინა სახე, რომ ყბა ვეღარ ავამოძრავე და პირდაპირ ეთერში „გავიჭვლე“. მინდა ლაპარაკი დავიწყო, უკვე ეთერში ვარ, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. მერე, რომ ჩამოვედი, ხან ვინ მანუგეშებდა და ხან ვინ: ძალიან გაცივდით ალბათ, ხმა საერთოდ არ გქონდათო... „3 საათიან“ კურიერში უფრო ხშირად გვემართება ხოლმე კურორტები და ნანა ლეჟავა უკვე ისე დაოსტატდა, რომ ძალიან ადვილად გამოვყავართ შექმნილი მდგომარეობიდან. თუმცა, ერთხელ მაინც ვერ მოახერხა სიცილისგან თავის შეკავება, მაშინ როცა ნანა კაკაბაძის სიტყვები, ნანა ლეჟავას მივასწერე.

— ყველაზე მეტად რომელი მასალის გაკეთება გაგიჭირდათ?

— გახსოვთ ალბათ, აჭარაში თვითმფრინავი რომ ჩამოვარდა. იცით, როგორ გავწვალდი? მთელი ოთხი საათის განმავლობაში თავსხმა წვიმაში ვიარეთ, მივდიოდით მთაზე და სველი, თიხიანი მიწა ფეხსაცმელზე გვეკვროდა. ამის შემდეგ, კიდევ სამი საათი, შევარდნაძის ჩამოსვლას ველოდებოდით. დაძაბული იყო ასევე მუხროვანის ამბებთან დაკავშირებული მოვლენების გაშუქება. თუმცა, მე ძირითადად, ასეთი „ჩეპეს“ დროს „ცხელ წერტილებში“ ნაკლებად მიშვებენ. უფრო ხშირად კანცელარიიდან მასალის მოპოვება და სამთავრობო სხდომების გაშუქება მევალება.

— საუბრის დასაწყისში ახსენეთ, რომ ბევრი საინფორმაციო წყარო გყავთ, მათ შორის — კანცელარიაშიც. რით აინტერესებთ მათ,

ინფორმაციაში ფულს უხდით?

— არა მარტო კანცელარიაში. „რუსთავი-2“-ს ყველა ინსტანციაში ჰყავს სანდო საინფორმაციო წყარო. ფულის გადახდა საჭირო არ არის — ისინი თვითონ არიან დაინტერესებულნი ამა თუ იმ ინფორმაციის გავრცელებით. ხდება ისეთი შემთხვევაც, როცა თვითონ სამინისტრო გვეუბნება: ასეთია საქმის რეალური არსი, ჩვენ ამის თქმის უფლება არ გვაქვს: მასალას მოგცემთ და თქვენ იცითო... ყველა თანამდებობის პირს აქვს თავის ოპონენტზე კომპრომატები. და არის წუთები, როცა ყოველი მათგანი მზად არის, უყოყმანოდ მიაწოდოს ისინი ჟურნალისტს.

— ჟურნალისტს, რომელსაც ხელში მართლაც სკანდალური მასალა ჩაუფარდა, ხშირად ქრთამსაც სთავაზობენ...

— ვერ გეტყვით, რომ ასეთი რამ არასდროს ყოფილა. მაგრამ გარწმუნებთ, შემომთავაზებელს ამით არანაირი სარგებელი არ მიუღია. როდესაც აბსოლუტურად უზრუნველყოფილი ხარ სამსახურებრივი კომფორტით და ყველა პირობა გაქვს შექმნილი პატიოსანი მუშაობისათვის, ქრთამს არასოდეს აიღებ.

— თითქმის ყველა ღია სამთავრობო სხდომას ესწრებით. რა გასწავლათ პოლიტიკოსებთან ურთიერთობამ?

— ჯერჯერობით მხოლოდ ერთ რამეში დამარწმუნა: ეკა ხოფერია, რაც არ უნდა მოხდეს, პოლიტიკურ კარიერაზე არასოდეს იფიქრებს. მე ბოლომდე დავრჩები ჟურნალისტად. სიბერის ჟამს კი, ჩემს შვილიშვილებს მოვუყვები, როგორ იკიდებდა ფეხს საქართველოში თავისუფალი მასმედია. ■

„ყველიობ, ამ დღეს არანაირი შეხვედრა არ დავგეგმი და მთელი დღე მხოლოდ ჩემს ქმარ-შვილს მივუძღვნა“



თემურ ნიკლაური კოჯორში დაბადებულა. მისი წინაპრები გუდამაყრელი მთიელები ყოფილან — პირიმზე ფუცანგელოზის ყმანი. ზოგი — სევისბერი, ზოგი — მწყემსი, ზოგი — ღვთისმსახური. ცხოვრობდნენ მთის წესით და არჩევდნენ სახელ-სირცხვილის საქმეს. მერე კი, დრო შეიცვალა. „მთა-ბარი გადანილდა, ლამის თოვლიც განითლდესო“ — დაიჩივლეს თურმე ტრადიციის ერთგულმა ნიკლაურებმა. ერთ მშვენიერ დღეს კი, აქეთ-იქით მიმოიფანტნენ.

თემურ ნიკლაური ცდილობს ახლობლებს დაუმტკიცოს, რომ 2 წლის ასაკიდან ახსოვს საკუთარი თავი. თუმცა, ამას დღემდე არავინ უჯერებს. ისიც კარგად ახსოვს, როგორ ტიროდა, როცა კოჯორში სტალინის გარდაცვალების ამბავი აიტანეს: „ბავშვებს შავი ტანსაცმელი ჩაგვაცვეს და შავი ჰალსტუხები გავვიკეთეს. ტიროდნენ მშობლები, ტიროდნენ მასწავლებლები, ტიროდა მთელი კლასი და... ვტიროდი მე“.

დრო ისევ შეიცვალა. დღეს წარმოუდგენელიც კია, რომელიმე ხელისუფალის გარდაცვალებამ ხალხს გული ატირებამდე აუჩუყოს. ამ მოსაზრებას ჩემი რესპონდენტიც ეთანხმება:



თემურ ნიკლაური:

ჯავახიშვილის შეხვედრა რა გავაზნუკოქცეს: ქყვიას რწმინა, ვის — გოგო და ვის — სიკვდილი

ლელა კურბანიძე

— არც მე მგონია, რომელიმე ხელისუფალს ხალხმა იმდენი ცრემლი გაატანოს, რამდენიც სტალინს ჩაყოლეს. ახლა სხვისი კი არა, ლამისაა საკუთარი სიკვდილის მიმართაც გავხდეთ გულგრილნი... კაცი, რომელსაც ტირილი შეუძლია, სხვისი შემბრაღე და შემცოლბეღია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას თვალში ცრემლი აქვს, მკერდში კი გული. ასეთ კაცს სიყვარულიც შეუძლია. მთავარი ეს არის და არა ის, ვის დასტირის ან ვინ უყვარს.

— ის უკვე გავიგა, ვისაც დასტიროდით, ახლა ის მითხარით, ვინ გიყვარდათ. ან საერთოდ, როგორი იყო შეყვარებული თემურ ნიკლაური?

— რატომ „იყო“? მე ახლაც შეყვარებული ვარ. როცა აღარ მეყვარება, სიმღერასაც თავს დავანებებ და „დამსახურებულ პენსიაში“ გავალ. სიყვარულს დიდი ვაჟკაცობა და თავდადება უნდა. თანაც, ყველაფერი, რასაც ქალის გულისთვის აკეთებ, ლამაზად უნდა გააკეთო. აი ისე, — როგორც ნიკალა აკეთებდა. მე ეს საქმე უფრო ადვილად გამომდის. სიყვარულის დასამტკიცე-

ბლად არც სახლ-კარის გაყიდვა დამჭირდა და არც ერთი ურემი ვარდების გაგზავნა. უბრალოდ, სიტყვაზე მენდობიან ხოლმე.

— ესე იგი სიყვარულის სახელით არაფერი ჩაგიდენიათ: არც წყალში გადამსტარხართ, არც ცეცხლში შევარდნილხართ, არც დუელი გქონიათ?

— არა, რაღაც დუელის მავგარი კი მქონდა...

— მერე, ამას გვიმაღავდით? მოგვიყვებით, როგორ მოხდა ეს?

— მოსაყოლი ბევრი არაფერია. ერთი გოგო მიყვარდა. ის გოგო სხვასაც უყვარდა. დავთქვით შეხვედრა ერთი ერთზე და გადავწყვიტეთ: ტყვიას აერჩია, ვის — გოგო და ვის — სიკვდილი. კოჯორში, ქოროლლის ციხესთან არის ადგილი, სადაც ბევრი გამოქვაბულია. დუელი იქ უნდა შემდგარიყო. დათქმულ დღეს გავინაწილეთ ტყვიები, ავიღეთ თოფები და ერთმანეთის მოპირდაპირედ გამოქვაბულებში ჩავსხედით. დაუმიზნებ, ვესვრი, მოვეფარები კლდეს. დამიმიზნებს, მესვრის, მოეფარება. ასე მონაცვლეობით „ვთოფავდით“ ერთმანეთს. ტყვიები ისაგან ასხლეტილი კლდის ნატეხებით

სულ დაგვეკაწრა სახე. მესამე, მეოთხე გასროლის შემდეგ ორივე მივხვდით, რომ ერთმანეთის სიკვდილი არ გვინდოდა, მაგრამ ტყვიების მარაგი მაინც ბოლომდე ამოვწურეთ...

— ეს დუელი ალბათ დიდი შერიგებით დამთავრდა?

— კი, მერე ჩვენ დავძმობილდით და დღემდე ვძმაკაცობთ.

— ის გოგო იმას დარჩა?

— ხომ გახსოვთ, ყივჩაღის ლექსი როგორ მთავრდება: „ქალი წავიდა სხვისასა“. იმ სიყვარულისა და დუელის ამბავიც ზუსტად ასე დასრულდა. ის გოგო, ვისი გულისთვისაც ჩვენ ორმა კინაღამ ერთმანეთი დავხოცეთ, მესამეს დარჩა.

— იმ გოგომ თუ იცოდა დუელის ამბავი?

— დღემდე არავინ იცოდა, ჩემსა და იმ კაცის გარდა. მას შემდეგ ხშირად ავდიოდი იმ ადგილას გამოქვაბულში და ვფიქრობდი: მაინც რა იყო ეს ა?

— ლილი ზღვაური როდის გაიცანით?

— თბილისში გადმოსვლის შემდეგ. ჩვენ ანსამბლ „ციცინათელაში“ ვმღეროდით ერთად. ჩვენს ამბავს მოკლედ ასე გეტყვით: მე კოჯრიდან ავფრინდი...

(ამ სიტყვას ვინმარ: ბოლოს და ბოლოს, არწვიც ხომ ვარ!) და პირდაპირ ფილარმონიის თავზე დავეშვი. ბუდეც იქ გავიკეთე, ბარტყებიც დავჩეკეთ – ქეთევანი და გიორგი. გიორგი მალე წაგვართვა ღმერთმა და თავისთან წაიყვანა. ეს დიდი ტკივილიც ერთად გადავითანეთ. ვფიქრობ, ჩვენს ბოლო სიმღერამდე ერთად ვიქნებით.

— რაც შეეხება თქვენს სიმღერებს, რომელს მიიჩნევთ საუკეთესოდ?

— არ ვიცი. ვერც ერთს ვერ გამოვარჩევ. საერთოდ მე მინორული, სასიყვარულო სიმღერები უფრო მომწონს. არადა, რატომღაც სულ ვაჟკაცურ-პატრიოტულ სიმღერებს მთავაზობენ. აგერ უკვე რამდენი ხანია, დამუშტული ხელებით გავყვირი — „იყიდება საქართველო...“ მაგრამ მაინც არავის ესმის. ასე ყოფილა: თურმე, კაცს ერთხელ რა როლსაც მოარგებენ და როგორი იმიჯიც ჩამოუყალიბდება, ბოლომდე ის გაჰყვება. ჩემთვის, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ტექსტი-სიტყვები, რომელსაც ვმღეროდი. დღეს ეს ძველმოდურად ჟღერს, მაგრამ სამშობლო, სინდისი, ღირსება — აი რაც ჩემი რეპერტუარის მთავარი ძარღვია და რომელზეც უარს ვერასოდეს ვიტყვი. დღევანდელ ქართულ ესტრადაში მთავარია ტემპი და არა ტექსტი. როგორც ფიზიკოსები გვიმტკიცებენ, დრო აჩქარდა და ეს ცვლილებაც ამ აჩქარებული დროის ნაყოფია. ესტრადაზე სულს არაფერი შევირხვეს, რადგან აქ მხოლოდ სხეულის ფიზიკურ ვიბრაციაზეა ყველაფერი გათვლილი. ამ ურთულეს პერიოდში, როდესაც მიმართულებათა აღრევა ხდება, ძალიან ძნელია სწორი მუსიკალური ორიენტაციის შენარჩუნება. აი, ამიტომ ვნერვიულობ ჩემი ქალიშვილის, ქეთევანის გამო, რომელიც მღერის, ცეკვავს — მოკლედ, არის ერთ ამბავში. დიდი სიფრთხილე და ზომიერების გრძნობაა საჭირო, რომ არც ეროვნულ ფესვებს მოსწყდე და არც თანამედროვეობას (ტრადიციებს ვკარგავთ, ხალხო, ტრადიციებს!).

— ეს რთული დრო ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ ესტრადიდან ოპერაში გადაინაცვლეთ?

— არა, ესტრადიდან არსად წავსულვარ. უბრალოდ, ჩემი მეგობრის, უნიჭიერესი კაცის — ალექსანდრე ხომერ-

იკის დაჟინებული თხოვნით, ოპერაშიც ვცადე ბედი. ამიტომ წავედი ბათუმში, სადაც ამჟამად მუშაობს ალექო და არა რაიმე პოლიტიკური მოსაზრებით, როგორც აქ ავრცელებენ ხმებს. თუმცა, ისიც რეალური ფაქტია, რომ ბათუმის ოპერის თეატრში ჩემი მუშაობა ასლან აბაშიძის ნების შედეგითაა. შარშან, ბათუმის თეატრის სცენაზე შედგა პრემიერა, სადაც მურმანის არია შევასრულე. როგორც ამბობენ, არცთუ ისე ცუდად. ჩემი მურმანისთვის დაკრული ტაში მთლიანად ალექოსა და მისი მეუღლის დამსახურებაა: ისინი საუკეთესო მასწავლებლები აღმოჩნდნენ.

— თქვენ მიერ განსახიერებული არნივი, აიეტი, ფიროსმანი მაინც დადებითი და ხალხისთვის მისაღები პერსონაჟები არიან. მათ შორისაც ეკალივით ხომ არ მოჩანს მურმანი?

— მურმანი ნამდვილი ვაჟკაცია. ჩემთვის ის უფრო მისაღებია, როგორც კაცი, ვიდრე აბესალომი. გულწრფელად გეუბნებით, სიამოვნებით „ემურმანობ“. აბა, დააკვირდით, არც ისე ცუდი ტიპაჟია: მეფეს ეუბნება — შენ მეფე ხარ, დიდი ამბავი, მე კიდეც, მურმანი ვარ, მაიბა ქალიო... მისცა. მურმანმა ეთერს, ჩემი აზრით, „ბოტკინი“ შეჰყარა. როცა ქალი მორჩა, მეფეს ისევ თავისთვის მოუნდა. ეგრე სად არი?! მესმის მურმანის, როგორც კაცს კაცის. საყვარელი ქალისთვის ბოლომდე იბრძოლა! ისე, თუ კაცმა მაინც უნდა გაყიდოს სული, ისე სჯობს, ქალის გულისთვის გაყიდოს...

— თუ ატყობთ, რომ თქვენ მიერ განსახიერებული კაცები სულ ქალების გულისთვის კოტრდებიან: ზოგი სულს ყიდის, ზოგი სასლ-კარს და ნახატებს... მოკლედ, ყველაფერს, თუ რამ ძვირფასი აბადიათ.

— ნიკალას ვერავის შევადარებ. ის ჭეშმარიტად დიდი კაცი იყო. ფული ჰქონდა, გგონიათ არ ჰქონდა? ამოიღებდა ჯიბიდან და კოცონს დააყრიდა — ნახე, ნახე რა კარგად იწვიოს... ნიკალა მამაკაცში განსხეულებული მოარული სიყვარული იყო. დააკვირდით, რამხელა სითბო იღვრება თითოეული მისი ნახატიდან. ლომი რომ ლომია, მასაც კი სიკეთით სავსე თვალები აქვს. ერთადერთი, მეუბოვება, რომელსაც გამჭო-

ლი მზერა აქვს. მარტო იმას აქვს ესეთი „ცული“ თვალები. საინტერესოა, რატომ? ნიკალა მასთან ძმაცაცობდა, მაგრამ მაინც ასეთი თვალები დაუნახატა. მე როდესაც ნამდვილი „მარგარიტას“ სურათი ვნახე და მისი ინტერვიუ წავიკითხე ფრანგულ გაზეთში, დავრწმუნდი, რომ ის ნამდვილად ღირსი იყო იმ ერთი ურემი ვარდებისა, ნიკალამ რომ აჩუქა. ლუგრში, ფიროსმანის ნახატების გამოფენის სანახავად ყოველდღე მიდიოდა თურმე და „მარგარიტას“ წინ საათობით იდგა (ამის შესახებ თქვენს ჟურნალშიც წავიკითხე, ფიროსმანზე გამოქვეყნებულ წერილში). უნიჭიერესი მსახიობი და ულამაზესი ქალი ყოფილა. მერე სიამაყით უთქვამს ჟურნალისტისთვის: ამ კაცს, ვინც ეს ნახატები შექმნა, მე ვუყვარდი, ჩვენს ურთიერთობაში ბიწიერება არ ყოფილა, ფიროსმანი ნამდვილი რაინდი იყო... მას ხომ ზედმეტი სახელი „გრაფი“ შეარქვა ხალხმა. ბევრი ვიწვალე, სანამ ნიკალას სახეს მივუახლოვდებოდი. კიბის ქვეშაც მინდოდა, მეცხოვრა. სად, სად და ავლაბარში ერთი სახლის კიბე მომეწონა. გავიკითხე. მეთევზის აღმოჩნდა. ის კაცი (გარდაიცვალა, ნათელში იყოს მისი სული!) თევზითვე ვაჭრობდა. მოგეხსენებათ, კომუნისტების დროს ამას სპეკულაცია ერქვა. ეს ყველამ იცოდა, მაგრამ რომ დაეჭირათ, მთელ ქალაქში ქორწილსაც და ქელებსაც

ქეთი წიკლაური და დავით გოგიბელაშვილი





მთელი ოჯახი (სიძის გარეშე)

უთევზოდ უნდა ჩაველო და ამიტომ არ იჭერდნენ. მივედი მასთან და ვთხოვე: თუ შეიძლება, შენი კიბის ქვეშ მინდა ცხოვრება და თუ კაცი ხარ, უარს ნუ მეტყვი-მეთქი. გაუკვირდა რომელია? თავიდან ალბათ გიჟიც ვეგონე, მერე რამდენჯერმე ავუსხენი, რატომ მინდოდა. როგორც იქნა, დავიყოლიე. მეორე დღესვე ავიღე ნაბადი და ჩემს ახალ სამყოფელს მივადექი. ცოტა მოვასუფთავე, ნაბადი გაეშალე და ის იყო, უნდა დაეწოლილიყავი, რომ მასპინძელმა მთხოვა: თემურ-ჯან, მოდი, გენაცვალე, სანამ დაიძინებ, ერთ რამეს გაჩვენებო. ავეყვი სახლში. ჩამიჩუმი არ ისმის. შემეყვანა ოთახში, ანთო სინათლე და რას ვხედავ — „ფიროსმანის“ „გაცოცხლებულ“ ნახატს! „ცოცხალითა“ და შოთებით უხვად მორთულ სუფრას, სამოცამდე კაცი თავისი დუღუკებითა და დოღ-გარმონით შემოსხდომია და მიცდის. იმ ცხონებულს თავისი მეზობლებისთვის უთქვამს: ასეა ჩემი საქმე, თემური მომადგა, შენი კიბის ქვეშ მაცხოვრეო და იქ როგორ დავაძინო, ღმერთი აღარ არიო?! გაუშლიათ სახელდახელოდ პურმარილი და... სამი დღე და ღამე გადაბმულად ვქეიფობდით. მეოთხე დღეს ავეყვი ჩემი ნაბადი და სახლში წამოვედი. რა ვქნა, თემურ-ჯან, კიბის ქვეშ როგორ დავაძინო — ქალაქი რას იტყვისო? მებოდიშებოდა გზადაგზა მასპინძელი. მაშინ არ გამოვიდა, მაგრამ რატომღაც მგონია, ბოლოს მაინც ნიკალასავით სადღაც კიბის ქვეშ მოგაკვებ-

ბი... „ფიროსმანის“ საპრემიერო ჩვენების წინ 21 დღე ვიმიშვილე. მხოლოდ წყალს ვსვამდი. როცა გრიმი გავიკეთე და „ივერიელებს“ გამოვეცხადე, ისე ვგავდი თურმე ფიროსმანს, გაკვირვებისაგან ყველა ფეხზე აღგა.

— ეს უკვე დიდი ხნის წინ იყო. დღეს უკვე პაპა ხართ...

— ჩემი შვილიშვილი, ანდრია, 3 წლის არის. ის ერთადერთია, ვისაც უსიტყვოდ ვემორჩილები. ოღონდ, ახლა ცოტა ცუდად არის ჩვენი საქმე: მთელი სერიოზულობით მთხოვს ხოლმე — პაპა, გავფრინდეთ სადმეო. უკვე აქამდე ვართ მისულები. არადა, მისთვის უარის თქმა ჩემს ძალებს აღემატება. ასე რომ, ნურავის გაუკვირდება, ცოტა ხანში მე და ანდრიამ სატურნზე რომ ამოვეყთ თავი.

— თქვენი ქალიშვილის, ქეთევანის და სიძის, დათო გოგიბედაშვილის შესახებაც გვითხარით რამე. საინტერესოა სიძე-სიმამრს როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— მე ვფიქრობ, როგორც დამწყებ ხელოვანს, ქეთის ერთადერთი რამ — რეკლამირება სჭირდება. იმედს არ ვკარგავ, რომ ეს უახლოეს მომავალში შესაძლებელი გახდება. რაც შეეხება სიძეს, მე მიმაჩნია, რომ ის უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდაა. ხშირად გვიწევს ერთად ლუდის სმა და ფილოსოფიაზე საუბარი. მოკლედ დათო სასიამოვნო მოსაუბრე სიძეა.

— რატომღაც მეგონა, რომ

შინ ძალიან მეცრი და მომთხოვნი იქნებოდით.

— არა, რა ვიცი, მე მგონი ნორმალური ვარ. ვის რას ვუშავებ? ბაზარში მე დავდივარ. იმიტომ, რომ ქალისა და კაცის პირის გემოს შედარება არც შეიძლება. ესეც არ იყო, პირველყოფილ ადამიანებშიც კი ბუნებრივად სარჩოს მიტანა კაცის საქმე იყო. ქალს ხომ არ გააგზავნიდა — წადი, ღორი მოკალი და მოიტანე... მოკლედ, ამ მისიას მე ვასრულებ. მერე — ვნადირობ, ვთევზაობ, ვმღერი, ვქეიფობ... ვითომ კიდეც რამე ევალება კაცს ოჯახში?!

— „წლები კი ისე მიჰქრან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები“...

— კი, მიქრან და რაც ამ სროლაში ჩემს თავს დატრიალებულა და რაც კიდე მოხდება, ყველაფერი უფლის ნებაა. ჩვენ მხოლოდ მისი ნების შემსრულებლები ვართ. მაღლობა ხალხს და მაღლობა ღმერთს სიყვარულისთვის!..

— უახლოესი გეგმა რა გაქვთ?

— ვაპირებ სოლო კონცერტის ჩატარებას, რომელსაც ჩემს მეგობრებს მივუძღვნი. მინდა, ამ კონცერტს ისინი დარბაზიდან უსმენდნენ და სცენაზე აღარ გავაწვავო.





დეა მჭედლიშვილი
გუბერნატორ
მეუღლესთან ერთად

გუბერნატორმა სასიამორო ნარდის თამაშით დაატყვევა

ეკა ლომიძე

ბევრმა არ იცის ალბათ, რომ იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი ოჯახში ერთპიროვნული ლიდერის ფუნქციას თმობს და ძალიან ლიბერალური, თბილი და მეგობრული მამიკოს როლში თავს შესანიშნავად გრძნობს. შინ ყველაზე დიდი ავტორიტეტი, თავის მეუღლეზე ბევრად უმცროსი, მომხიბლავი ქალბატონი და დიასახლისი — დეა მჭედლიშვილია, რომლისაც შვილებს ზოგჯერ „ეშინიათ“ და ამის გამო შეიძლება მამიკოსთან „უჩივლონ“ კიდევ... ქალბატონი დეა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე თითქმის ერთსა და იმავე საქმეს აკეთებს და მთლიანად ოჯახურ საქმიანობაშია ჩაფლული, სულაც არ თვლის თავს ერთფეროვნების მსხვერპლად. მთავარია, მონდომო და ხვალინდელი დღე ათასჯერ უკეთესი იქნება: შენს თვალსა და გულს უბრძანე, რომ ლამაზად დაინახო ყველა და ყველაფერი, — ამბობს ქალბატონი დეა და გვარწმუნებს, რომ თითოეული ადამიანის კმაყოფილების გასაღები მხოლოდ და მხოლოდ მასშია და თუ შინაგან „მეს“ მივაყურადებთ, შევძლებთ უკეთ მოუხსმინოთ და ვაკუოთ სხვებსაც.

ქალბატონი დეა რომ რაღაც დიდ ენერგეტიკულ ძალას ფლობს, ეს მის მეუღლესაც ეტყობა, რომელიც ალბათ

მშვიდი და მშვენიერი ცოლის წყალობით აღიღვენს მთელი დღის მანძილზე დახარჯულ ძალებს. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა — გუბერნატორი თავის წლოვანებასთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურება. საქართველოში იტყვიან ზოლმე — ცოლი ქმარს ინახავსო, ან — პირიქით. ასეა თუ ისე, ყველაფერი ოჯახიდან მოდის.

— დაეიბადე მჭედლიშვილების ოჯახში, ბაბუა — დავით მჭედლიშვილი ურნალისტი იყო. 25 წელი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გახლდათ. 87 წლის მოხუცი, ამჟამად სრულიად უსინათლოა, მაგრამ მემუარებს წერს, თანაც არაჩვეულებრივი კალიგრაფიით. არ ვიცი, რა აძლევეს ბაბუას ამის ძალასა და უნარს, ცხოვრების წინაშე — ქედუხრელობა თუ სულის შემოქმედებითი სიხალისე, მაგრამ მინდა იგი სამაგალითო გახდეს ჩემი შვილებისათვის. მოხუცი უდიდეს ინფორმაციას ფლობს სხვადასხვა ცნობილ პიროვნებაზე, ვისთანაც ცხოვრების მანძილზე ურთიერთობა უხდებოდა. ვლოცულობ, რომ მემუარების დასრულება შეძლოს და მისგან, ფანტასტიკურ ბიბლიოთეკასთან ერთად, მისი ცხოვრებისეული გამოცდილებაც დაგვრჩეს.

— ვინ არიან და სად მოღვაწეობენ თქვენი მშობლები?

— მამა — ვასილ მჭედლიშვილიც

ურნალისტი. თუმცა ამჟამად თავისი პროფესიით არ მუშაობს და ცხოვრების მიმე პირობების გამო, ისიც უცხოეთშია გადახვეწილი, რომ როგორმე ოჯახის რჩენა შეძლოს. მამას მეორე ქორწინებიდან ორი ვაჟი ჰყავს. ისინი უკვე მოზრდილები არიან და მშობლების განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ.

— დეა, როგორც ვიცი, გყავთ პატარა ძმა — დედის მეორე ქორწინებიდან, ზურა ანჯაფარიძე. იქნებ ორიოდე სიტყვით გვითხრათ, როგორ გაჩნდა დიდი ზურაბ ანჯაფარიძის სენსია?

— დედაჩემი — მარინა მაჭავარიანი დიდი ზურაბ ანჯაფარიძის მეუღლე გახდა მამაჩემთან განქორწინების შემდეგ და მე ფაქტობრივად ანჯაფარიძეების ოჯახში გავიზარდე. ზურაბს ყოველთვის „ზურიკოს“ ვეძახდი. უკვე პირველი შვილი მყავდა, როცა პატარა ზურიკო დაიბადა.

— ... რომელიც თურმე სიმღერის ნიჭითაც არის დაჯილდოებული, არა?

— დიას, დიას. არა მარტო სიმღერის ნიჭით დაემსგავსა ზუკა მამას, არამედ ფიზიკურადაც თითქოს მისი ასლია, მანერებიც კი მამისა აქვს. ძალიან გვიხარია მამა-შვილის ასეთი მსგავსება. დედაჩემი ფილოლოგია, მაგრამ კარგა ხანია, უნივერსიტეტში მუშაობას თავი დაანება და მთლიანად ზუკას აღზრდით არის დაკავებული, რომელიც უკვე 12 წლისაა. სხვათა შორის, დედას კარგა ხნის წინ სამკურნალო ბიოველი აღმოაჩნდა. ჯუნა დავითაშვილისგან შეისწავლა მკურნალობის მეთოდები და სერტიფიკატი აიღო. პატარა-პატარა დაავადებებს კურნავს და ახლობლების მუდმივი მხსნელია.

— მშობლების გამოჩენამ ტკივილი მოგაყენათ?

— მე იმდენად პატარა ვიყავი მაშინ, რომ, ფაქტობრივად, არაფერიც არ მიგრძენია. თანაც, ამის მერეც ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა მამასთან და ეს არ მამძლევა ტკივილის საფუძველს. მოგვიანებით დედა გათხოვდა ისეთ დიდებულ ადამიანზე, რომელსაც მამის შემდეგ უდიდეს პატივს ვცემდი. ზურაბ ანჯაფარიძე ძალიან დიდი პიროვნება იყო საერთოდ ყველასთვის და პირველ რიგში — ჩემთვის. განსაკუთრებით დღევანდელი გადასახედიდან ვაფასებ მას. წარმოიდგინეთ, მან ცოლად შეირთო



ნესტან, ნინო და გიორგი შამიაშვილები ლიკანში

ბავშვიანი ქალი და მე, როგორც საკუთარ შვილს, ისე მზრდიდა. სულ მეუბნებოდა: ღეა, შენ გამო თრმაგი ვალდებულება მაკისრია – ჩემი თავის წინაშე და მამაშენის წინაშე. ვალდებული ვარ ისე გაგზარდო, როგორც ამას ქართული ტრადიცია მოითხოვს და, როგორც უკეთესი იქნება შენი მომავლისთვისო.

— მკაცრი მამობილი იყო?

— იყო უადრესად თბილი. სანამ დედას შეირთავდა, მე დამიმეგობრდა, ისე შემაყვარა ერთი ციდა ბავშვს თავი, რომ სინარულით ცას ვწვდებოდი, როცა გაგიგე, რომ მე მის გვერდით უნდა მეცხოვრა. უკვე მოგვიანებით ის იყო ჩემთვის უახლოესი ადამიანი, ყველა ჩემი საიდუმლო მან იცოდა და არა დედამ. მხოლოდ ეგ იყო, რომ არ უყვარდა, როცა სახლში გვიან ვბრუნდებოდი და სულ მეუზღუნებოდა ხოლმე ამის გამო, თორემ ისე ძალიან კი მანებიერებდა.

— როგორც ვიცი, ბატონმა თემურმა მას სთხოვა თქვენი ხელი. იქნებ გვითხროთ, როგორ შესვდით მომავალ მეუღლეს?

— თემური ახლობლის ოჯახში გავიცანი. ვერ გეტყვით, რომ ერთი ნაზვით შეგვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ იმ შესვედრის შემდეგ ყველაფერი ისე უცნაურად წარიმართა, რომ ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო უერთმანეთოდ. თემურმა ერთ მშვენიერ საღამოს გამომიცხადა: ღეა, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს ასე – ჩვენ უნდა დავქორწინდეთო და თქმა და სულ მალე, ასრულება ერთი იყო. უბედნიერესი ქალი ვარ ჩემ მიერ 14 წლის წინ მიღებული გადაწყვეტილებით. თემურისგან ვიგრძენი, რომ სიყვარული სულის, გონისა და ხორცის, ერთიანობაა. ჩვენ იმდენი რამ გვაქვს საერთო, რომ გაცილებით.

— და მაინც — თქვენი შეყვარებულობის პერიოდიდან

ხომ ვერ გაისენებდით რამეს?

— აი, იმ პირველი შესვედრის შემდეგ, სულ მალე დასასვენებლად წავედით ლიკანში, სადაც მოულოდნელად თემურიც ჩამოვიდა, ძალიან დიდი ხანი დამჭირდა იმაში დასარწმუნებლად, რომ იგი საგანგებოდ ჩემ გამო არ მოხვდა ლიკანში. არა-

და, ეს მართლაც სრულიად შემთხვევითი ამბავი ყოფილა... მოკლედ, იქ დაიწყო ჩვენი სიყვარულის ამბავი. უკვე ის დრო იყო, როცა ახალგაზრდები სასწავლო წლის მოახლოების გამო წასულები იყვნენ და კურორტზე მხოლოდ პენსიონერები და ასაკოვანი ხალხი ისვენებდა. თემური ან ნარდს თამაშობდა ზურიკოსთან ერთად, ან მე მიწვევდა პარტნიორობას ჩოგბურთში და სულ ვუგებდი. მერე მეუბნებოდა – გაგებინებდით, მაგრამ ახლაც არ მჯერა მისი. მოკლედ, თემურმა იქ მოხიბლა და თავი შეაყვარა ჩემი ოჯახის ყველა წევრს და, პირველ რიგში – მე. მალე წამოვედი ლიკანიდან. და ისიც სამ დღეში ჩამომყვა. მიუხედავად იმისა, რომ 24 დღიანი საგზური ჰქონდა, ლიკანი ჩემ გამო დატოვა.

— ოჯახში წინააღმდეგობა აღბათ აღარაგვის გაუწევია თქვენი გადაწყვეტილების გამო, არა?

— არა, არა, ზურიკოს ძალიან გაუხარდა თემურის წინადადება, ძალიან უყვარდა და მეგობრობდა თემურთან. შემდეგ მე და თემური მამაჩემთან მივედით და მას ვაუწყეთ ჩვენი ამბავი, რომელიც დიდი ქორწილით დაგვირგვინდა.

— აღბათ სშირად გეკითხებიან — ქუთაისში წასვლაზე როგორ დათანხმდით?

— ჯერ ერთი, იმდენად მიყვარდა ქმარი და იმდენად ვეკუთვნოდი მას, რომ მაგ საკითხზე არასდროს მი-

ანჯაფარიძეების ოჯახი: დიდი მურიკო, პაგარა მურაბი და მარინა მაჭავარიანი

ფიქრია. თანაც, ქუთაისი არაჩვეულებრივი ქალაქია, იქ ძალიან კარგი და გამორჩეული თვისებების მქონე ხალხი ცხოვრობს. შვილების ქართულად აღზრდა თუ გინდა, იქ უნდა იცხოვრო. ისე კი, მართლა შეუძლებელია საცხოვრებელი ადგილის გამო გქონდეს პრეტენზიები – მაშინ, როცა შენ მარტო შენს თავს აღარ ეკუთვნი. როცა გიყვარს, შეყვარებულის გვერდით ყველგან კარგად ხარ.

— საქმიანი ქალის როლზე, საკუთარ საქმიანობაზე ხომ არ გიფიქრიათ?

— იცით, რა, მიუხედავად იმისა, რომ მე მთლიანად ოჯახში ვინარჯები, ჯერ შვილებთან მთელი დღის განმავლობაში და საღამოს – ქმართან, თითქოს სიცარიელის შეგრძნება არ მაქვს, მაგრამ ხანდახან საკუთარი თვითდაუკმაყოფილებლობის გრძნობა მიპყრობს. ასპირანტურის შემდეგ, მინდოდა თემაზე მეტუშავა ლინგვისტიკაში, მაგრამ ერთ ადგილზე გავიყინე – მთლიანად შვილების აღზრდაზე გადავერთე.

— მამა რამდენ დროს უთმობს შვილებს?

— შეძლებისდაგვარად. ბოლო ხანს ვცდილობ, რომ მათ დიდხანს მოუწიოთ ერთად ყოფნა. თემური მოვა თუ არა, ბავშვებთან ერთად შეიყუყუება ხოლმე ოთახში. ძალიან მეგობრობენ. უფროსს – გიორგის კი ისე ანებივრებს მამამისი, რომ სულ „გააფუჭა“: ნამდვილი „ტერორისტი“ა, ხმას ვერ სცემს ვერავინ ოჯახში – ყველას თემურითი ემუქრება... გიორგი უკვე ზუთი წლისაა, გოგონები კი – მასზე უფროსები: ნესტანი და ნინო ძალიან გონიერი ბავშვები არიან და მე ბედნიერი ვარ ამით, საერთოდ – ჩემი ოჯახით...



ინფორმაციულ-მედიაციური კონსულტაცია

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ქვეყრის ამოსაშრალეულ ჩვარს მარწური ჰქვია.
2. შერთხვევითობისა და მოულდნელი ბედნიერების ღმერთის ბერძნულ მითოლოგიაში ავტომატია ჰქვია.
3. ვაზის კამერებში ტყვეებს „ციკლონ B“-თი წამლავენ.
4. მასწრობელა გველ ბოას ერთ-ერთ სახეობას კონკისტადორი ჰქვია. P.S. ამ გველის ნადირობის გადაღება ინგლისელმა ოპერატორებმა რაღაც სასწაულით შეძლეს.
5. „ჯერ შეიცადე, ვიდრემდე წახვალ, მეც მთქვენიე ორიოდ სიტყვა!“ – შექსპირის ტრაგედიის ამ ნაწვევს დოლო აბაშიძე თავისი რინანი ხმით მხატვრულ ფილმ „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ კითხულობს. P.S. ამ უდიდეს მსახიობს ოტელოს როლის თამაში მთელი სიცოცხლის მანძილზე განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.
6. ვლადიმერ ჟირინოვსკის ევროპის არც ერთი თავმოყვარე სახელმწიფო თავისი ქვეყნის ვინას არ აძლევს.
7. როგორც კი მამაკაცს სიცხე აუწვევს, მისი სპერმატოზოიდების ნახევარი კვდება.
8. ღამურა 30 წელი ცოცხლობს.



9. პრეზიდენტ ჯონსონს კონგრესისაგან არასოდეს მოუთხოვია ვიეტნამისათვის ომის ოფიციალურად გამოცხადება. მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, ვიეტნამი და აშშ ოფიციალურად ომგარეშე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

10. გოდერძი ჩოხელის ბაბუას მთის ქედზე წამოწოლა და ძილი უყვარდა, რის გამოც ციკქელა ბაბა შერქვეს.
11. ისრაელში მშენებლობის სამინისტრო არც ერთ სახლს არ იბარებს, რომელსაც გათბობის ჰელიოსისტემა არა აქვს დამონტაჟებული.
12. ვოლტერმა ეკატერინე II-ს მისწერა, საქართველო დიდი კულტურის სახელმწიფოა და ჯარით იქ შესვლას ნუ ეკადრებთო.
13. ყველასათვის ხალხურ სიმღერად ცნობილი „ჩემო ციციანთელა“ სინამდვილეში აკაკი წერეთლის ლექსზე დათიკო ფაღავამ შექმნა. P.S. დიდი აბაგი,თუ „ცოტათი“ ჯუზეპე ვერდის დაესესხა.
14. როდესაც საქართველოს მეფე გიორგი XII-ს ჰკითხეს, სამეფო ტახტს ვის უტოვებთო, მან განაცხადა, ჩვენი ვვარი უკვე



თვალის პაქენი – თავანისმცემლის მოგერიების საუყუთესო ხეიხი

მარინა ბაბუნაშვილი

შორეული ნათესავი გარდამეცვალა გურიამი. შეიძლებოდა დეპეშითაც გამომხატა ჩემი თანაგრძნობა ვერიჩკა ბებიის გარდაცვალების გამო, მაგრამ ისე მენატრებოდა დედულეთი, რომ სასწრაფოდ მოვემზადე გასამგზავრებლად.

„თბილისურ ჯგუფში“ ოთხნი ვიყავით: მე, ჩემი მეუღლე, დედაჩემი და ჩემი ძმა.

როგორც გურიამი „ტირილის“ დროს ხდება ხოლმე, ზუსტად ისე განვითარდა მოვლენები: დანახვისთანავე ხმაურიანად შემოგვეგებნენ, მერე ყველამ ერთად ვიტირეთ, საღამოს კი ბევრი რამ (რა თქმა უნდა, კარგი) გავიხსენეთ წარსულიდან და არც ვერიჩკა ბებიას ოხუნჯობანი დავივიწყეთ. მეორე დღეს დაკრძალვა იყო და წამოსასვლელად რომ მოვემზადეთ, გურულების მთელი „დელეგაცია“ გადაგვიდგაწინ: არ გამოგვეკრათ ყელი მთელ დუნიასზე, ერთი-ორი დღე დარჩით, თვარა ჩვენზე დიდი მტერი არ გეყოლებათო.

ვისაც ოდესმე „შეხება“ ჰქონია გურულ სუფრასთან (სამგლოვიარო თუ ღვინისა – ეგ სულერთია) ადვილად მიხვდება, რა გასაჭირშიც ვიქნებოდით. ამ გაწვევ-გამოწვევაში ისე დავიდალეთ, რომ მალე წინააღმდეგობის გაწვევის თავიც აღარ გვქონდა და რადგან მე-

ორე დღეს ორშაბათი თენდებოდა, მე კი აუცილებლად სამსახურში უნდა წავსულიყავი, თანაც ბავშვები ახლობელთან მყავდა დატოვებული და მოუთმენლად მელოდნენ, „თბილისურ ჯგუფში“ ოპერატიული გადაწყვეტილება მივიღეთ: დედაჩემი დარჩებოდა, რადგან ღვინომოკიდებულ სიძეს და შვილს მიხედვა უნდოდა, რომ „გადარეულ“ გურულებს სასმელში არ ჩაენრჩოთ ქალაქიდან ჩასულები, მე კი მარტო გამოვემგზავრებოდი თბილისისკენ.

ეტყობა, მასპინძლებს მოეწონათ ჩვენი გადაწყვეტილება, ამიტომაც იოლად დაგვთანხმდნენ. ჩემმა ბიძაშვილმა ალიკამ „პოდურჩკით“ მიმაცილა შუკამდე და მითხრა: რა იყო, ცა, მაცალე ამ ხალხთან სიყვარულობანა. ვიჭუკჭუკებთ ორ-სამ დღეს და მერე ქე გამოვეშვებთ შინ, ნუ გეშინიაო. ამაზე დიმილით მივეუგე: არაფრისაც არ მეშინია, ამხელა „ყაძახებს“, თქვენ უნდა გრცხვენოდეთ და გეშინოდეთ, მარტოს რომ მიშვებთ ამხელა გზაზე-მეთქი. ამის გაგონებაზე ალიკას მართლა დიდი გაცემა გამოეხატა სახეზე: გადამრიე და ეგაა, ჟურნალისტს და ქმარშვილიანს ვინ რას გაგიბედავს, ცა?! ახლა მე „გავაკუჭდი“ გურულად: კი, მაგრამ ჟურნალისტობა და ქმარშვილიანობა სახეზე მაწერია თუ რაფერაა შენი საქმე-მეთქი?.. ამასობაში ცენტრისკენ მიმავალი პატარა ავტობუსიც გაჩერდა.

ჩავეხუტეთ მე და ჩემი ბიძაშვილი ერთმანეთს, დედას, ქმარს და ძმას შორიდან ხელი დაუქუჩიე (ახლოს არ მომაკარეს გურულებმა: აქაოდა, ბოლო წუთებში არ გადაიფიქრონო) და ავტობუსში ავედი. ალიკამ „ჭკვიანად იყავი!“ – მომამახა და ხელებგაშლილი მიუბრუნდა თბილისელებს.

ნატანებში თბილისის ავტობუსის ბილეთი ავიღე და კარგად და უშფოთველად ვიმგზავრე რიკოთის უღელტეხილამდე. მძლოლმა იქ 15 წუთიანი შესვენება გამოაცხადა და მგზავრებიც ჩავედით „ფეხის გასაშლელად“. სათამაშოების დახლისკენ გავემართე. მინდოდა, ბავშვები გამეხარებინა: გოგონას თოჯინა ვუყიდე, ბიჭს – მანქანა და ნაყიდი ნასიამოვნები, წყაროსთან ჩამოვჯექი. იქვე ორი ბიჭი იდგა. ჩემს გასაგონად ხმამალა დაიწყეს ლაპარაკი:

– რეიზა არ მოგყავს ცოლი, ვის ელოდები, ნეტავი?

– ბიჭო, არ მომწონს ნამეტანი „გაკარასკული“ და მოკლეკაბიანი გოგოები. ქალს რომ შევხედავ, მისი თვალებიდან სითბო თუ არ ვიგრძენი, არ მიმდის მასზე გული. დახატულ თვალებში კი სითბოს ვერ ვგრძნობ და რა ვქნა?!

– ეჭ, ჩემო ძამია, მაგას თუ უცადე, დაბერდები, იცოდე.

ხედმეტად ჩავთვალე თავი და ავდექი. მხესუმშირა ვიყიდე და ახლა თიხის ჭურჭლის დასათვალიერებლად წავედი. ძალიან მიყვარს ამ ჭინჭილების, ქოთნებისა და ჯამების თვალიერება. გულმა ვერ გამიძლო და საშუალო ზომის ქოთანი შევიძინე. უცებ, გვერდიდან მომესმა: – ნეტავი იმას, ვისაც ამ ქოთანში ლობიოს მოუხარშავო!..

ძლივს შევიკავე სიცილი. ავტობუსში ავედი და დავეჯექი. ის ბიჭი თბილისიდან ქუთაისში მიმავალი ავტობუსის მგზავრი აღმოჩნდა. დავინახე, მძაკცმა ხელი დაუქუჩია – მივდივართო, მაგრამ რატომღაც ფეხი არ მოინაცვლა – ჩემს ფანჯარასთან დადგა: სიგარეტს ეწეოდა და თან თვალს აპარებდა ჩემკენ. „აუ, მიყურებდნენ ახლა ჩემიანები!“ – ვინატრე გულში. ავიღე რაღაც ჟურნალი და ვითომ კითხვა დავიწყე. ქვემოდან მაინც ვგრძნობდი მხერას. სანამ მძლოლი თავის ადგილზე არ დაჯდა, სანამ კარი არ დაიკეტა და მანქანა არ დაიქოქა, თავი არ ამიწვია. როცა ავტობუსი ზანტად დაიდრა, მხოლოდ მაშინ გავაპარე თვალი იმ ბიჭისკენ! ისევ იქ იდგა და ჯიუტად მიყურებდა. „სტუდენტურმა

სიცილქემ“ თავი შემახსენა, თითქოს პატარა ეშმაკუნა შემიჩნდაო და დამშვიდობების ნიშნად „თვალებში სითბონამდგარი“ ქალის მძებნელსა და ლობიოს მოყვარულ ყმაწვილს გავუღიმე და თვალი ჩავუკარი.

ეს რა მომივიდა! ჩემს შეცდომას მაშინ მივხვდი, როცა ის ბიჭი ადგილს მოსწვდა, ავტობუსს წინ გადაუდგა და გააჩერა. კარი რომ გაიღო და აქოშინებული ბიჭი (ბიჭს ვეძახი, თორემ 32-ოდე წლის კი იქნებოდა) დავინახე, გული კინაღამ გამიჩერდა. ავტობუსი კვლავ დაიდრა. ის მომიახლოვდა და უხმოდ გაჩერდა. „ახლა რას შერები, შე სულებლო? რა დროს „ცელქობა“ და „მაკვარანცხობაა“, გურულებს „ტყვედ“ ჰყავს შენი ქმარი, შინ კი ორი ბავშვი გელოდება?!“ – ვკიცხავდი თავს და ადგილზე ვწრიალებდი... უცებ, კვლავ მომივიდა იდეა – ამჯერად ბრძნული და მოხერხებული: ყოველ ხუთ წუთში თვალის პაჭუნი დავიწყე, რათა ბიჭი დარწმუნებულიყო, რომ მას კი არ ჩავუკარი თვალი, არამედ რაღაც დაავადება მჭირდა – „წიკ“-ს რომ უძახიან – ანუ თვალის უნებური ხამხამი... ახლა რომ მახსენდება ის წუთები, სიცილით ვკვდები, თუმცა მაშინ დიდი გაჭირვება მადგა. როგორია – წამდაუწუმ სახის მანჭვა და თვალის პაჭუნი?! როგორია ავადმყოფ, მოღებილო ქალად თავის გასაღება და ერთი ნახვით შეყვარებული ყმაწვილი კაცის იმედგაცრუება?! ძნელია, ძნელი! მაგრამ ფაქტია, რომ ხაშურამდე ჯიუტად ვითამაშე „ბედკრულის“ როლი.

ის ბიჭი კი ისე დავხაფრე, რომ სახელიც აღარ უკითხავს ჩემთვის. გულდაწყვეტილი და დაღონებული ჩავიდა ძირს. ალბათ, ხაშურიდან კვლავ ქუთაისის გზას გაუყვებოდა. ვინ იცის, გამწარებული, გულში ფიქრობდა: ერთი ქალი მომეწონა და ისიც დებილი აღმოჩნდა, ბედი არ მქონიაო.

მაშინ ეს იდეა უცებ, სპონტანურად მოვიდა, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ასეთი დასკვნა გამომაქვს: უდავოდ, „დაკარგული სამოთხიდან“ ჰეპელას ხუმრობამ მიკარნახა „სიუჟეტი“. მან თუ „ბნედიანი და ელამი“ ქალი გაითამაშა, მეც არანაკლებ „ავადმყოფის“ ბედი „მერგო წილად“.

თბილისში ჩასულს, სახლშიც უნებურად რამდენჯერმე „წამცდა“ თვალის პაჭუნი. ჩემს შვილებს კი ეგონათ, ეს მისალმების ახალი ფორმა იყო და ისინიც, შეძლებისდაგვარად მიკრავდნენ თვალს.

ინფორმაციული-შეხვედრითი კოლაჟი

ეორა ღვალის უბის წიგნაკედან:

ათას წელზე მეტია განაგებს ქვეყანას და ჩვენს მმართველობას ყავლი გაუვიდაო. P.S. გიორგი XII-ს მეტსახელად ზაქუჭამიას ეძახდნენ.

15. „ბრიტანიკა“ ყველაზე ძალიან ხარისხის ენციკლოპედიაა ძიულ მსოფლიოში.

16. დაღესტნური ხანჯლის (ე.წ. საჩხველეთი ხანჯლის) წამახული წვერის დანიშნულება იმაში მდგომარეობდა, რომ დარტყმისას ჯაჭვის პერანგი გაეხია და ჭრილობა მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის. P.S. რაც შეეხება მღორეპირან კახურ ხანჯალს, იგი მტრის საჩხვად იყო გამოიხვენილი.

17. ლენინს 146 (17 უცხოური და 129 რუსული) ფსევდონიმი ჰქონდა. ამ მხრივ სტალინი ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება – იგი სულ რაღაც 30 ფსევდონიმი აწერდა ხელს.

18. 56 კარატან ბრილიანტს, რომელსაც მსატყრულ ფილმ „ბრიტანიკაში“ მთავარ მოქმედ პირს უძღვნიან, „ოკეანის გული“ ერქვა და მისი მფლობელი, თავის დროზე, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XVI გახლდათ.

19. პარიზში ბელის საძებნელად ჩასულ მუშაკებების მომავალ კაპიტანს, ლე ტრევილს, ვიბეში მხოლოდ ოთხი ეკიუ ელო, მაგრამ მზად იყო ლუელში გაეწვია ნებისმიერი ადამიანი, ვინც გაბედავდა და ეტყოდა, ლუერის ყიდა არ შეგიძლიათ.

20. ჰარისკა („ჩებურაშკა“), შუშარა („ბურატინოს თავგადასავალი“), ჩუჩუნდრა („რიკი-ტიკი-ტავი“), ფარაონი („დათა თუთაშხა“) – ეს სა სულ ვირთხების ჩამონათვალია. P.S. ჰო-ჰო, რამდენი პარლამენტარის სახელი და გვარი დაამშვენებდა ამ სას!

21. ვულკანი ეტნა უკანასკნელი 4000 წლის განმავლობაში დაახლოებით ასჯერ ამოიფრქვა.

22. ისტორიამ შემოვიწინა ბუხრის მშენდავის ამბავი, რომელიც ეკატერინე II-ის სასახლეში მსახურობდა. ერთხელ, მუშაობისას, ერთ-ერთ ოთახში იგი ნახევრად შიმშველ იმპერატრიცას გადააწყდა და რადგანაც პოტენციას არ უჩიოდა, უკან არაფერზე დაუხვევია. როდესაც ყველაფერი დასრულდა, ფრიად ნასიამოვნებმა იმპერატრიცამ იკითხა: – „კტო ტი ტაკოი?“ – „ია ტრუბაჩისტი!“ – იყო პასუხი. – „ატ ნინე ტი გრაფ ტრუბეცკოი!“



რიკოთის უღელტეხილს გამოივლი და გეზს თბილისისაკენ აიღებ თუ არა, იმდენ უცნაურ და საინტერესო შენობას შენიშნავ, შეუძლებელია ცნობისმოყვარეობამ არ შეგანუხოს და წუთით არ შეჩერდე... დაბალ, სახელდახელოდ და ძალზე უცემოვნოდ ნაშენ მოგძძო სახლებთან ყოველთვის მრავლად დგას „კამაზები“ უცხოური ტრადიციებით, ჯიშებიც კი. სამორინებისა და მუშათა სასაფლაოების „ფასადით“ მოქმედ ამ „დაწესებულებებს“ თუ კარგად დააკვირდებით, მისვდებით, რომ, არც მეტი, არც ნაკლები — საროსკიპოები „აუმიუშავებიათ“.



საკმელ-სასმელს არ ვაკლებ, წელიწადში ერთხელ მინც მიმყავს თბილისში, ხან ზოოპარკს ვაჩვენებ, ხან ცირკს, თეატრშიც მყავდა. ათი წლისაა, მაგის ტოლებმა თეატრი კი არა, მეტრო არ იციან რა არის. ჩვენს სოფელში საშინელი გაჭირვებაა — შარშან გვალვამ ისე მოსპო ნათესები, მთელი ზამთარი ხალხმა უპუროდ გაატარა. მეზობლებს რომ ვუყურებ, ცოდვით ვიწვი. ნახევრად მშვივრები არიან ბავშვები, ვერც ერთ ოჯახში ვერ ნახავთ კარაქს ან თაფლს. ტკბილეული, ჩვენ რომ თავზე საყრელად გვქონდა, ახლანდელ პატარებს ენატრებათ. გაჭირვებამ მომიყვანა აქ, თორემ მეძავად კი არ დაბადებულვარ. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მაგრამ მამამ თბილისში არ გამიშვა — გოგოა, გზას ასცდება, სახელი გაუტყდებაო. ქარხანაში დამაწყებინა მუშაობა... ახალგაზრდა ვიყავი, სიცოცხლით სავსე, დღეობებს არ ვაკლებოდი. გიტარაზე ვუკრავდი და ვმღეროდი. ყველას მოვწონდი. მე კი ერთი ბიჭი შემიყვარდა, ძალიან შემიყვარდა და ცოლადაც გავყევი. ხელმოკლედ ცხოვრობდა, ვიტანდი გაჭირვებას. არც ვიფიქრებდი, ამის გამო ოჯახი დამენერია, მაგრამ უბედურება დამატყდა თავს: ჩემი ქმარი რუსეთში წავიდა სამუშაოდ, მე ფეხმძიმედ ვიყავი, ამიტომ ვერ გავყევი. ბავშვი რომ შემეძინა, ერთ კვირაში ცნობაც მოვიდა — დაიღუპაო: საწყალი, როსტოვში პურის მცხობლად მუშაობდა. თონეში შეშას არ უკეთებდნენ, ღენით ასურებდნენ და ამან იმსხვერპლა კიდეც. ქმრის მშობლებმა ორმოცის მერე სახლიდან გამაგდეს, ისევ

საქართველოს პროვინციაში საროსკიპოები მოგაკლდა

ლელა ჭანკობაძე

მოუხედავად იმისა, რომ აქური ქალები სრულ იზოლაციაში იმყოფებიან და მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში გამოდიან ხოლმე სუფთა ჰაერზე, ერთ-ერთ მათგანთან შეხვედრა მინც მოვახერხე. ახალგაზრდა ქალია, რომელზეც ლამაზიაო, ვერ იტყვი, არც განსაკუთრებული შარმით გამოირჩევა, თუმცა კლიენტები არ აკლია.

ერთმანეთს მის სამუშაო ოთახში ვხვდებით. დილის რვა საათია. ლეილა მარტოა, კლიენტი გვიან ღამით წასულა. ოთახი იმდენად ვიწროა, სუნთქვაც ჭირს. ერთი ხის საწოლი და ერთი სკამი დგას. ფანჯრის რაფაზე ფერუმარილი და ტუჩის საცხი დევს. ლეილა საწოლზე ზის, მე — მის წინ, ხის სკამზე. ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ვსაუბრობთ.

— რატომ დამთანხმდი შეხვედრაზე? სხვებმა კატეგორიული უარი განაცხადეს, შენ არ გეშინია, რომ გაგადგებენ აქედან? თუ განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობ და საფრთხე არ გემუქრება?

— რომ გაიგოს გესაუბრები, უფროსი აქედან გამაგდებს, მე კი ეს არ მინდა. ცვდილობ კარგად მოვიქცე. სამუშაოს

დაკარგვა ამ დროში როგორია?! მაგრამ რომ მითხრეს, ჟურნალისტია მოსული და შენთან შეხვედრა უნდაო, არც მიფიქრია, ისე ვთქვი: უთენია მოვიდეს-მეთქი. ბავშვობიდან მინდოდა, ჩემზე ვინმეს დაეწერა. სულ პატარა ვიყავი, ფიქრებში რომ წავიდიოდი, თავი დელოფალი მეგონა, ან ისეთი ცნობილი ქალი, რომ ჩემთან მოდიოდნენ, სურათებს მიღებდნენ, მე მბა-

ჩემსა და იმ ქალს შორის, რომელიც საყვარლის ხარჯზე ცხოვრობს, არანაირი განსხვავება არ არის, მეც მეძაობით ვიუმჯობესებ ცხოვრების პირობებს და ისიც...

ძავდნენ, გაზეთებში „მხატვადნენ“. ხშირად მითამაშია „გმირობანა“: ვითომ ვიღაც გადავარჩინე და ამის გამო გაზეთში ჩემზე დაწერეს... დღეს პირველად მომეცა შესაძლებლობა, ოცნება ავისრულო. ამიტომ დაგპატიჟე ჩემთან, თორემ მეც შემეძლო მოსვლა. აქ კი არ გვიჭერენ, როცა გვინდა, წავალთ აქედან.

— გამოდის, ნებაყოფლობით ენვეით სხეულით ვაჭრობას?

— ეს ჩემი სამუშაოა. აქედან რომ წავიდე, რა გავაკეთო?! სხვა არაფერი შემეძლია. ჩემს შვილს კარგად ვაცემე,

მამისეულ სახლში დავბრუნდი. მერე გაჭირვებაც დაიწყო. ქვეყანა დაინგრა, ქარხანა დაიხურა. ძმა დამელუპა, პატარა ბავშვით სულ მარტო დავრჩი... მამა ლოგინად ჩავარდა, ხელი მოგვეცარა. ფაქტობრივად მშვივრები დავრჩით. იყო პერიოდი, როცა ტყემალს ვსვამდით, სხვა რომ არაფერი გვქონდა. ერთი თხა გვეყავდა, ბავშვი სწორედ იმ თხის რძემ გადაშირჩინა. ორი წლის მანძილზე სულ გავყიდეთ ყველაფერი, თუ რამ გვებადა. მამა ფეხზე წამოვაყენეთ. ბოლოს გასაყიდიც არაფერი დავრჩა, სასოწარკვეთილებაში

ჩავვარდი. რა აღარ ვსინჯე, თოხზე და ბარზე მუშაობით ხელები სულ გადატყავებული მქონდა, მაგრამ მოსავალს იმდენს ვერ ვიღებდი, რომ მშობლები და შვილი გამოემეკვება. ბოლოს ერთმა ქალმა აქ მომიყვანა, უკვე ორი წელია ვმუშაობ.

— რამდენს გიხდიან?

— ამას კი ნამდვილად ვერ გეტყვი. ყველას სხვადასხვა ხელფასი გვაქვს. არ გეგონოს, ბევრია. მეძაობით გამდიდრებული ვინმე გინახავთ?! იმდენს კი მამლევენ, რომ ოჯახი შევიწინახო, არ მოვაშიო, შვილს ვასწავლო და სტუმრის მიღება შევძლო. ზოგჯერ კლიენტი მიტოვებს ხან 5, ხან 10 დოლარს, მაგრამ ეს იშვიათად ხდება. ასეთი გულუხვი შეიძლება ასში ერთი თურქი აღმოჩნდეს.

— თქვენი კლიენტები ძირითადად თურქები არიან?

— კი, იშვიათია, სხვა ეროვნების კლიენტი რომ მოვიდეს. მე არ მყოლია თურქის გარდა არავინ. გერმანელები იყვნენ ერთხელ, მაგრამ ქალები არ მოეწონათ და წავიდნენ. ქართველი კაცი არ შემოვა აქ. ზოგჯერ, როცა თბილისელი გოგოები მოჰყავთ, მაშინ კი მოდიან სოფლელი პატარა ბიჭები.

— რას ნიშნავს „თბილისელი გოგოები მოჰყავთ“? ვინ არიან ისინი ან ვის მოჰყავს?

— უფროსი ახალგაზრდა კაცია. საახალწლოდ ჩამოიყვანა ორი გოგო. იმდენი კლიენტი მოვიდა, გოგოები მიღება-გასტუმრებას ვერ აუღიოდნენ... თუმცა, მე უმუშევარი მაინც არ დავრჩენილვარ, ყველას ჩვენ-ჩვენი კლიენტები გვყავს. აქ ორნი ვმუშაობთ. მე და მარეხი. ის უფრო ასაკოვანია, მაგრამ უფროსი მისით კმაყოფილია. ისე ნუ მიყურებ, თითქოს რაიმე უცნაურს ან საოცარს გეუბნებოდე. ჩემსა და იმ ქალს შორის, რომელიც საყვარლის ხარჯზე ცხოვრობს, არანაირი განსხვავება არ არის, მეც მეძაობით ვიუმჯობესებ ცხოვრების პირობებს და ისიც. რამდენი ქალია, ქმარი რომ არ უყვარს და მაინც წვეს მის გვერდით? ესეც ცუდი საქციელია და ის ქალიც ჩემსავით მეძაობია.

— ლეილა, იმაზე არ გიფიქრია, რომ ხანში შესული, პენს, ე.ა. „სასაქონლო ფორმას“ დაკარგავ და მაშინ ფასიც აღარ დაგედება, ისეც უმუშევარი დარჩები, ელემენტარულ მატერიალურ კეთილდღეობას მოკლებული?

— დღევანდელი დღით ვცხოვრობ. აქ



ყველა ასე ცხოვრობს. მე მგონია, რომ ცხოვრება გაუმჯობესდება, ჩემი გოგონა გაიზრდება, ნასწავლი ქალი იქნება, იმუშავებს და თავს ირჩენს, მეც არ მომაკლებს, ცხადია არაფერს. გათხოვდება, შვილები ეყოლება, მე მოსიყვარულე ბებია ვიქნები...


— შენ პატრიარქალურ ოჯახში გაიზარდე, როგორც მითხარი, მაშამ სასწავლებლად კი არ გაგიშვა დიდ ქალაქში, შენს სახელსა და ნამუსს გაუფრთხილდა. ნუთუ ასეთი მშობლების შვილს დაგავიწყდა მცნებები, ქალური და ადამიანური ღირსება?

— მე პირველ რიგში პასუხისმგებლობას ვგრძნობ იმის წინაშე, ვინც გავაჩინე, ვისაც სიცოცხლე ვაჩუქე. ეს ჩემი შვილია, ის უნდა გავზარდო. შევფიცე, მამა რომ დაეღუპა: არასოდეს გამშობილებ, ჩემო პაწია, ყველგან და ყოველთვის დაგიცავ-მეთქი. პასუხისმგებლობას მშობლების წინაშეც ვგრძნობ. მათ არაფერი მომაკლეს, ისე გამზარდეს, ახლა მოხუცდნენ და მე უნდა შევძლო, წამალი ვუყუდილო, სითბოში ვამყოფო, ცხელი კერძი არ მოვაკლო, სიბერე არ გაუძმწარო. როცა არ ვმუშაობ, მკვლარით მძინავს, რადგან ძალიან ვიღლები და დასვენება მჭირდება. გამოდის, საფიქრელად დროც აღარ მრჩება. არ გეგონოთ, იოლი საშუალო მაქვს: თუ „კარგი დღეა“, სამ კლიენტთან შევიძინავ სქესობრივ კონტაქტში, ზოგჯერ ოთხთან, ხუთთან, ექვსთან და იმდენთან, რამდენი მსურველიც გამოჩნდება. კლიენტის უკან გაშვება სად გაგონილა?!

— ლეილა, პირად პიგიენას თუ იცავ, უსაფრთხოების ზომებს თუ ღებულობ, ან იქნებ არც იცი, რომ მეძავეები ვენეროული სნეულებების მთავარი გამავრ-

ცელებლები არიან?

— მე ჯანმრთელი ქალი ვარ. ჯერ ფრჩხილიც არ წამომტყვიებია. არადა, უკვე ოცდათვრამეტის გავხდი. იყო ერთი შემთხვევა — თურქის კაცმა რაღაც ამკიდა. ჯერ ძალიან შემეშინდა, მაგრამ მერე მივხვდი, ტყუილად ვინერვიულე. ჩემმა უფროსმა ფული გადაიხადა და კარგად ვიმკურნალე. მოვრჩი და ახლა ჩიტვივით ვარ. აქ საშიში არაფერია. ვენეროული დაავადება სურდოსავითაა. გოგოებს ყველას აქვს გადატანილი. შეიძინა კი აქ არავინ შემოვა: ამბობენ, შიღისი იმათ ხვდებათ, ვისაც ქალებიც უყვარს და კაცებიც. მე არ შემხვედრია ისეთი კაცი, ქალი კი არა, კაცი რომ ჰყვარებოდა. ისე, ჩემი კლიენტები ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს, ჯერ სასაძილოში კარგად მოილხნენ, მერე შემოდიან ოთახში და უფრო სზირად, სახელსაც არ მეკითხებიან. ზოგი კიდევ, მთელი ღამე რჩება ჩემთან, თუმცა ინტიმურ კავშირსაც არ ამყარებს...



მეზი სანავა

უზენაეს სასამართლოში კიდევ ერთი ოჯახური ტრაგედიის ამსახველ ფაქტებს განიხილავდნენ. უბედურება ამჯერად ასპინძის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დატრიალდა. შემზარავი დანაშაულის მსხვერპლი 24 წლის შავლეგ ფერაძე აღმოჩნდა: იგი დვიძლი ბიძაშვილის მიერ გასროლილმა ტყვიამ შეიწირა. ნოშრევან ფერაძეს, რომელსაც ამ საშინელი ქმედებისთვის ასამართლებენ, ნათესავები საკუთარი მამის მკვლელობაშიც ადანაშაულებენ.

„ერთ დღეს მამამისს ჩხუბი აუტეხა – ოჯახში უფროსი შენ კი არა, მე ვარო. უყვირა, აგინა... როგორც ჩანს, ისიც საპასუხოს ეუბნებოდა. ამან მოთმინებიდან გამოიყვანა და მამას ცემა დაუწყო. ესეც არ იკმარა – ხის ჩამჩას სწვდა და იქამდე ურტყა თავში, სანამ სიცოცხლეს არ გამოასალმა. მოკლულის სხეული მან და მისმა ძმამ ფერდობიდან გადააგდეს – ვითომ იქიდან გადავარდა თვითონ... არადა, დრო რომ გავიდა, მკვლელობის შესახებ თავად ლაპარაკობდა. სინამდვილეში რაც მოხდა, მისმა დებმაც იცოდნენ, მაგრამ ამბობდნენ – რა ვქნათ, ძმაა, მისი ციხეში ჩასმა რად გვინდა, ეს უბედურება არ გვეყოფნისო? მამის ქელეხისთვის შემოსული 1.000 ლარი ადგილობრივ პოლიციას გადასცეს და საქმეც მიჩქმალეს...“ – ჰყვებიან დაზარალებულები, თუმცა ეს ამბავი ოფიციალური ინფორმაციით არ დასტურდება. სისხლის სამართლის საქმე აღნიშნული ფაქტის გამო არ აღძრულა, შესაბამისად არც სოფელში მოარული ხმებია შემოწმებული. მეზობლების თქმით, ნოშრევან ფერაძე მამის, ისევე, როგორც ბიძაშვილის მკვლელობის დროს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. თავად განსასჯელი ორივე ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს:

„მამაჩემი მე და ჩემმა ძმამ კლდის ძირას დაგდებული ვიპოვეთ. უკვე მკვდარი იყო. როგორც ჩანს, ფეხი დაუცდა და გადავარდა. თავი გატეხილი ჰქონდა, ექსპერტებმაც თქვეს, რომ სხეულზე დაზიანებები დაცემის



„გყვია თოფიდან შეთხვევით გაიწვარა...“

ნოშრევან ფერაძეს დაზარალებულები, ბიძაშვილის გარდა, საკუთარი მამის მკვლელობაშიც ადანაშაულებენ

შედევად ჰქონდა მიღებული“.

პროკურორმა ჩადენილი დანაშაულებისთვის ნოშრევან ფერაძის მკაცრად დასჯა – 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. თუმცა, მოსამართლე თამაზ ილიაშვილმა სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიცია არ გაიზიარა და განსასჯელს განზრახ მკვლელობის მცდელობის შესაბამისი მუხლები მოუხსნა. ნოშრევან ფერაძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

რაც შეეხება შავლეგ ფერაძის მკვლელობის ფაქტს, განსასჯელი ირწმუნება, რომ იგი მას განზრახ კი არ მოუკლავს, არამედ შემოაკვდა. პროკურატურის ვერსია საპირისპიროს ამტკიცებს.

2000 წლის 18 იანვარს ასპინძის რაიონის სოფელ აწვებაში მცხოვრები ბადრი ივანიძე თავის დაბადების დღეს აღნიშნავდა. მასთან მისალოცად მეზობლები და ნათესავები – აკაკი ივანიძე, კობა ივანიძე, ზაურ ივანიძე, ელდარ ფერაძე და მისი ბიძაშვილი შავლეგ ფერაძე მივიდნენ. სუფრასთან ელდარსა და შავლეგს შელაპარაკება მოუვიდათ, თუმცა ისინი დააშოშმინეს, სიტუაცია განმუხტეს და კვლავ ქეიფი განაგრძეს. მიუხედავად ამისა, ცოტა ხანში კამათი ისევ განახლდა. ჩხუბი მალე ერთმანეთის ცემაში გადაიზარდა. გაშველების შემდეგ ელდარ ფერაძემ იქაურობა მიატოვა, დან-



მოკლული შავლეგ ფერაძე

არჩენი სტუმრები ბადრი ივანიძის სახლში დარჩნენ. ჩხუბიდან ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, როცა ეზოში სროლის ხმა გაისმა. ოთახში, სადაც ისინი ისხდნენ, ფანჯრის მინები ჩაიმსხვრა, საფანტი კი შიგნით, კედელს მოხვდა. სუფრასთან მსხდომნი უვნებლად გადარჩნენ, ყველანი მაშინვე გარეთ გამოცვივდნენ. ოთახში მხოლოდ შავლეგ ფერაძე დარჩა, რადგან მას ეზოში გასვლა არ ურჩიეს. სანადირო თოფი ელდარ ფერაძის ძმას – ნოშრევან ფერაძეს ეჭირა ხელში. საბრალდებო დასკვნის თანახმად, სახლში ძმის დაბრუნების შემდეგ, როცა შეიტყო, რომ ივანიძის ოჯახში ელდარს სცემეს, მან სპე-

ციალურად აიღო თოფი, გაამზადა და სამი ვაზნით ბადრი ივანიძის სახლისკენ გაემურა. პირველად ყველასთვის მოულოდნელად, გაუფრთხილებლად იმ ფანჯრის მიმართულებით გაისროლა, სადაც ლამპის შუქი ენთო. მეორედ ტყვია ჰაერში ისროლა – მაშინ, როცა შეშინებული ხალხი გარეთ გამოვიდა და მის შეჩერებას ცდილობდა. მესამედ ნოშრევან ფერაძემ სახლიდან გამოსულ შავლეგ ფერაძეს ესროლა – შენ მინდოდიო, დაუძახა და თოფი დაუმიზნა. ტყვია შავლეგ ფერაძეს სახის არეში მოხვდა, ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და რამდენიმე წამში იგი ადგილზე გარდაიცვალა.

ნოშრევან ფერაძე მაშინვე გაიქცა,



ნოშრევან ფერაძეს (შუაში) 15 წლით პატიმრობა მიუსაჯეს

ივანიძეები მას დაედევნენ, თუმცა ვერ დაეწივნენ. როგორც ამბობენ, ფერაძემ თოფი მათაც მიუშვირა, შეეშინდათ – ჩვენც არ გვესროლოსო და უკან დაბრუნება და დაჭრილის მდგომარეობის გარკვევა ამჯობინეს.

ნოშრევან ფერაძე სამი დღის განმავლობაში მეზობელ სოფელში იმალებოდა, ამ ხნის მანძილზე პოლიციას მისი ძმა – ელდარ ფერაძე ჰყავდა დაკავებული, თუმცა იგი ნოშრევანის დაპატიმრებისთანავე გაათავისუფლეს. პროკურატურა ამ უკანასკნელს შავლევ ფერაძის განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებს. აღნიშნული ბრალდების გარდა, მას კიდევ სამი მუხლი მიუყენეს – ორი განზრახ მკვლელობის მცდელობა (ერთი – ბადრი ივანიძის სახლის ფანჯრის მიმართულებით სროლის გამო, რადგან გამოძიების თანახმად, გასროლილი ტყვია ოთახში მყოფი პირების სიცოცხლისთვის საშიშროება იყო, მეორე კი, 1993 წლის 27 აგვისტოს თანასოფელის – ქეთევან კიზირიას დანი დაჭრის გამო).

მოწმეები იმასაც აღნიშნავენ, რომ ელდარ ფერაძემ ჩხუბის შემდეგ, წასვლისას დაიმუქრა – ნახეთ, ჩემი ცემის გამო რაც მოგივათ, ამას მე და ჩემი ძმა არ შეგარჩენთო. დაკითხვი-

გასაცნობად გამოძიების, მაშინ ის ჩვენება, სადაც თითქოს ყველაფერს ვაღიარებ, ოქმებში არ იღო.

არ ვიცი, მერე საიდან გაჩნდა – დასძინა განსასჯელმა. მან ის ჩვენებაც უარყო, რომელიც საკუთარი ხელით აქვს დაწერილი: ალბათ ჩემი ხელწერა გადაიღესო – განაცხადა მან. თუმცა მოსამართლემ უსაფუძვლოდ გამოდასახელებულ ჩვენებათა სპეციალური ექსპერტიზის დანიშვნა საჭიროდ არ ჩათვალა.

2000 წლის 18 იანვარს მომხდარი, განსასჯელმა სასამართლოში ასე აღწერა: **„იმ დღეს, დილით, ჩემი ძმისთვის – ელდარისთვის, რომელიც ცალკე ცხოვრობს, პური უნდა მიმეტანა. როცა დედაჩემმა პურები გამოაცხო, წავედი კიდეც, მაგრამ ელდართან სახლში არავინ დამხვდა. მე უკან, ჩემს სახლში გამოვბრუნდი. შინ რომ მივედი, სანადიროდ წასვლა გადავწყვიტე. ნადირობა ძალიან მიყვარს და სანადირო თოფიც სწორედ ამიტომ**

ში გასროლა მინდოდა, მაგრამ ტყვია ფანჯარას მოხვდა. შუშის მსხვრევის ხმა გავიგონე. სახლიდან მაშინვე აკაკი, ბადრი და კობა ივანიძეები გამოვიდნენ, იქვე გაჩნდა ზაურ ივანიძეც. ჩემს საცემრად მოიწვედნენ. მე მათ ვაფრთხილებდი – არ მომეკაროთ, ვერ ხედავთ, ხელში თოფი მიჭირავს-მეთქი? მიუხედავად ამისა, ბადრი ივანიძემ თავში ჯოხი ორჯერ ჩამარტყა, მე დასაშინებლად ჰაერში გასროლა გადავწყვიტე. სწორედ ამ დროს სახლიდან შავლევ ფერაძე გამოსულა, ტყვია თოფიდან შემთხვევით გამივარდა და მას მოხვდა.

მე შავლევ ფერაძე განზრახ არ მომიკლავს. ვინმეს მოკვლა რომ განმეზრახა, პირველ რიგში ბადრი ივანიძეს მოკვლავდი – იმიტომ, რომ უთანხმოება სწორედ მასთან მქონდა და არა შავლევთან“.

ნოშრევან ფერაძე ბადრი ივანიძესთან უთანხმოების მიზეზად ნაჯახის ქურდობას ასახელებს. მისი თქმით, ერთხელ, როცა მისი ძმის – ელდარის სახლში ქეიფობდნენ, ბადრი ივანიძე ღამით იქ დარჩა. იგი დილით ყველაზე ადრე წავიდა. მეორე დღეს ოჯახის წევრებს ნაჯახი დასჭირდათ, მაგრამ ვერსად იპოვეს. ეჭვი ბადრი ივანიძეზე აიღეს. მას ამის შესახებ უთხრეს კიდეც და ნაქურდალის დაბრუნება მოსთხოვეს. ბადრი ივანიძემ ბრალდება კატეგორიულად უარყო, უფრო მეტიც – ყოველივე ეს იუკადრისა და ფერაძეებს უსაყვედურა. იმ დღის შემდეგ მათ შორის დაძაბული ურთიერთობა იყო. ბადრი ივანიძის თქმით, ელდარ ფერაძე მის დაბადების დღეზე დაუპატიჟებლად მივიდა.

...ტყვია შავლევ ფერაძეს სახის არეში მოხვდა, ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და რამდენიმე წამში იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სას მათ ჩხუბის მიზეზი არ დააკონკრეტეს, თუმცა გარშემომყოფნი ამბობენ, რომ უთანხმოების მიზეზი ნოშრევან ფერაძის მიერ მამის მკვლელობის თემა იყო: მათი თქმით, შავლევ ფერაძემ ნოშრევანს რამდენჯერმე „მამის მკვლელი“ უწოდა.

აღსანიშნავია, რომ ბრალდებული წინასწარი გამოძიებისას მიცემულ ჩვენებებში პროკურატურის მიერ წარმოდგენილ ვერსიას საკსებით ადასტურებს. თუმცა, დღეს, სასამართლო პროცესზე თავის ბრალეულობას კატეგორიულად უარყოფს, ადრე მიცემულ ჩვენებებზე კი ამბობს, რომ არ იცის, საიდან გაჩნდა ის საქმეში.

„როცა საქმის მასალები

შვეიძინე ერთი თვის წინ. საღამოს, შინ რომ ვბრუნდებოდი, ჩემი ძმა ქუჩაში უგონოდ დაგდებული ვიპოვე, სახე სულ გასისხლიანებული ჰქონდა, სასტიკად ნაცემი იყო. სახლში მივიყვანე. როცა გონს მოვიდა, შევეკითხე – ვინ გცემა-მეთქი? აკაკი და ბადრი ივანიძეებმა და შავლევ ფერაძემ მცემეს, მაგრამ არ ვიცი, რისთვისო. მე საქმის გასარკვევად მაშინვე ივანიძეების სახლისკენ გავემართე, თოფი თან მქონდა – იგი თავდაცვის მიზნით წავიდე. ეზოში შევედი თუ არა, იმათ დასაშინებლად, ვინც ელდარს სცემა, ჰაერში გავისროლე. უფრო სწორად, ჰაერ-

სამი კვირაა, რაც უზენაეს სასამართლოში გოჩა და ჯამლეთ გუჯეჯიანების სისხლის სამართლის საქმეს იძიებენ. მათ ექვსი პოლიციელის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ედებათ ბრალი. პროცესის მონაწილენი ვარაუდობდნენ, რომ საქმის განხილვა ერთ კვირაზე მეტხანს არ გასტანდა, თუმცა პროკურატურის მიერ მოკვლეულ მასალებში ბევრი უზუსტობა და შეუსაბამობა აღმოჩნდა. ამან საქმესთან კავშირში მყოფ სამართალდამცავთა არაერთი დაკითხვა მოითხოვა.



„ვესტბერნი“ თბილისის ქუჩაებში

„გიშედავად ამდენი სროლისა, ტყვია არავის და არაფერს მოხვედრია...“

მეზი სანავა

ეს ამბავი 2000 წლის 28 ივლისს მოხდა. საღამოს 8 საათისთვის პოლიციელთა ოპერატიულმა ჯგუფმა 38 წლის ჯამლეთ გუჯეჯიანი და მისი ნათესავი, 27 წლის გოჩა გუჯეჯიანი დააკავა. პროკურატურის ინფორმაციით, ჯამლეთ გუჯეჯიანი ავტომობილი იყო შეიარაღებული. იმ დღეს იგი გოჩა გუჯეჯიანსა და გამოძიებით დაუდგენელ ორ პიროვნებას შეხვდა. ცეცხლსასროლი იარაღები ამ უკანასკნელთაც ჰქონდათ. ისინი სხვის სახელზე გაფორმებული ავტომანქანით ერისთავის ქუჩიდან ცოტნე დადიანის ქუჩის მიმართულელებით მიდიოდნენ. გოჩა გუჯეჯიანს პოლიციელის ფორმა ეცვა (იგი პოლიციის თანამშრომელი არ გახლავთ), ფორმაზე სამხრეები ჰქონდა დაკრებული. ნაძალადევის რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებს: გოჩა გიგანს, გია კაციტაძეს, ზაზა იანვარაშვილს და გოჩა ფსუტურს (დანარჩენი ორი პოლიციელი საქმის მასალებში დასახელებული არ არის, რადგან ე.წ. „დამხმარე ჯგუფიდან“ იყვნენ) ეს საეჭვოდ მოეჩვენათ. ისინი იმ დროს ოპერატიულ შემოვლას აწარმოებდნენ და აღნიშნული პიროვნების შემოწმება გადაწყვიტეს. საეჭვო პიროვნებებს ე.წ. კიკვიძის ბაღის ცენტრალურ შესასვლელთან დაე-



წვივნენ, პოლიციის მუშაის პირადობის მოწმობა აჩვენეს და ავტომანქანის გაჩერება მოსთხოვეს. გაჩერების ნაცვლად, მანქანამ დიდი სისწრაფით განაგრძო გზა. მას პოლიციელები დაედევნენ. ამ დროს გოჩა გუჯეჯიანმა ავტომანქანის ფანჯრიდან ავტომანქანი ხელი გამოყო და პოლიციელთა მიმართულელებით სროლა დაიწყო. მოძრაობისას გუჯეჯიანი და მისი თანმხლებნი ჩიხში მოექცნენ და გადაადგილება ვეღარ მოახერხეს. ისინი მანქანიდან გადმოვიდნენ, გოჩა გუჯეჯიანმა სამართალდამცავებისკენ კვლავ გაისროლა. პოლიციელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. გოჩა გუჯეჯიანი ადგილზე დააკავეს, იარაღიც წაართვეს, ჯამლეთი და მისი ორი თანმხლები კი გაიქცნენ. პოლიციელებმა მათგან მხოლოდ ჯამლეთ გუჯეჯიანის დაკავება შეძლეს, ხსენებულმა ორმა თანმხლებმა კი მიმალვა მოახერხა. მათი ვინაობა დღემდე დაუდგენელია.

პროკურატურამ გუჯეჯიანებს პოლიციელთა განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლები მიუყენა. აღსანიშნავია, რომ მომხდარი ფაქტის შედეგად, სხეულის დაზიანება არც სამართალდამცავთა, არც ბრალდებულთა მხრიდან და არც ქუჩაში მოსიარულეთაგან არავის მიუღია.

საბრალდებო დასკვნაში დაფიქსირებულია, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია 8 ავტომობილის მასრა: აქედან 5 – გოჩა გუჯეჯიანის ავტომობილიდან, ხოლო 3 – ჯამლეთ გუჯეჯიანის ავტომობილიდან არის გასროლილი. ნივთმტკიცებებს ემატება ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღები და ექსპერტიზის ოქმი, რომელიც გოჩა გუჯეჯიანის თითის ანაბეჭდების ავტომობილზე დაფიქსირების ფაქტს ადასტურებს.

ბრალდებულები თავს უდანაშაულოდ აცხადებდნენ. პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალდებებსა და მტკიცებულებებს ისინი დღესაც უარყოფენ.

წინასწარი გამოძიებისას ჩატარებული დაკითხვის დროს გოჩა გუჯეჯიანმა აღნიშნა, რომ 2000 წლის თებერვალში დედამისი ცულად გახდა. მან იგი სამკურნალოდ, თბილისიდან გარდაბნის საავადმყოფოში გადაიყვანა. 28 ივლისს გოჩა გუჯეჯიანი თბილისში, ნათესავთან სტუმრად იყო მისული. კვირიკო-

ბის დღესასწაულს აღნიშნავდნენ და სუფრასთან არაყი დალია. იქიდან დაახლოებით 6 საათისთვის, საკმაოდ მთვრალი წამოვიდა. ავადმყოფი დედის სანახავად კვლავ გარდაბანში აპირებდა წასვლას. ქუჩაში მოულოდნელად თავის ნათესავს – ჯამლეთ გუჯეჯიანს შეხვდა. აღმოჩნდა, რომ მათ ერთი გზა ჰქონდათ. იქვე, დაქოქილი თეთრი მანქანა შენიშნეს. ჯამლეთ გუჯეჯიანმა ავტომანქანის მძღოლს სთხოვა, ისინი ვაგზლისკენ წაეყვანა. მძღოლი დათანხმდა. მის გარდა, მანქანაში კიდევ ერთი უცნობი იჯდა. კიკვიძის ბაღს რომ მიუახლოვდნენ, მოწითალო ფერის ავტომანქანა წამოეწიათ, შიგ მსხდომებმა უთხრეს – პოლიციიდან ვართ და გაჩერდითო. მძღოლმა სიჩქარეს მოუმატა. გოჩა გუჯეჯიანმა იკითხა – რაშია საქმეო, მაგრამ პასუხი არავინ გასცა. უეცრად ატყდა სროლა და ერთ-ერთმა უცნობმა დაიძახა – „სუმკა“ გადაადგეთო. გოჩა გუჯეჯიანმა ხელჩანთას, რომელიც უკანა სავარძელზე იდო, ხელი სტაცა და მანქანიდან გადაავლო. მანქანა გააჩერეს. პოლიციელებმა იყვირეს – ძირს დაწეკითო. გოჩა გუჯეჯიანი ბრძანებას დაემორჩილა.

განსასჯელი აღნიშნავს, რომ არანაირი იარაღი თან არ ჰქონია და არც პოლიციელთათვის უსვრია. მისი თქმით, მას არც პოლიციელის ფორმა ეცვა: „როცა დამაკავეს, სადღაც შემიყვანეს, რაც ტანთ მეცვა, გამზადეს და ფორმა ჩამაცვეს“ – დასძინეს იგი. სასამართლოს გოჩა გუჯეჯიანმა იგივე ჩვენება მისცა, ოღონდ იმ განხიზვავებით, რომ არ ახსოვს, ჩანთა მანქანიდან გადაავლო თუ არა. პროკურატურის ინფორმაციით, ჩანთაში ცეცხლსასროლი იარაღის მთელი არსენალი იდო.

ბრალდებას უარყოფს ჯამლეთ გუჯეჯიანიც. სამართალდამცავთა თქმით, იგი გოჩა გუჯეჯიანის დაკავებიდან 15 წუთში აიყვანეს. მათი მტკიცებით, ჯამლეთმა, შეამჩნია თუ არა, რომ უკან მოსდევდნენ, ავტომატიდან მათ სროლა დაუწყო. პოლიციელებს კი მისთვის არ უსვრიათ, ისე მოახერხეს მისი დაკავება. წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, ისევე, როგორც საქმის სასამართლო განხილვის დროს, ჯამლეთ გუჯე-

ჯიანმა გოჩა გუჯეჯიანის ნათქვამი საყვებით დაადასტურა. მისი თქმით, იმ დღეს იარაღი არც მას ჰქონია, შესაბამისად, არც გაუსვრია.

რაც შეეხება დაზარალებულებს – ნაძალადევის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებს, ისინი საპირისპიროს აცხადებენ. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მათგანი – ზაზა იანვარაშვილი 6 თვის წინ დააპატიმრეს. პროკურატურა მას თავისი მეგობრის განზრახ მკვლელობაში ადანაშაულებს. ერთ-ერთი დაზარალებული – გოჩა ფსუტური კი, მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე ხანში გარდაიცვალა.

წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში დაზარალებულად ცნობილმა პოლიციელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გუჯეჯიანები მათი მისამართით ავტომატებით ისროდნენ. სასამართლო პროცესზე კი დაკითხულმა გიგანმა, კაციტაძემ და იანვარაშვილმა დასძინეს: მართალია, გუჯეჯიანებმა გაისროლეს, მაგრამ დარწმუნებულნი არ ვართ – ჩვენი მისამართით თუ ჰაერში – რათა უბრალოდ, ჩამოვეშორებინეთო... რაც შეეხება გოჩა გუჯეჯიანის ტანზე პოლიციის ფორმასა და საეჭვო სამხრეებს, ამას ისინი ამჟამადაც ადასტურებენ.

თუ რამ გამოიწვია პოლიციელთა კატეგორიული ტონის შერბილება, მათ ასე ახსენეს: იმ დროს აღელვებულები ვიყავით, და როცა გაისროლეს, ვიფიქრეთ, რომ ჩვენი მისამართით ისროდნენ. დარწმუნებულები ვიყავით თუ არა ამაში – პირველ ჩვენებაში აღარ აღგვინიშნავსო.

განსასჯელთა ინტერესების დამცველი ადვოკატები – დავით კორკოტაშვილი და კოტე ჯავახიშვილი გუჯეჯიანების გამართლებას მოითხოვენ. მათი თქმით, პროკურატურის მიერ მოკვლეულ მასალებში უამრავი გაურკვეველი მტკიცებულება და პროცესუალური დარღვევაა. ამის გამო ადვოკატებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნება და განსასჯელთა უკანონო პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლება.



განსასჯელები – გოჩა (მარჯვნივ) და ჯამლეთ გუჯეჯიანები

დავით კორკოტაშვილი, ჯამლეთ გუჯეჯიანის ადვოკატი:

„საქმის მასალებში ყველაფერი ისეა წარმოდგენილი, როგორც მძაფრსიუჟეტთან ამერიკულ ვესტერნში: ორი ავტომანქანა, ერთში – ავტომატებით შეიარაღებული ბოროტმოქმედები და ჩანთაში ჩალაგებული, ცეცხლსასროლი იარაღის მთელი არსენალი, მეორეში – „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებით შეიარაღებული ექვსი პოლიციელი. დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანებიდან მიმდინარეობს ორმხრივი სროლა, ჯერ „ბოროტმოქმედთა“ დევნისას, მეორედ – მანქანიდან მათი გადმოსვლისას და მესამედ – ჯამლეთ გუჯეჯიანის დაკავებისას. ერთადერთი და ყველაზე თვალში საცემი ნაკლი ამ „ვესტერნის“ ის გახლავთ, რომ მიუხედავად ამდენი სროლისა, ტყვია არავის და არაფერს მოხვედრია... არც ადამიანს და არც რომელიმე ავტომანქანას. უფრო მეტიც – სროლის კვალი არც ასფალტს ეტყობა... საინტერესოა ერთი დეტალიც:

განსასჯელთა ადვოკატი დავით კორკოტაშვილი (მარჯვნივ)



შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია მხოლოდ გუჯეჯიანების ავტობმატებიდან გასროლილი ტყვიის მასრები. სად გაქრა პოლიციელთა „მაკაროვის“ პისტოლეტების ტყვიები? ისინიც ხომ ისროდნენ!

ცხადია, რომ ჯამლეთ გუჯეჯიანი, ისევე, როგორც გონა გუჯეჯიანი, უდანაშაულონი არიან. ეს არა მართო მათი ჩვენებით, არამედ საქმის სხვა მასალებითაც მტკიცდება. არ არსებობს არც ერთი რეალური მტკიცებულება, რაც მათ დანაშაულზე მითითებს. არსებობს მხოლოდ ისეთი

ნივთმტკიცებები, რომელთა მოპოვება ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენთან პოლიციას არასოდეს უჭირს. რაც შეეხება გონა გუჯეჯიანის თითის ანაბეჭდებს, რომელიც თითქოსდა ერთ-ერთ ავტობმატზე დააფიქსირეს, ძალიან საეჭვოა: საქმის მასალებში არსებობს ექსპერტიზის ოქმი, მაგრამ თავად ანაბეჭდები მას არ ერთვის. როცა მოვიკითხეთ, გვითხრეს – არ არისო...“

აღსანიშნავია, რომ ორივე განსასჯელი ადრე ნასამართლებია. ჯამ-

ლეთ გუჯეჯიანმა – პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, გონა გუჯეჯიანმა კი – აუცილებელი მოგერიებით ჩადენილი მკვლევლობისთვის მოიხადა სასჯელი. თუმცა, მათი ადვოკატების თქმით, ძველი ნასამართლობა იმას არ ნიშნავს, რომ პასუხი აგონ იმისთვის, რაც არ ჩაუდენიათ.

აღნიშნული საქმის განხილვა უზენაეს სასამართლოში გრძელდება. მომავალ კვირას თავის სიტყვას სახელმწიფო ბრალმდებელი იტყვის.



ბარეულის კუნძულზე ახალი ოცნება



ბევრი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის მომსწრე რუსეთის საზოგადოებრიობაც კი გაკვირვებული დარჩა, როცა პირველად შეიტყო ამ გრანდიოზული თაღლითობის ამბავი. ფოტოსურათზე აღბეჭდილმა სამეულმა – ანდრეი კო-

სოვრო ფოტო, რომელიც მოგვიანებით თვითმხილვად იქცა მათთვის).

1998 წლის დამდეგს კოზლინოვს სასტუმროში საბერძნეთის პოლიცია დაადგა, შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლებას გადასცეს და 10 წლიანი პატიმრობა დაემუქრა, მაგრამ როგორც იტყვიან, კეთილ აღამიანებს ამ ქვეყანაზე რა გამოლევს?! მას მხოლოდ 6 წელი მიუსაჯეს, ახლა კი, სულ მალე, სანიშნო ქვეყნისთვის ნახევარი „სროკიც“ შეიძლება ჩამოაჭრან. როგორც რუსული პრესა წერს, ამ შემთხვევაში მას კვლავ მიეცემა შანსი ბერძულზე გასამეზავრებლად, სადაც სიხარულით შეხვდება აწინასწარი უკვე გათავისუფლებული ევგენი ბიჩკოვი. ამბობენ, მეგობრებს არც „პურის ფული“ უნდა გაუჭირდეთ, რადგან გატაცებული 187 მილიონიდან რუსეთის საზინას მხოლოდ და მხოლოდ 45 მლნ დაუბრუნდა.

დაბოლოს – რუსეთში ბევრი კითხულობს: როგორ მოხერხდა ამხელა ღირებულების ოქრო-ალმასის ქვეყნიდან გატანა? არსებული კანონების თანახმად, რუსეთის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერის ხელმოწერის გარეშე ეს შეუძლებელია. თუმცა, როგორც თავად რუსი ჟურნალისტები წერენ – რუსეთში შეუძლებელი არაფერია...

ქაბა საკუთარ დას ტაშა მსროლა

ხელვაჩაურის რაიონში შემზარავი მკვლელობა მოხდა. სოფელ განთიადში მცხოვრებ 25 წლის მინდია მხიბესა და მის დას – 23 წლის დანა მხიბეს ურთიერთშეღაპარაკება მოუვიდათ. ჩხუბის დროს მინდიამ დას გადაჭრილი სანადირო თოფიდან ესროლა. დიანა გულმკერდის არეში სასიკვდილოდ დაიჭრა და მაშინვე გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტს ადგილობრივი რაიონული პროკურატურა იძიებს. დაძმის ჩხუბისა და მკვლელობის მიზეზები ღვინდება.

თბილისში ბაბაი იპოვეს

ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონის I კვარტლის №13 კორპუსთან მოკლულის გვამი იპოვეს. გარდაცვლილი იმავე №13 კორპუსში მცხოვრები 30 წლის ელუარდ მხითარაიანი აღმოჩნდა. იგი გულმკერდის არეში დანით იყო დაჭრილი. აღნიშნულ ფაქტს ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა იძიებს.

ბასულ კვირას მკვლელობა

ქუთაისში დაფიქსირდა

ლამის 3 საათზე, სოლომონ პირველის ქუჩაზე 23 წლის კახაბერ კეჭყემაძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით პოლიციის თანამშრომელი მოკლა. მოკლული, 38 წლის ამირან ჟვანია გახლავთ. იგი პოლიციის უფროსი ლეიტენანტი და უბნის ინსპექტორი იყო. 8 ივნისსაც, ღამით, სწორედ სამსახურებრივი მოვალეობით – უბნის შემოვლით იყო დაკავებული.

თუ რა მიზეზით მოკლა იგი კახაბერ კეჭყემაძემ, პროკურატურა იკვლევს. ოფიციალური ინფორმაციით, პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან ავტობმატის ორი მასრა ამოიღო. კახაბერ კეჭყემაძე ქუთაისში, წმინდა სამების №59-ში ცხოვრობს. დაკავებისას, სამართალდამცავებმა მას „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი უპოვეს.

შემოვლას კიდე პატი

პოლიციის სიხილზე შაჰინია


ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანასთან სამართალდამცავთა ოპერატიული ჯგუფს, რომელიც ე.წ. შემოვლას აწარმოებდა, სამა პიროვნებამ ცეცხლი გაუხსნა. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი – შს განყოფილების ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ქვეგანყოფილების უფროსი – 1960 წელს დაბადებული პოლიციის უფროსი ლეიტენანტი პაატა ესიაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. მასთან ერთად მყოფნი – სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების ინსპექტორი, 1975 წ.დ. პოლიციის ლეიტენანტი იმედა კახურაშვილი და უბნის ინსპექტორი, 1965 წ.დ. პოლიციის უფროსი ლეიტენანტი დავით ციციშვილი დაიჭრნენ.

გამოძიებას ხაშურის რაიონის პროკურატურა აწარმოებს.



როგორი მსახიობია მარი ჯანაშია, ყველამ კარგად იცის, მაგრამ როგორია იგი რეალურ ცხოვრებაში? რა განსაკუთრებული თვისებები ახასიათებს? რა სწყინს და რა უხარია? — მსახიობს რუსთაველის თეატრში, მის საგრიმიროოში შევხვდით.

მარი ჯანაშია: „ზეზოს ვსხობოხრიით — მე გავზობოდი, თქმით მყავებოდა“



ქმარ-შვილთან ერთად ბაკურიანში

ხათუნა ჩაპახიშვილი ნათია თანიშვილი

— რას ნიშნავს თქვენთვის სა-
გრიმიროო?

— საგრიმიროო ჩემთვის ჰაერია: ეს ის ადგილია, სადაც სხვა ადამიანად გარ-
დავიქმნები. ამ ოთახიდან იდგმება პირვე-
ლი ნაბიჯი სცენაზე.

— როგორი იყო პირველი ნაბიჯი
სცენაზე?

— პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც
„ანტიგონეში“, პაყის როლი შევასრულე.
ეს შოკი იყო ჩემთვის: სცენაზე ვიდექი
ისეთი ბუმბერაზი მსახიობების გვერდით,
როგორებიც არიან ზინაიდა კვერენჩილაძე
და სერგო ზაქარიაძე. სიზმარში მეგონა
თავი და ახლაც სიზმარივით მახსენდება.

— რამ განაპირობა თეატრალურ
ინსტიტუტში თქვენი ჩაბარება?

— ბავშვობიდან მიზიდავდა სხვადასხ-
ვა გმირის გასახიერება, მაგრამ სიმორცხ-
ვის გამო არასოდეს მითქვამს. ჰუმანი-
ტარულ საგნებში ძლიერი ვიყავი და გადა-
წყვეტილი მქონდა უნივერსიტეტში ჩაბარე-
ბა. ერთ დღეს მეგობართან ერთად კინო-
სტუდიასთან ჩავიარე, საიდანაც ყმაწვილი
გამოვიდა და მითხრა: ჩხეიძეს სინჯები
აქვს და გთხოვთ შემობრძანდეთო. საუბრი-
სას ბატონმა რეზომ მითხრა, არავითარი
უნივერსიტეტი — დღესვე შეიტანე საბუთე-
ბი თეატრალურ ინსტიტუტშიო. როგორც
ჩანს, ბიძგი მჭირდებოდა. იქიდან გამოსუ-
ლი, არტოს ბაღში გავიქეცი, სურათი გა-

დავილე და უნივერსიტეტისთვის გამზადე-
ბული საბუთები თეატრალურში შევიტანე.

— მშობლების მხრიდან წინააღმ-
დეგობა არ შეგხვედრათ?

— მათ წინააღმდეგობის გაწევა ვერ
მოასწრეს, რადგან ფაქტის წინაშე აღ-
მონდნენ. მამაჩემი მკაცრი კაცი არ იყო,
მაგრამ მე და ჩემს დას უზომო რიდი
გვქონდა მისი. საკმარისი იყო ერთი
გამოხედვა და ყველაფერს ვხვდებოდით.
ერთ საღამოს მამას დაურეკეს და ჰკითხ-
ეს — თეატრალურში ვილაც ჯანაშია აბარებს,
მშვენიერი გოგოა, შენი ხომ არაფერიაო?
არაო, უპასუხა მამამ და უცებ გამომხედა.
მე თავი ჩავლუნე და „პანტომიმით“ ვანიშნე,
რომ ის გოგო მე ვიყავი. მდაა, — თქვა
მამაჩემმა, ყურმილი დაკიდა და ნახვამდ-
ისო, მერე დააყოლა. გარკვეული დროის
შემდეგ მამა გამომიტყდა: ჩემს ოცნებას
შენ შეასხი ფრთებიო...

— რას გულისხმობდა? მსახიო-
ბობაზე ოცნებობდა მამათქვენ?

— მამას კარგი ხმა ჰქონდა. კონსერვა-
ტორიაში უნდოდა ჩაბარება, მაგრამ ომის
პერიოდი დაემთხვა და ვერ ჩააბარა. იმ
დროს პატარა ბიჭებს სხვადასხვა სამ-
უმაოზე უმუშებდნენ. ალბათ ამას გულისხ-
მობდა.

— თქვენ ხშირად ოცნებობთ?

— ვთვლი, რომ ეს ჩემი ნაკლია —
იმდენად მეოცნებე ვარ. ხშირად დავნარ-
ცხებულვარ ოცნებიდან მიწაზე, მაგრამ
უამისოდ ქვეყნად ვერ იარსებებ: ეს თვისე-
ბა ნებისმიერ ადამიანს ალამაზებს. ირგვ-

ლი ყველას ძლიერი პიროვნება ვგონივარ,
რადგან ყველას მე ვუღვავარ მხარში და
ვამხნევებ, მაგრამ მე არ ვთვლი ასე... ერთი
კვირის წინ ძალიან ცუდად ვიყავი. ბექამ
(შვილმა) მითხრა: „დე! მე შენ ახლა
ისეთ რაღაცას გიჩვენებ — როცა არ უნდა
დახედო, კარგ გუნებაზე დადგები“ — და
გამომიტანა ხის სასაცილო ლეკვი — ბექას
და თემოს ბავშვობის სათამაშო. მას მერე
ეს ლეკვი სულ ხელში მიჭირავს და
როცა არ უნდა დავხედო მუჭში მოქცეუ-
ლი ლეკვის სახეს, სიცილი მივარდება.

— როგორი დედაა მარი ჯანა-
შია?

— მეგობარი დედა ვარ. ჩემი ყველაზე
დიდი ნატვრაა, ჩემს შვილებს არ დაემსხ-
ვრეთ ოცნება. ჩემთვის უპირველესი, ჩემი
შვილებისა და შვილიშვილების კარგად
ყოფნაა. თუ მათ ყველაფერი რიგზე აქვთ,
მხოლოდ მაშინ შემიძლია საკუთარ თავზე
ფიქრი: მაგალითად — ცუდი არ იქნებოდა,
ესა და ეს როლი მეთამაშა-მეთქი... ბატონ-
ნი მიშა (თუმანიშვილი) გვეუბნებოდა
ხოლმე — ოჯახი არ შექმნათო: მსახიობმა
არ უნდა იფიქროს იმაზე, დღეს ტოლმა
გააკეთოს თუ კატლენტი...

— ბებინა და შვილიშვილის
ურთიერთობაზე რას გვეტყვი?

— ეს მიუწვდომელი, საინტერესო და



დანიელ ოლბრისისკისთან ერთად, კადრი ფილმიდან „ღინოზავრის კვერცხი“.

სათუთი სამყაროა. სპექტაკლზე მიღებულ ყვეაილებს მე და მარიტუნა ვინაწილებთ ხოლმე. ისიც ხშირად მიკეთებს საჩუქრებს. თან მიწერს: „მარის მარიტუნასგან, ძალიან მიყვარხარ“. მე ამ დროს ვდნები. ახლა რაზეც ვმუშაობ, ნინო ნატროშვილს (ჟურნალისტი, ტელევიზიის თანამშრომელი. — ავტ.) წავაკითხე. მითხრა — კარგია, მაგრამ სიყვარული აკლიაო. მოვიფიქრე, რომ ჩემს გმირს ექნება ზარდახმა, რომელშიც გაცრეცილი ბარათები და გამხმარი ყვეაილები იდება. მოვიფიქრე და გადავწყვიტე ყვეაილების გახმობა. სწორედ იმ დღეს მარიტუნასთან მივედი, შენთვის საჩუქარი მაქვსო, მითხრა და გამხმარი ყვეაილები გამომიტანა. იცით, რა დამემართა? გაევიჟდი!..

— კონკრეტულად, რა როლზე მუშაობთ, არ გაგვიხელთ?

— ახლა არ ვიტყვი. რაც ვთქვი, ყველაფერმა გვერდზე ჩამიარა (არ ასრულდა). მინდა, ცოტა ხანი ჩემთან იყოს.

— პირველი სიყვარული?..

— პირველი სიყვარული საბავშვო ბაღში მეწვია. რაც მთავარია, ორი ბიჭი მიყვარდა ერთად. სახელებიც კი მასსოვს — სოსო და ზურიკო. ყოველთვის მინდოდა ჩემ გვერდით მჯდარიყვენენ. ვცდილობდი კიდევ, მაგრამ არასოდეს მიმართლებდა: მასწავლებელი გოგონებს მისვამდა გვერდით. სკოლაში ვინც ყველაზე მაგრად მომწიწკნიდა თმას და წიგნს ჩამარტყამდა თავში — ვხვდებოდი, რომ მას ვუყვარდი. მეც ასევე გამოვხატავდი სიყვარულს.

— სერიოზული სიყვარული როდის გეწვიათ?

— არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

— მეუღლე — თემურ გოცაძე სად და როგორ გაიცანით?

— თემოს „ბერნარდა ალბას სახლის“ პრემიერაზე ვუნახივარ. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ იყო დიდი პაუზა.

ვდით ერთმანეთს, გადაღებაზე. როგორც მერე აღმოჩნდა, ეს შესვედრა თემოს მიერ იყო „ჩაწყობილი“.

— საუბარში ძალიან მშვიდი ადამიანი ჩანხართ, ჩხუბი თუ გაბასიათებთ საერთოდ?

— ძალიან არ მიყვარს ჩხუბი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ურეაქციო ვარ — რეაქცია შეგნით ხდება. არ მასსოვს, რომ მეყვიროს — ძალიან იშვიათად. ერთ ადამიანთან ამის გამო კონფლიქტიც მაქვს ხოლმე. ეს ადამიანი ჩემი ქმარია.

— თქვენ და ბატონი თემური ძალიან განსხვავდებით ხასიათით?

— თემო ფეთქებადია, მე — მშვიდი. გაბუტვა მშვევია, მაგრამ ვისაც ვებუტები, იმან არ იცის. ცხვირს ავწვევ და ასე დავდივარ. თემომ იცის ხოლმე თქმა — ასწია ცხვირი და ახლა რა შემოირიგებსო... აბსოლუტურად, თემოს დამასხურებაა, ჩვენი ურთიერთობა რომ შედგა. ბევრს ვჩხუბობდით — მე ვავრბოდი, თემო მაკავებდა. ეს ხუთი წელი გაგრძელდა. მერე მივხვდი და თემოს შევხვდე არა მარტო როგორც ქმარს და მამაკაცს, არამედ როგორც მხატვარს. აღმოვაჩინე, რომ მე მიწაზე დავდივარ, ის კი — სხვანაირად აზროვნებს. აზროვნებს ისე, როგორ ნახატებსაც ქმნის. აბსოლუტურად გაუგებ და იმდენს აღარ ვითხოვდი მისგან. თუმცა, ამის გამო ბევრი მისი გასაკეთებელი ჩემს თავზე ავიღე.

— მსახიობის

მერაბ ნინიძესთან ერთად. კადრი ფილმიდან „ო, რა ტკბილია განმორების ეს ნაზი სევდა“

შვილები ხშირად მშობლის პროფესიას ირჩევენ, თქვენს შემთხვევაში ასე არ მოხდა...

— არ მინდოდა, ჩემი შვილები მსახიობები რომ გამოსულიყვნენ. ძალიან მიხარია, რომ ამისთვის ბრძოლა არ დამჭირდა. თუმცა არც ვიცი, ვიბრძოლებდი თუ არა. მე ვიცი ჩემი შვილების ხასიათი. დედასავით მეოცნებენი და **ЛЕГКОРАНИМЫЕ** არიან. ჩემი და მათი ხასიათით თეატრში ყოფნა არ შეიძლება. მსახიობს დიდი შრომა და ტკივილების გაძლება უნდა შეეძლოს: ყველაზე მეტად კი პაუზის ატანა ჭირს. მე არ შემიძლია თხოვნა, მით უმეტეს — მოთხოვნა. ზედმეტად არ დავენახვები რეჟისორს, რომ არ დავავიწყდე. სავსებით შესძის ჩემი კოლეგების, რომლებიც ამას აკეთებენ. უბრალოდ, მე არ შემიძლია. არ შეიძლება ადამიანმა ყველაფერი იკადრო. მე მიჭირს ჩემს კოლეგას კვანტი გამოვლო. ერთმა დიდმა ადამიანმა თქვა: **В театре надо ходить по трупам**, მაგრამ მე ვერ დავეთანხმები... შვილს მსახიობობაში რომ შეუწყობ ხელი, იმას ნიშნავს, რომ უპერსპექტივო არსებობისათვის გაწირო. რუსთაველის თეატრი ერთ პრემიერას უშვებს წელიწადში, უსასხრობის გამო. კინო ხომ საერთოდ აღარ არსებობს. ისე გაიფრინა ათმა წელმა, რომელიც ყველაზე ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო ჩემთვის, რომ სულ რამდენიმე როლზე ვიმუშავე. ჩემს ასაკში კი — კლასიკურ პიესებში ქალის როლი აღარ არსებობს...

— ბევრი მსახიობისგან გამიგია — ფილმი, რომელშიც მონაწილეობენ, არ უნახავთ. თქვენ თუ გაქვთ ასეთი ფილმი?

— შეიძლება მუშაობის პროცესია საინტერესო და მერე გემინია. მაგრამ მე მგონია, მაინც უნდა ნახო — აბა, რისთვის იშრომე?! როდესაც ჩემს თავს ვუყურებ, სულ მეშინია. ბევრ შეცდომას ვპოულობ,



გარეგნობით ხომ ჩემი თავი არასოდეს მომწონდა. არც სახლში, არც საგრიმიოროში არანაირი ფოტოსურათი, პლაკატი ან აფიშა კედლებზე გაკრული არ მაქვს, რადგან დავიტანჯებოდი: რამდენჯერაც შევხედავდი, იმაზე უნდა მენერვიულა — აქ ასე სჯობდა გამეკეთებინა და იქ — ისე მეთქი... ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავის მიმართ. მგონი, მე თვითონ ვიქმნი ბარიერებს. ეს ერთგვარი თვითგვემაა.

— რა ზეგავლენას ახდენს თქვენზე პოპულარობა, რას გრძნობთ, როდესაც ქუჩაში გცნობენ?

— ერთხელ მე და ერთი ძველი თაობის მსახიობი მოვლიდით ქუჩაში. „მე მშურს შენი. შენ არ აქცევ ყურადღებას, ქუჩაში გცნობენ თუ არა. მე ქვემოდან ვიყურები და როცა ვერ მცნობენ, ვიბოლმები“ — მითხრა მან. მიშა თუმანიშვილი ჩვენ სტანისლავსკის მეთოდით — **ПУБЛИЧНОЕ ОДИНОЧЕСТВО** — გვზრდიდა, რის გამოც მაღლიერი ვარ მისი. ჩემ ირგვლივ მაქვს წრე, ამ წრის შიგნით ვერავინ შემოვა და მის გარეთაც ვერ ვხედავ ვერავის. ალბათ ეს მჭირს ქუჩაშიც. როცა მცნობენ, მიხარია, მაგრამ თუ ვერ მცნობენ... რატომ უნდა მიცნონ? მეც ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც სხვები. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია და ტაში — ამას საოცარი, ჯადოსნური ხიბლი ახლავს.

— ასეთმა მორცხვამ და თვითკრიტიკულმა ადამიანმა როგორ გადადგით ის ნაბიჯი, რომ ერთი მსახიობის თეატრში ითამაშეთ „კარმენ“?

— ეს ნაბიჯი კოტე მახარაძემ გადამადგმევინა. მის გარეშე ნამდვილად ვერ გავხედავდი. „კარმენი“ — ერთ-ერთი ჩემი საოცნებო როლი იყო და როცა კოტემ შემომთავაზა, უარი ვეღარ ვოქცი.

— მსახიობები ხშირად ამბობენ, რომ თუ გმირთან, რომელსაც ასრულებ, საერთო არ გამოიხატა, ვერ ითამაშებო...

— კარმენი ყველა ქალში ზის. ის ერთი პატარა, ნებიერა გოგოა, ზოგჯერ თავხედი — რომელსაც უყვარს!.. აი, „ბერნარდა ალბას სახლში“ მარტილიოს ვითამაშობ. ეს უარყოფითი გმირია. ასეთ შემთხვევაში, თუ რაღაცით მანც არ გაამართლე შენი პერსონაჟი, ვერ ითამაშებ. მსახიობობა განხარგრძლივებული ბავშვობაა: თამაშობ და გვერა.

— მსახიობებზე ბევრს ქორაობენ. თქვენ შესახებ თუ გსმენიათ რაიმე?

— „თეთრი კურდღელი“ ერთი წელი „ილო თაროზე“. მერე გაუშვეს და ატყდა

რეკვა. ერთ დღეში გაეხდი მარი ჯანაშია. ამას ჭორიც მოჰყვა — ერთი წელი საგიჟეთში იწვა და ამიტომ ითამაშა ეს როლი ასე კარგად... თუ ასე დამაჯერებლად ვითამაშე, ეს ჩემთვის კომპლიმენტი. ახლა აქტიურად დაკავებული არ ვარ და ჭორებიც ნაკლებად არის.

— თავისუფალ დროს რითი ერთობით?

— თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს. ამ დროს საშუალება მაქვს, წიგნი წავიკითხო. ჩემი მეგობრის წყალობით აუზზე დავდივარ, რაც ძალიან მსიამოვნებს. სახლში მარტო არასოდეს ვრჩები. ხანდახან ძალიან დიდი სურვილი მაქვს მარტო ყოფნის, მაგრამ ხან შვილი მეძახის — „დე, ის მომიტანე, დე, ეს მინდა“, ხან ქმარი. ამ დროს ვამბობ ხოლმე — რა იქნება, ნახევარი ოთახი რომ მქონდეს, სადაც ცოტა ხნით ჩავიკეტები და მარტო ვიქნები. მაგრამ ეს აუხდენელი ოცნებაა.

— თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დღიურს უნდა აწარმოებდეთ...

— მიხვდით, ხომ, რომ შეიძლება დღიურებს ვწერდე? ეს დღიური კი არა, უფრო ჩემი გონებაა. საერთოდ, 13 წლის ვიყავი, „ანა ფრანკის დღიური“ რომ წავიკითხე. იმ პერიოდში შემეყვარდა ჩემი მეზობელი ცისფერთვალე ბიჭი და ანა ფრანკის სტილში დავიწვე დღიურის წერა...

— ვიცით, რომ საინტერესო ამბავი გადაგხდათ სიგარეტთან დაკავშირებით, იქნებ გაიხსენოთ...

— პირველი სიგარეტი სტუდენტობის დროს მოვწიე — ეტიუდისთვის დამჭირდა. ცოტა ხანს ვეწეოდი, მაგრამ თემოზე რომ ვიყავი ფენხმძიმედ, თავი დავანებე. მერე „ჟუკარაჩას“ გადაღების დროს მომიწია მოწვევა და ისე ცუდად გავხდი, რომ გადაღება ჩაიშალა. იმის მერე აღარ ვეწევი.

ერთხელ პოლონეთში, ბეატა ტიმკევიჩთან ერთად კაფეში ვიჯექი. ბეატას ძალიან ლამაზი თითები აქვს და ძალიან ლამაზ, გრძელ სიგარეტს („ვოგს“) ეწეოდა. ვუყურებდი და მომწონდა. კაფედან გამოსულმა, ჯიხურებში დავინახე „ვოგი“. ძალიან მომიწონდა, მაგრამ მე ხომ არ ვეწეოდი. ამ დროს მესმის — მარი! სიგარეტი ჩუმად „მეძახის“. გავხედე — იცით, მე არ ვეწევი — და ვაგრძელებ გზას. ისევ მესმის — მარი! ყოველ „დაძახებაზე“ „ხმა“



კანის კინოფესტივალზე. სამახსოვრო ფოტო დასვის წარმომადგენელთან

ძლიერდებოდა. მე ვპასუხობ — არა, არ ვეწევი. პოლონურადაც კი ვუთხარი. დაახლოებით 100 მეტრი მექნებოდა გავლილი, რომ მესმის „ყვირილი“ — მარი! მოვტრიალდა, ხელები გავშალე — მოვდივარ-მეთქი, დავიძახე და გავიქეცი. ვიყიდე, გავხსენი და მოვწიე. არადა, არ ვეწევი, არ მიყვარს! უბრალოდ, პერიოდულად „მეძახის“ ხოლმე. ამას წინათ, მეზობელი საგრიმიოროდანაც „დამიძახა“...

— როგორ დაახასიათებთ საკუთარ თავს?

— ჰოროსკოპით ქალწული ვარ, რომელსაც წესრიგის სიყვარული, პედანტიზმი, პრაქტიკულობა, ბიზნესის უნარი ახასიათებს. ეს ყველაფერი ჩემგან შორს არის. ერთადერთი, რაც ჩემს ხასიათს ემთხვევა წესრიგის სიყვარულია. ამის გამო ხშირად პედანტის შთაბეჭდილებას ვტოვებ. კონკრეტულად ოჯახებს არ დავასახელებ და ჩემს ახლობლებთან რომ ვრეკავ — მოსვლას ვაპირებ-მეთქი, გადმოცემით ვიცი, რომ სახლის დალაგებას იწყებენ... მე-9 სართულზე ვცხოვრობ. ზამთარში უშუქობის დროს ფეხით ავიღვარ ხოლმე. წარმოიდგინეთ, 9 სართულზე რამდენი ოჯახია და რამდენი ტილოა კართან — ჰოდა, ყველა ტილოს ფეხით ვასწორებ. წარმოვიდგენიათ, რა საშინელებაა — ვილაცამ რომ დამინახოს?!

— მადლობას თუ გუბუნებიათ მეზობლებზე?

— აქამდე არ იცოდნენ — სირცხვილით როგორ გავამხელიდი?! კიდევ ერთი რაღაც მჭირს: სხვის ოჯახში ტელეფონს როგორ ავიღებ, მაგრამ თუ დავინახე, რომ „მწური“ გადაგრეხილია, გაუცნობიერებლად ვიწვევ გასწორებას. ნუ, რა ვქნა — „მეძახის“...



უპოვართა სახლი

ბავშვთა პირველი კლინიკური საავადმყოფო საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში პრეზიდენტის ბრძანებულებით მოხვდა, რასაც საავადმყოფოს 180 კაციანი მედპერსონალის საკმაოდ გონივრული პროტესტი მოჰყვა: სხვა სერიოზულ მიზეზებთან ერთად, მან დაასახელა შენობა, რომელიც ზუბალაშვილების სახსრებით არის აგებული და ისტორიულ ძეგლადაა მიჩნეული. ჯერ კიდევ ორი წლის წინ აღნიშნული საავადმყოფო საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოიღეს, მაგრამ, როგორც ამჟამად ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, ის შემთხვევით აღმოჩნდა გასაყიდ ობიექტთა სიაში. ასეთი რამ, ცხადია, შემთხვევით არ ხდება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამის გამო არავის დასჯიან.

ზუბალაშვილის უთავრებელი სახლიდან სახლიდან სახლად სახლად

გორა ტყეშელაშვილი

იმელი გვაქვს, ბავშვთა კლინიკის ყოველდღიური შეჭირვებული ყოფა შეიცვლება და ნორმალურ კალაპოტში ჩადგება. მკითხველის ყურადღება კი ამავერად, მედპერსონალის ერთ განცხადებას გვინდა მივაპყროთ: ძლიერთა ამ ქვეყნისათა შენობის შესყიდვა და მასში სასტუმროსა და კაზინოს გახსნა სურთ, თუმცა, ზუბალაშვილების მემკვიდრეები ცოცხლები არიან და თუ ვინმეს შეიძლება ჰქონდეს ამ შენობაზე პრეტენზია, უპირველესად, სწორედ ისინი უნდა იყვნენ.

დავინტერესდი – ვინ არიან და რას საქმიანობენ დღეს დიდი ოჯახის მემკვიდრეები. მათ გამოჩენილ წინაპრებზე „გზის“ 2000 წლის №24-ში ვწერდით, შთამომავლთა მოძებნაში კი, საავადმყოფოს თანამშრომლებთან ერთად, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი იაკობ ახუაშვილი დაემხმარა.

— ბატონო იაკობ, დიდი ხნის წინ ზოგიერთმა ზუბალაშვილმა კათოლიკობა მიიღო. რამ აიძულა ისინი, რომ ასე მოქცეულიყვნენ?

— თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ეს ერისთვის გაწეული ქველმოქმედების მასშტაბებით ჯერჯერობით განუმეორებელი გვარია საქართველოს ისტორიაში. რა თქმა უნდა, იყვნენ სარაჯიშვილები, ფორაქიშვილები, ხოშტარიები და სხვა ქველმოქმედი მამულშვილებიც, მაგრამ მათ შორის ზუბალაშვილებს მაინც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ.

ზუბალაშვილების წინაპრები ზუბალაშვილები ყოფილან, რომლებიც მესხეთში სახლობდნენ თურმე და ალბ-მთიანეთის ეწოდნენ. ამ საქმეში მალე გაიწაფეს ხელი და ძალიან დაუახლოვდნენ მეფეებს, ანუ მათი ნდობით აღჭურვილი პირები გახდნენ. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, როდესაც თურქებს ახალციხე დაუბე-



მოგვიანებით აქ ბავშვთა პირველმა კლინიკურმა საავადმყოფომ დაიბნა

რით, მათი ნაწილი ქართლსა და იმერეთში გახიზნულა და მართლმადიდებლობა შეუნარჩუნებია. იქ დარჩენილები კი გაკათოლიკებულან.

— კი, მაგრამ თურქები ხომ ქართველებისგან გამაჰმადიანებას მოითხოვდნენ?

— საერთოდ, ქართველები ტრადიციების მიმდევარი არაა. ეს ჩვენმა მტრებმაც მშვენივრად იცოდნენ და მათთვის ზოგჯერ მთავარი ის იყო, რომ ქართველებს რაიმე ტრადიციაზე აეღოთ ხელი. ალბათ ამიტომაც მიიღეს კათოლიკობა ზუბალაშვილებმა: თურქები ჩათვლიდნენ, რომ რაღაც ტრადიციულზე ათქმევინეს უარი, ამავე დროს, ისევ ქრისტიანებად დარჩებოდნენ.

— გვარი რატომღა შეიცვალეს?

— კათოლიკობის მიღებისას, პიროვნება ან მთლიანად იცვლიდა გვარს, ან ცვლილება მაინც შეჰქონდა. მაგალითად, მესხეთში მცხოვრები ვარდიები, ჩილინგარიშვილები გახლ-

ნენ. „ჩილინგარი“ თურქული სიტყვაა და ზენკალს ნიშნავს. ზუბალაშვილებმა კათოლიკობა მიიღეს და ზუბალაშვილები გახდნენ.

— მათ შორის ვინ იყო პირველი ცნობილი ზუბალაშვილი?

— ერთმნიშვნელოვნად ამის თქმა ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, პირველი ცნობილი დღევანდელი სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი იყო, რომელიც თურქეთში, შუა აზიასა და ინდოეთში სოფლაგრობდა. ბოლოს ინდოეთში, სადაც რამდენიმე ქარვასლა ჰქონია, იქაურ ქალზე დაქორწინებულია და XIX საუკუნის დასაწყისში იქვე გარდაცვლილა. მას შვილი არ დარჩენია. სხვათა შორის, ამ გვარის განსაკუთრებულობა ისიცაა, რომ, მიუხედავად ამხელა სიმდიდრისა, საბოლოოდ, არც ერთ შტოს გვარის გამგრძობელი არა ჰყავს, შთამომავლები ამჟამად ძალიან ცოტანი არიან.

— მათთან ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ...



ნიკოლოზ ბატონიძის მხატვრული მხატვრობის მემორიალი

— კი, ბატონო. XIX საუკუნის ოციან წლებში ასპარეზზე გამოვიდა სტეფანეს ძმა იაკობი, რომელმაც ბიზნესი არა ვაჭრობით, არამედ წარმოებით, კერძოდ კი — ქუთაისში არყის ქარხნის ამუშავებით დაიწყო. სწორედ მან ასწავლა პირველად გლეხობას მეორადი პროდუქტის — არყის მიღება, მანამდე ხომ მხოლოდ ღვინოს აყენებდნენ.

— თითონ მან სად შეინახა ეს ტექნოლოგია?

— ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ ერთი რამ უდავოა: შეიტყო თუ არა არყის გამოხდის ტექნოლოგიის შესახებ, ბიზნესიც წინასწარ განჭვრიტა. სხვათა შორის, ეს საწარმო მამინდელ ქუთაისში პირველი იყო. იაკობმა 1837 წელს ამიერკავკასიაში პირველი შაქრის ქარხანა გახსნა, თანაც მთავრობისგან შეღავათიც მიიღო: წარმოება საექიზო გადასახადისგან გათავისუფლეს. დაზოგილი თანხით იგი შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენებას აპირებდა, მაგრამ ეს გეგმა პარტნიორის დღეუბის გამო ჩაფუჭდა. მიუხედავად იმისა, რომ იაკობ ზუბალაშვილს ამის გამო პრობლემები ჰქონდა, მან ქვემოქვეყნებს მიჰყო ხელი და თბილისის პირველი საჩუქარი — სასტუმრო „პალასი“ უძღვნა. მანვე აგო ის შენობა, სადაც შემდგომში სასულიერო სემინარია იყო განთავსებული (ის სემინარია, რომელშიც სტალინი სწავლობდა, ამჟამად კი ხელოვნების მუზეუმა). ამ შენობას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს და, თუ გნებავთ, მოკლედ მოგიხსნებო.

— გისმინთ, ბატონო იაკობ...

— 1837 წელს საქართველოში ნიკოლოზ I უნდა ჩამოსულიყო. სოლომონ დოდაშვილის 1832 წლის აჯანყებიდან მცირე პერიოდი იყო გასული, ქართველ თავადაზნაურობას თავი უნდა მოეწონებინა და ერთგულება დაემტკიცებინა იმპერატორისთვის. მიღებისთვის შესაფერისი შენობა ვერ შეარჩიეს. გამოსავალი იაკობ ზუბალაშვილმა მოძებნა: მან პირობა დადო, რომ მოკლედ ხანში მშვენიერ შენობას ააგებდა და რეკორდულად სწრაფად — წელიწადსა და რამდენიმე თვეში შეასრულა კიდევ სიტყვა. ნიკოლოზ პირველს ბრწყინვალე მიღება მოუწვევს. მისი უდიდებულესობა თბილისის ეპისკოპოსთან განმარტოვდა და სასულიერო საქმეებით დაინტერესდა. მან თავის მხრივ, იმპერატორს შუამდგომლობა სთხოვა: იქნებ, ამ შენობის მეპატრონემ, ეს სახლი დაგვითმოს — სასულიერო სემინარიის გახსნა გეწყადიაო. როდესაც იაკობს სთხოვეს, დაესახელებინა თანხა, რომლითაც მისგან შენობას გამოისყიდდნენ, მან მხოლოდ აუურის შესახებ გაწეული ხარჯი დაასახელა, შემდგომ, აღებული თანხა კი ისევ ქვემოქვეყნებს მოახმარა. ამით იმის თქმა მინდა, რომ, სხვა ყველაფერ-

თან ერთად, ბრწყინვალე დიპლომატიც იყო... სხვათა შორის, იმ აუურის ფულით მოგვიანებით „სახალხო სახლს“ ჩაეყარა საფუძველი (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობა. — ავტ.).

იაკობის სიკვდილის შემდეგ მისი საქმე მისმა ვაჟებმა — ანტონმა და კონსტანტინემ განაგრძეს.

— ბატონო იაკობ, მათ თუ მოჰკიდეს ახალ საქმეს ხელი?

— ზუბალაშვილები ძალიან აღლოიანი მეწარმეები იყვნენ. ამას ადასტურებს ისიც, რომ მათ იმ დროისთვის ახალფენობიკიდებული ბიზნესის — ნავთობმოპოვების მომავალი წარმატება განჭვრიტეს და ცნობილი ფრანგი მეწარმის როტშილდისგან ბაქოს სიახლოვეს, კასპიის ზღვაში კუნძული ბიბიბათი შეიძინეს. უნდა აღინიშნოს, რომ ბელიც წყალობდათ: ამ კუნძულზე აღმოჩენილი ნავთობის ჭაბურღილს ყელში „ვაზის საცობი“ „გაეჭვდა“ და როტშილდს წარმატების იმედი აღარ ჰქონდა (სწორედ ამან განაპირობა კუნძულის გაყიდვა). ზუბალაშვილები გაკოტრების პირას იყვნენ მისულები, თუმცა მოგვიანებით, როცა ნავთობმა ამოხეთქა, ისინი როტშილდისა და ნობელის პარტნიორები გახდნენ.

სხვადასხვა სიახლეს ზუბალაშვილები მამინვე აიტაცებდნენ ხოლმე: მათ ააგეს ორთაგალაში პირველი სახნის ქარხანა, შემოიტანეს კვლავზე შალერის გაკერის კულტურა და ახლანდელი პუშკინის ქუჩაზე ამისთვის სპეციალური მაღაზიაც კი გახსნეს, სადაც ორი ბელგიელი დააყენეს ნოქრებად. საქართველოში პირველი აფთიაქიც მათ გახსნეს და გადახიდვების ფირმის მაგვარიც კი ჩამოაყალიბეს, თანამედროვე ბიზნესის ელემენტებით: კერძოდ, რუსეთის ჯარის აღჭურვილობისა და პროდუქტების გადახიდვა-გადმოზიდვა ივალდებულეს და 1000 ურემი დაიქარავეს, გლეხებს კი იმ პირობით ამუშავებდნენ, რომ დროთა განმავლობაში ურემი ხარებაიანად მათთვის გადაეცათ — მოკლედ, რაღაც თანამედროვე იჯარა-გამოსყიდვასავით გააკეთეს.

— მათი შვილების ცხოვრება როგორ წარმოებდა?

— ანტონს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა: დავითი, ალექსანდრე და პავლე, რომელთაგან უკანასკნელი ორი, უმეილიძორად გაეცალა ამ ქვეყანას. დავითს შეეძინა ქალ-ვაჟი. ვაჟი, ანტონი, საფრანგეთში დაიღუპა. ქალიშვილი ტასო, მიუხედავად ასაკისა, დღესაც მშვენივრად გრძნობს თავს.

რაც შეეხება კონსტანტინეს, მას ხუთი ვაჟიშვილი და სამი ქალიშვილი ჰყავდა.

იაკობ ახუაშვილი

ერთი ვაჟი ვერ კიდევ ბავშვობის ასაკში გამოაკლდათ. რაც შეეხება დარჩენილებს: ლევანს, სტეფანეს, პეტრესა და იაკობს, არც მათ დარჩათ შთამომავლობა. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული და საინტერესო ბიოგრაფია აქვს.

აქ გვინდოდა ზუბალაშვილების მიერ აგებული და საქველმოქმედო მიზნით საქართველოსთვის გადაცემულ შენობათა სრული ნუსხა გამოგვეჩვენებინა, მაგრამ სა მეტისმეტად ვრცელი გამოვიდა და გადაეწყვიტო, მხოლოდ ნაწილზე — ყველაზე დიდ ნაგებობებზე მოგვეთხრო: თბილისის უნივერსიტეტი, ბათუმის, გორის, ქუთაისისა და ახალციხის ეკლესიები, მარჯანიშვილის თეატრი, ხელოვნების მუზეუმი, ბავშვთა პირველი საავადმყოფო, კონსერვატორია (ნაწილობრივ), ქლაქის პირველი საავადმყოფო, დავითაშვილის ქუჩაზე მღებარე „სამადლო“, გამოცემლობა „მერანის“ შენობა, ერთ-ერთი აბანო აბანოთუბანში.

ახლა დავით ზუბალაშვილის ქალიშვილს, ქალბატონ ტასო ზუბალაშვილს მოვუხსნიეთ.

— ქალბატონო ტასო, ძირითადად, რას მოღვაწეობდა მამათქვენი?

— მამჩემი იყო დავით ზუბალაშვილი, ანტონ ზუბალაშვილის ვაჟი, რომელიც კუნძულ ბიბიბათის ადმინისტრატორი გახლდათ და აზერბაიჯანში წითელარმიელების შესვლამდე იქ სანავთობო საქმეებს განაგებდა.

— აზერბაიჯანის „განთლები“ შემდეგ რა მოხდა?

— როგორც იცით, ვერ აზერბაიჯანი დაიკავეს ბოლშევიკებმა, მამა თბილისში ჩამოვიდა. ჩვენ, მამინ, დღევანდელ დავით აღმაშენებლის გამზირზე ვცხოვრობდით. სხვათა შორის, მამას არ სჯეროდა, თუ ბოლშევიკები საქართველოშიც შემოვიდოდნენ და საზღვრებთან მათი გამოჩენის შემდეგ სულ გვეუბნებოდა: ბოლოს და ბოლოს, თუ გაბედეს საქართველოში შემოსვლა, უკან მოუწევთ მალე გაბრუნება...
— რის საფუძველზე აკეთებდა ასეთ დასკვნებს?

— ვერ გეტყვით. უბრალოდ, ალბათ ამის





გასო მუბალაშვილი მამისეულ ბუფეტთან სჯეროდა. მე 1915 წლის 20 აგვისტოს დავიბადე და საქართველოს გასაბჭოების დროს ბავშვი გახლდით, თუმცა, თითქმის ყველაფერი მასსოვს.

— მამათქვენს, როგორც ვიცო, ორი ძმა ჰყავდა. მათ რა ბედი ეწიათ?

— მამჩემის ძმა, ალექსანდრე ზუბალაშვილი, მეფის არმიის პოლკოვნიკი, რევოლუციის შემდეგ გორში დასახლდა. იქ წისქვილი ჰქონდა და რუსეთიდან ჩამოყვანილ ცოლთან ერთად სოფლის მეურნეობას მისდევდა. სხვათა შორის, რუსეთიდან არაბული ჯიშის ცხენიც ჩამოიყვანა, მაგრამ სწორედ იმ ცხენმა გადაჰყარა უბედურებას: რაში რომელიღაც ჩეკისტს მოსწონებოდა და მისი დასაკუთრების მიზნით, ალექსანდრეს დაღუპვა გადაწყვიტა, ამიტომაც შარი მოსდეს... მეორედ გადასახლებისას, 1939 წელს ყარაგანდაში გარდაიცვალა. შვილი არ დარჩენია.

მეორე ბიძა, პავლე ზუბალაშვილი, ტექნიკური საგნებიდან, მათემატიკაში იყო განსაკუთრებით ძლიერი. ამიტომაც მამამისმა სანკტ-პეტერბურგში გააგზავნა სასწავლებლად. იქაურ კლიმატს ვერ შეეგუა და ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მამჩემმა ჩამოასვენა, თუთიის კუბითი და გორში დასაფლავა. მან დაოჯახებაც ვერ მოასწრო.

— თქვენი ძმა რას საქმიანობდა?

— ჩემი ძმა ჩემზე თოთხმეტი წლით იყო უფროსი. მას ბაბუის — ანტონ ზუბალაშვილის პატრიარქალად ანტონი დაარქვეს. არც მას აუწყო ცხოვრება: 1921 წელს იძულებული გახდა, საზღვარგარეთ, ემიგრაციაში წასულიყო. საფრანგეთში ცხოვრობდა, სადაც 1940 წელს, პარიზში ფაშისტების შესვლისას დაიღუპა. სხვათა შორის, ის საპატიო ლეგიონის ორდენითაც დაუჯილდოვებია.

— კავშირი თუ გქონდათ ძმასთან?

— არა, კავშირი თითქმის არ გვქონია. იცით, რა დროც იყო... არც მას დარჩენია შთამომავლობა. მამა მის გამეზავრებას ძალიან განიცდიდა, მაგრამ დარწმუნებულები ვიყავით — აქ რომ დარჩენილიყო, დახვრეტდნენ,

რადგან ერთ-ერთი გენერლის ადიუტანტი გახლდათ.

— გასაბჭოების შემდეგ რეპრესიებით შეგებოთ?

— მამა თავისი საქმის — ფინანსებისა და ეკონომიკის ძალიან კარგი სპეციალისტი იყო. ამიტომ, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, არ დაუჭერიათ, თუმცა ხშირად დაჰყავდათ დაკითხვებზე. დავითი ბიბიეიძის არა მარტო ადმინისტრატორი, არამედ მეწილაც იყო და შემოსავლების მეხუთედი ეკუთვნოდა. ეს აიძულებდა, რომ ყველანაირ ფინანსურ ოპერაციებში ყოფილიყო გარკვეული. ეს ცოდნა გამოადგა და საქართველოში წლების განმავლობაში ბანკში მუშაობდა. კომუნალური ბანკის იპოთეკური განყოფილების უფროსი იყო. 1950 წელს გარდაიცვალა.

— დედათქვენი რას საქმიანობდა?

— დედა სტომატოლოგი იყო და თავისი პროფესიით მუშაობდა.

— როგორი ბავშვობა გქონდათ?

— ძალიან კარგი. 1921 წლამდე გერმანული გუვერნანტი ქალი, ფრიდლიან ეტილია მზრდიდა, რომელიც წითელარმიელების შემოსვლის შემდეგ გაიქცა საქართველოდან. ფრანგულს კი აქაური ქალი, ვერა მასწავლიდა. შემდეგ, როგორც ყველა, პიონერიც ვიყავი და კომკავშირელიც. თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლისას, რექტორმა — ევგენი ხარაძემ გაიგო, რომ ზუბალაშვილის შთამომავალი უნივერსიტეტში სწავლობდა და თავისთან მიხმო. ცოტა ხანს ვისაუბრეთ, მაგრამ ვიგრძენი, როგორი აღფრთოვანებით იყო გაწევილი ჩემი წინაპრების მიმართ.

— თქვენი პირადი ცხოვრება როგორ წარიმართა?

— საკმაოდ რთულად. 1935 წელს ბორჯომში ნიჭიერი მუსიკოსი, ბორის ავეტისოვი გავიცანი, რომელმაც მამინევი მომაჯადოვა.

— გარეგნობით?

ქალბატონი ვალენგინა



— არა, გარეგნულად მაინცდამაინც შეხეული არ იყო. უბრალოდ, მე თავიდანვე კლასიკური მუსიკის მოტრფიალე გახლდით და მისმა შესრულების მანერამ მომაჯადოვა. ჩემი ოჯახი სასტიკი წინააღმდეგი იყო ჩვენი შეუღლების. მეუბნებოდნენ — არტისტი ჩვენი შესაფერისი არ არის და ვერც შენ შეგეუბები, თანაც სომეხიაო... არ დაგუჯერე და ცოლად გაგვევი.

— ახლა ნანობთ?

— მშობლები მართლაც აღმოჩნდნენ: 1940 წელს დაემორღობა ერთმანეთს. მამინ ფეხმძიმედ გახლდით და გოგონა შექმინა. იმ პერიოდს ახლაც კომპარტივით ვისხენებ.

— რატომ?

— ჩემს პირველ მეუღლეს ჩემდღე ერთი საყვარელი ჰყავდა, ჩემს შემდეგ კი — ექვსი ოფიციალური მეუღლე გამოიცვალა. ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ბოჰემური ცხოვრების მოტრფიალე იყო. იგი ვახტანგ ჭავჭავაძის მიერ დაღებული ყველა წარმოდგენის ღირიერი გახლდათ. ძალიან უყვარდა კარტის თამაში. კონცერტის შემდეგ მიეღი დაჰე თამაშობდა და გამთენიისას ბრუნდებოდა ხოლმე სახლში.

— ალბათ ბევრს აცუბდა...

— წაგებაში არ იყო საქმე. ჩვენთან ცხოვრობდა და მამჩემი უზრუნველგეყოფდა მატერიალურად. როგორია — ახალგაზრდა ქალი დილაძე ელოდოს კარტის მოყვარულ ქმარს?! ამიტომაცაა, რომ ბავშვთა პირველ კლინიკურ საავადმყოფოში კაზინოსა და სასტუმროს გახსნის სასტიკი წინააღმდეგი ვარ: ვერ ვიტან ამ დაწესებულებებს. დარჩეს ყველაფერი ისე, როგორც ნიკოლოზ აგორას ძე ზუბალაშვილს (ბაბუას ბიძაშვილს) სურდა. ეს შენობა, ხომ მისი სახსრებით აშენდა.

— მეტი შვილი არ შეგქმნიათ?

— მეორე მეუღლისგანაც გოგონა მყავს.

— რაიმე ზუბალაშვილებისეული ნივთები თუ გაქვთ?

— სამკაულები ჩემს შვილებს მივეცი, ავეჯიდან კი, მხოლოდ ბუფეტი დამრჩა. 14 ლარიანი პენსია მაქვს დანიშნული და შვილები რომ არ მენმარებოდნენ, ძალიან გამიჭირდებოდა.

ზუბალაშვილების კიდევ ერთი შთამომავალი (კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილის ქალიშვილის შტოდან), ქალბატონი ვალენგინა 1919 წელს ყოფილა დაბადებული. ძალიან გაბრაზებული დავეხვდა როცა ვეწვიეთ, რადგან წინა დღით, ტროლიკაუსით მგზავრობისას, მისთვის საბუთები ამოუკლიათ. თუმცა, ორიოდე სიტყვით მაინც მოგვითხრო თავისი ამბავი: მისი შეყვარებული სამამულო ომიდან აღარ დაბრუნებულა და აღარც მას უცდია ოჯახის შექმნა. პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაუშთავრებია და თავის დროზე კარგი ტანმოვარჯიშეც ყოფილა. ამჟამად კი, სათნოების სახლში ერთი ულუფისათვის ყოველდღიურად უწევს რევში დგომა... ■

მოსავლური მოდერნი

საფრანგეთში, შამპანის პროვინციაში მდებარე ოტვილიერის სააბატოს ბენედიქტის მონასტერში მხოლოდ ერთხელ არ შედგა მოძღვრის საკვირაო ქადაგება. ეს 1668 წლის შემოდგომის ადრიან დილას მოხდა, როცა მონასტრის მევენახემ პიერ პერინიონმა აბატს გასასინჯად თავისი გამოგონებული შუშხუნა სასმელი მიართვა. წმინდა მამამ ჯერ ერთი, მერე მეორე, მერე მესამე ჭიქა დალია – და... მრევლის წინაშე იმ დღეს ვერ წარდგა...

ქაფიანმა ლეინომ პოპულარობა ძალიან მალე მოიპოვა. მისი წარმოების მეთოდი დიდხანს რჩებოდა საიდუმლოდ, ამიტომ ის ცნობილი პროვინციის სხვადასხვა საუკეთესო ლეინოზე რამდენჯერმე ძვირი ღირდა. დროთა განმავლობაში პიერ პერინონის საიდუმლოს ფარდა აეხადა, შამპანის დედაქალაქი რეიმსი კი ახალი, ყველა ლეინისგან განსხვავებული – შამპანურის წარმოების ცენტრი გახდა.

ბევრ ქვეყანაში მას ქალების სასმელს უწოდებენ. ეს თუნდაც იმიტომ არის სამართლიანი, რომ შამპანური ლეინოების რამდენიმე სახლის დამარსებლები, ქალები იყვნენ. კაცებს იმ დროს ამისთვის არ ეცალათ – ისინი ბრძოლის ველზე გმირულად იღუპებოდნენ. ყველაზე დიდი სახელი მათ შორის ერთმა – მაღამ კლიკომ (ქალიშვილობაში – ნიკოლ ბარბი) მოიპოვა. ოცი წლის ასაკში ის შამპანური ლეინოების ცნობილ მწარმოებელს და მოვაჭრეს ფრანსუა კლიკოს გაჰყვა ცოლად.

მაგრამ 1805 წელს ფრანსუა ავად გახდა და სულ მალე ძლიერი ცხელებისგან გარდაიცვალა. ქმრისგან მემკვიდრეობით ნიკოლს საგვარეულო ციხესიმაგრე, სარდაფები და 24 კილომეტრზე გაჭიმული ვენახი დარჩა. ენერგიულმა ქალმა განსვენებული ქმრის საქმის გაგრძელება გადაწყვიტა და კომპანია „კლიკოს ქერივი“ დააარსა. ქალს სურდა, კრისტალურად სუფთა ლეინო დაემზადებინა და ე.წ. რემიუაჟის მეთოდი გამოიგონა, რომელიც შამპანურს ფერმენტაციის ყველა ნარჩენისგან ასუფთავებდა. ბოთლებს ამოაბრუნებდნენ და ისე დგამდნენ, რომ ნაღვე ქი ყელთან მოგროვილიყო. შემდეგ მათ



ყინავდნენ და ბოთლებიდან საცობები დაგროვილ ნაღვეტან ერთად ვარდებოდა. ამის შემდეგ ბოთლებს თავიდან ხუფავდნენ. მაღამ კლიკოს მეთოდის აღმოჩენამდე, ლეინის გასაწმენდად მას ბოთლიდან ბოთლში ასხამდნენ და ამ პროცესში ბუშტუკები თავისი ფეთქებადი ძალის ნაწილს კარგავდა.

ამ დროს ნაპოლეონის გამარჯვებების ხანა მთავრდებოდა. რეიმსში საქმეები ცუდად მიდიოდა: ეკონომიკური ბლოკადა ხელს უშლიდა ბიზნესს. 1811 წლის მოსავალი, შამპანში გამორჩეულად უხვი აღმოჩნდა. ქერივმა ბოთლები მოხუფა და შემკვეთებს დაუწყო ლოდინი. ელოდა, ელოდა და... 1814 წელს რეიმსში რუსულმა არმიამ შეაბიჯა. მეომრებმა საუცხოო ლეინით სავსე სარდაფები აღმოაჩინეს და სწორედ მაშინ გაუსინჯეს გემო შამპანურს...



1850 წლამდე შამპანური ლეინოები

საკმარის ტკბილი იყო, რადგან ლეინოში ლიქიორს უმატებდნენ. 1870 წლიდან ზოგიერთმა ფირმამ „მშრალი“ მარკის შამპანურის წარმოება დაიწყო. პირველი ნამდვილი მშრალი შამპანური 1874 წელს გაჩნდა და შუშხუნა ლეინოების ბაზარზე ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. მშრალი შამპანური უკვე აღიქვას იმ სასმელად, რომლის მოხმარებაც დღის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ კერძთან ერთად შეიძლებოდა – მანამდე ხომ ტკბილ სასმელს მხოლოდ დესერტთან ერთად მიირთმევდნენ.

ამჟამად შამპანურის სახელსა და რეპუტაციას ე.წ. უდიდესი მარკების სინდიკატი იცავს, რომელშიც ისტორიულად შამპანური ლეინოების მსოფლიო მწარმოებელი 28 საუკეთესო სახლი შედის. შამპანურის მწარმოებლები აუცილებლობად თვლიან რამდენიმე წესის დაცვას. მათ შორის უმთავრესი ის არის,

ბერ-მონაზონთა საცხოვრებელი	მონა ... ჯოკონდა	იგივეა რაც ციალი	წელიწადის დრო	რა არის პირის დრუში 32	ახალგვანდური უფრო ფრინველი	... მეტი მაინც მიზის
უფლებო ალაშიანი	მიკროორგანიზმების მოსპობა გამოხარშვის მეთოდით	პირამიდებით განთქმული ქალაქი	მაღალი ადგილი	თამაში ... გაფელა	საკალფეხო გვა	არაფრის ეინბე

ღვინო



რომ „შამპანური“ შეიძლება ეწოდოს მხოლოდ უშუალოდ შამპანში წარმოებულ უმაღლესი კლასიფიკაციის შუმსუნა ღვინოს. ყველა დანარჩენი მხოლოდ „შუმსუნა ღვინის“ სახელს იმსახურებს.

შამპანურს, როგორც წესი, ბნელ ადგილას 5 გრადუსიდან 15 გრადუსამდე ტემპერატურაზე ინახავენ, სუფრაზე კი სპეციალურ ყინულიან ვედროში დგამენ. ამას ყველა ფირმა ითვალისწინებს, ამიტომ ბოთლზე ეტიკეტის დასამაგრებლად სპეციალურ წებოს ხმარობენ. პრესტიჟულ შუმსუნა ღვინოებს 9-11 გრადუსამდე აცივებენ. როგორც გამოცდილი ხალხი გვიჩვენებს, სწრაფი გაცივების მიზნით ვედროში პეშვი მარილი და ერთი ჭიქა გაზიანი წყალი უნდა ჩავამატოთ.

ჭიქა, რომლითაც შამპანურს მიირთმევენ, მის პრესტიჟს უსვამს ხაზს და ღვინის ღირსეული შეფასების საშუალებას იძლევა. ბოკალი უნდა იყოს

მსუბუქი და გამჭვირვალე, გლუვი შუშის ან ბროლის. ბოკალის ფორმა გაზის ბუმტუკების თავისუფალ მოძრაობასა და მათ „თამაშზე“ ახდენს გავლენას. ბოკალები შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმის: „ფლიუტი“ – ფეხიანი, მაღალი ჭიქა და „კუპ შამპანი“ – ფეხიანი, ფართოყელიანი ჭიქა. ქაფი უფრო სწრაფად წარმოიქმნება ფუჟერში, რომელსაც დავიწროებული ძირი და

დაგრძელებული (ამობრუნებული კონუსის) ფორმა აქვს.

შამპანურის ნამდვილი დამფასებლები ამბობენ, რომ ბოთლი უხმაუროდ უნდა გაიხსნას: ამ დროს მხოლოდ მსუბუქი „ოხვრის“ ხმა უნდა გაისმას. ასეთი მიდგომა გაზის ბუმტუკების უკეთ შენარჩუნებას უწყობს ხელს: სწორედ ამ ბუმტუკებში ხომ უამრავი მეღვინის შრომაა ჩადებული...

არჩევანის ანგონიმი თამაშში	კეთილი მღაპრული სული	დროის ათღვიანი მონაკვეთი	ბეთჰოვენის ოპერა	მდინარე აფრიკაში	გბა თბილისში	
სი...	მწერალი ... დეჟო	საკადრაკო ფედერაცია	მოამარ ...	ინდოეთის დედაქალაქი	ღმერთების მთა საბერძნეთში	სიცოცხლის ღაზღვევის მოწმობა

... ისინი არგვეთის მთავრები იყვნენ. „ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გვამითა“. ორივე მეტად გონიერი, გაწაფული და მამაცი მეომარი იყო. საქართველოს ბედუკუდმართობის ჟამს, 735 წელს, მურვან ყრუს შემოსევისას კი წმინდანთა გვირგვინებით იქნნენ შექპულნი.

უსასტიკესმა მტერმა სამცხის აოხრების შემდეგ იმერეთისაკენ აიღო გეზი და ქუთაისში დაბანაკდა. ძმებმა დავით და კონსტანტინემ ქულზე კაცი შეჰყარეს. ფერსათის მთაზე, ხანისწყალზე, ჩამოსასვლელთან დავითმა „ალიზახა ვითარცა ლომმან, და აოტნეს და განაბნინეს იგინი და ურიცხვნი მოსრნეს“. ამან მურვან ყრუს ქართველთა წინააღმდეგ რევანშისაკენ უბიძგა და დავითისა და კონსტანტინეს ცოცხლად შეპყრობის სურვილი გაუათქვია.

ურიცხვ მტერთან ბრძოლის ერთადერთი გზა არსებობდა, ძმებიც ამ გზას დაადგნენ, არაბებს უსაფრდებოდნენ და ელვისებურ თავდასხმებს უწყობდნენ. ერთ ხევში მტერმა მაინც შეძლო დავითისა და კონსტანტინეს ცოცხლად შეპყრობა.

სარკინოზთა სარდლის შეკითხვას – „ვინ ხართ ქვათა და ძელთა მსახურნო, ჩემს წინააღმდეგ როგორ გაბედეთ ბრძოლა, მე მორჩილებაში მყავს მთელი ქვეყანა?“ – დავითმა ასე უპასუხა: „წუთია შენი დიდება, დედაშენის ძმას, მუჰამედის სახელსაც ტყუილად იქადი, ესეც ფუჭია, რამეთუ მუჰამედია დამლუპველი თქვენი მოდგმის“. მერე ისიც დაუმატა: ყურანში კი დავიწერათ მუჰამედის გულითადად მოწაფემ ალიმ, სახარებისგან ისწავლეით, მაგრამ განათქვენ კი ცნობთო?! ამ შეურაცხყოფამ ლახვარივით დაუკოდა გული მურვანს. ხელკეტებით აცემინა შებორკილი ძმები. მართალია, მათი სისხლისგან თითქმის დაცლა მოახერხა, მაგრამ სულის დამორჩილება ვერაფრით შეძლო. ტკივილიც სადღაც შორს გახიზნულიყო ძმების სხეულიდან...



დავით და კონსტანტინე მხეიძეები

წმინდანებად უშიშარი აღსარებით ქცეულნი

არაბთა მთავარმა ჯერ უფროსი ძმის – დავითის დაყოლიება განიზრახა და შესთავაზა: დაუტევე ქრისტეს ჯვარი – იგი ხომ შეშაა და სხვა არაფერი, – ნაცვლად კი მუჰამედის სჯული მიიღე. შენ იქნები უპირველესი მთავარი არაბეთის და სპარსეთის, შენს ძმასაც დიდი პატივით შევმოსავო... მაგრამ ამაო აღმოჩნდა მურვან ყრუს განზრახვა: უფროსი ძმის მსგავსად კონსტანტინემაც უერთგულა უფალს და ბედნიერებად მითვალა მისთვის ტანჯვათა დათმენა და სიკვდილი.

მურვან ყრუს ბრძანებით, ძმები ათი დღე ჰყავდათ დილეგში ჩამწყვედულნი. ამის შემდეგ სარკინოზების უგუნურმა მთავარმა მათი ოქრო-ვერცხლით მოსყიდვა გადაწყვიტა: ტყუილად არ შეარ-

ქვეს მურვანს ქართველებმა „ყრუ“...

– „ვრჩებით ჩვენს სჯულზე მტკიცედ, ვერაფერი გაგვაშორებს ქრისტეს სიყვარულსა და სარწმუნობას. მზად ვართ თავი მივსცეთ შიმშილს, წყურვილს, ცეცხლსა და წყალს, მახვილს და ხმალს...“ ასეთი იყო ძმათა საბოლოო პასუხი, რომელსაც დავითისა და კონსტანტინეს წამება მოჰყვა. ძმები რიონის პირას გაიფანეს, გააშიშვლეს, ხეზე დაკიდეს ფეხებით, გამხეცებით სცემდნენ ხელკეტებით, სანამ თავად არ დაიღალნენ. ძმები კი უსიტყვოდ იტანდნენ ყოველივეს. შემდეგ ჩამოსნეს წამებულნი, ხელ-ფეხი შეუკრეს, მძიმე ლოდები მოაბეს და ასე ჩაყარეს მდინარეში.

იმ ღამით სასწაულის მომსწრე შეიქნა ხალხი. ციდან ჩამოსული ნათელი სამსვეტად დაეშვა მდინარეზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯალათებმა ჩაყარეს დავით და კონსტანტინე. ისინი წყლის ზედაპირზე იწვნენ ლოდისა და თოკისაგან განთავისუფლებულნი და ისე ბრწყინავდნენ, „ვითარცა მთიებნი განთიადისანი“.

ამოასვენეს წყლიდან ღვთაებრივი სიმშვიდით განათებული ცხედრები, რომლებიც მდინარე წყალწითელას ხევის კლდოვან ძველთაძველ აკლდამაში დაასვენეს და იმ ადგილს უწოდეს „მოწამეთა“. სამი საუკუნის შემდეგ, როცა მეფე ბაგრატ მესამემ სარკინოზთაგან დანგრეული ტაძარი ააშენა, მაშინ წმინდანად შერაცხული წამებული გმირები იქ გადაასვენა. ერთ კუბოში იწვა თავშექცევით ორი ძმა, ნიშნად მათი სულიერი და ხორციელი ერთიანობისა და სარწმუნოებრივი სიმტკიცისა.

„დავით-კონსტანტინობა“, „მოწამეთობა“, „ორწიფობა“ – ასეთი სახელეები დაარქვა ხალხმა დღესასწაულს, რომელიც 2 ოქტომბრით თარიღდება და დიდმოწამე ძმების ხსენებით სამუდამოდ რჩება ქართველთა ცნობიერებაში.

6060 შივარდნაძე

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ ქართველი ერის მძლავრი საპროტესტო მოძრაობა გამოიწვია. როგორც „გზის“ №22-ში ვწერდით, პირველი, სვანეთის 1921-22 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება განსდგათ. დასავლეთ საქართველოში განცდილი მარცხის შემდეგ, ბრძოლის მთელი სიმძიმე აღმოსავლეთ საქართველოში — ხევსურეთში იქნა გადატანილი.

ქახა მაისურაძე



აჯანყების მონაწილენი. წინა პლანზე მარცხნიდან პირველი ქაქუცა ჩოლოყაშვილი

1922 წლის

მარცხულ-განმათავისუფლებელი აჯანყება ხევსურეთში

აჯანყების პროლოგი ბრძოლები ქიზიყში

ოკუპაციის პირველი თვეებიდანვე ქართველობა განუკითხაობისა და ანარქიის ჭკობში აღმოჩნდა. ბოლშევიკური რეჟიმი მთელ ქართულ ეროვნულ და სარწმუნოებრივ ტრადიციებს წარღვრით დაეპყრა. 1921-23 წლებში დაანგრიეს 1500 ეკლესია და პირწმინდად გაანადგურეს საეკლესიო ქონება. დაზოცეს კულტის მსახურნი, მიწასთან გასწორეს სასაფლაოები. საოკუპაციო რეჟიმის ყველა ქმედება მოსახლეობის გეგმაზომიერი გადაგვარებისა და გადაჯიშებისაკენ იყო მიმართული. ამას დაემატა წითელი არმიის აღვირახსნილი თარეშის მთელი სიმძიმეც. „რუსი ჯარისკაცები დაეხეტებოდნენ სოფელ-სოფელ, კარდაკარ... ვის ხარს წაართმევდნენ, ვის ცხვარს ან ფულს. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, სიკვდილით სჯიდნენ“. ასე დასაჯეს მაგალითად, ერთ-ერთი ქიზიყელი გლეხის ათსულიანი ოჯახი, სურსათსა და ფულზე უარის მიღების შემდეგ, ჯარისკაცებმა მისი ყველა წევრი ხმლებით აკუსეს. „ნეტავ ვინმე გაგვიჩინდეს, რომ ამ ჯალათებს აქედან თავი უკრათო“, „ან გაეწყვდებით ან ეს ოხერი ახალი ბატონები თავიდან უნდა მოვიცილოთ“ — აღნიშნავდა რუსთა ძალმომრეობით გატანჯული ადგილობრივი მოსახლეობა.

ყველაზე მეტად ქიზიყი ღელავდა.

უკიდურესი შევიწროების გამო ქიზიყელები, ქვემო მაჩხანელი გლეხის, ვასო თამაზაშვილის მეთაურობით, რუს ცხენოსანთა რაზმს ჩაუსაფრდნენ და მთლიანად გაანადგურეს. მალე მათ შეუერთდა დამოუკიდებლობის დაკარგვის დღიდან ტყვედ გასული კახეთის პარტიზანული რაზმი ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის მეთაურობით. დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ეს ოფიცერი ემიგრაციაში არ წასულა: 1921 წლის გაზაფხულიდანვე ძლიერი პარტიზანული რაზმი ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა ბრძოლას კახეთსა და ხევსურეთში.

პირველი სერიოზული გამოსვლა მან სწორედ მღელვარებით მოცული ქიზიყიდან დაიწყო. ჩოლოყაშვილის რაზმებსა და საოკუპაციო ჯარებს შორის გადამწყვეტი შეტაკება სიღნაღის მახლობლად, 1922 წლის ივნისში მოხდა. მტრის რიცხობრივმა და სამხედრო-ტექნიკურმა უპირატესობამ თავისი გაიტანა: ქართველი პარტიზანები უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. ჩოლოყაშვილი იძულებული გახდა, თავი კვლავ მთისათვის შეეფარებინა და სამომავლო შეტაკებებისთვის მომზადებულიყო. იმავე პერიოდის დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების დაწყების ინიციატივით გამოდიან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატიები და სამხედრო-პოლიტიკური წრეები. საქართველოს

დამოუკიდებლობის სამხედრო საშუალებებით აღდგენის მცდელობა ამიერიდან, პარტიზანებთან ერთად, მათი ზრუნვის საგანიც გახდა.

აჯანყების მომზადება

XX საუკუნის გიორგი სააკაძე

1922 წლის ივნისში ქიზიყში განცდილმა მარცხმა კარგად დაანახვა ქაქუცას, რომ მარტოოდენ პარტიზანული მოქმედებით ოკუპანტების დამარცხება და საქართველოს გათავისუფლება შეუძლებელი იყო. დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში ერის ყველა აქტიური ფენა უნდა ჩართულიყო.

1921-22 წლების მიჯნაზე ეს პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გადაჭრილი. 1921 წელს დაწყებული სვანეთის აჯანყების ფინანსურ მომზადებაში დიდი როლი შეასრულა ქართულმა ეროვნულმა სამეწარმეო გაერთიანებამ — „წარმოკავშირმა“ (თავმჯდომარე — ივანე ციციშვილი). ანალოგიურ დახმარებას უწევდა აღნიშნული ორგანიზაცია ქაქუცას პარტიზანულ რაზმსაც, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო. წარმატებას მოქმედების არეალის ყოველმხრივ გაფართოება მოიტანდა. ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა ე.წ. „ქართული წითელი დივიზიის“ შტაბის უფროსმა როსტომ მუსხელიშვილმა თქვა: დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ეს პოლკოვნიკი

იმდროინდელ საქართველოს გიორგი სააკაძედ მოეწვინა: მას ოკუპაციის შემდეგ მტერთან თანამშრომლობაზე უარი არ განუცხადებია და ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. მალე ის „ქართული წითელი დივიზიის“ შტაბის უფროსად დანიშნეს, მაგრამ მტრის სამსახურში აღზევებული ქართველი თურმე დამპყრობლებს სამარეს უთხრიდა: 1922 წლის ზაფხულშივე მან მჭიდრო კავშირი დაამყარა იმავე პერიოდში ჩამოყალიბებულ „დამოუკიდებლობის კომიტეტთან“, (ინტერპარტიული გაერთიანება) და მას დაქვემდებარებულ „სამხედრო ცენტრთან“ რომელიც ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიებისგან შედგებოდა. როსტომ მუსხელიშვილის გეგმით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა აჯანყებას აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც თავის ისტორიულ ბაზას — ხევსურეთის მთა-სიმაგრეებს უნდა დაყრდნობოდა.

ხევსურეთს, თავისი გეოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, მართლაც უნიკალური როლი ჰქონდა ჯერ კიდევ მეფის რუსეთის ხანაში. ცნობილია, რომ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მტერს ხევსურეთმა და ქართლ-კახეთიდან იქ თავმოყრილმა აჯანყებულებმა გაუწიეს. „სანამ ხევსურეთის ციხეს არ დაზანდრევენ, თბილისში არხეინად ვერ დავიძინებთ“ — სწერდა ერთ-ერთი რუსი გენერალი იმპერატორ ალექსანდრე პირველს. ამ რეგიონის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ 1804 წელს პატ-

არა ხევსურეთის ასაღებად რუსეთმა 70000 ჯარისკაცი და 50 ზარბაზანი გადაისროლა...

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების დაწყებას, კავკასიაში შექმნილი მოსკოვისთვის საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაც არანაკლებ უწყობდა ხელს. კერძოდ, საკმაოდ სუსტი გახლდათ დაპყრობილ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში განლაგებული რუსული საოკუპაციო ჯარის ნაწილები. მათი საერთო რაოდენობა სულ 19000-ს აღწევდა.

მართლაც, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა. პოლკოვნიკმა მუსხელიშვილმა ამიერკავკასიის რუსული არმიის სარდლობაში იმხელა გავლენა მოიპოვა, რომ მოსკოვის ყველა სამხედრო და პოლიტიკური საიდუმლო იცოდა.

საოკუპაციო ჯარის დამარცხების მუსხელიშვილისეული ტაქტიკური მონაზანი ასეთი იყო: ქაჩუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმები ღუმეთისა და თიანეთის მაზრების მისადგომებთან უნდა გამაგრებულიყო. პოლკოვნიკი მუსხელიშვილი რუსული ჯარის ამიერკავკასიაში მყოფ მთელ კონტინენტს აღნიშნული მაზრების საზღვრებთან განლაგებდა და ხეებში მოამწყვდედა. ამით უნდა ესარგებლათ ქართლსა და კახეთში საგანგებოდ ჩამოყალიბებულ პარტიზანულ რაზმებს, რომლებსაც შალვა ფავლენიშვილი, მიხეილ ლაშქარაშვილი და სვიმონ ბაგრატიონ-მუსხრანელი ხელმძღვანელობდნენ და მტრისთვის ზურგიდან უნდა დაერტყათ. ზურგგატეხილ, პანიკაში ჩავარდნილ და დამლილ ბოლშევიკურ ნაწილებს იერიშზე გადასული ჩოლოყაშვილი ადვილად მოერეოდა, და შემდგომ, ფაქტობრივად დაუცველ თბილისს, მინიმალური ძალისხმევით აიღებდა.

მაგრამ სულ სხვაგვარად აფასებდნენ ვითარებას „დამკომში“ (დამოუკიდებლობის კომიტეტი): ეროვნულ-დემოკრატიებისა და სოციალისტ-ფედერალისტთაგან განსხვავებით, აჯანყების დაწყების სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ მასში გაერთიანებული სოციალ-დემოკრატები. მათი აზრით, აჯანყება მხოლოდ მაშინ უნდა დაწყებულიყო, როდესაც ამისთვის მზად იქნებოდა მთელი საქართველო და არა მარტო ხევსურეთი. გარდა ამისა, სანქცია აჯანყების დასაწყებად ემიგრანტული მთავრობისგანაც უნდა მოსულიყო. ამრიგად, „დამკომში“ არსებულმა აზრთა სხვაობამ აჯანყების დაწყების მუსხელიშვილისეულ გეგმას სერიოზული საფრთხე შეუქმნა. მიუხედავად ამისა, ეროვნულ-დემოკრატიულმა

პარტიამ და „სამხედრო ცენტრმა“ აჯანყება გადაწყვიტეს.

მალე შეამზობოდა ლიდერებს მხარში ამოუდგა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი. იგი სთხოვდა „სამხედრო ცენტრს“, გადაეცათ ქაჩუცა ჩოლოყაშვილისთვის — აჯანყება 27 სექტემბერს, ალავერდობის დღისათვის დაეკავშირებინა. იმ დღეს კათოლიკოსი ალავერდში იქნებოდა და წმინდა ნინოს ჯვრით დალოცავდა და აკურთხებდა მეგრძოლ ქართულ რაზმებს, შემდეგ კი თავადაც გაჰყვებოდა მათ ბრძოლაში... აჯანყების წარმატება ქართველთა ერთიანობისა და მათი სამომავლო შეთანხმებული მოქმედების საწინდარი გახდებოდა.

1922 წლის აჯანყება

ღალატი და მარცხი

ამრიგად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების დაწყების დღედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი (ხელაია), ყველაზე სასურველად 27 სექტემბერს მიიჩნევდა. ეს წინადადება „დამკომის“ „სამხედრო ცენტრმა“ უმაღლესი მიიღო. ცენტრის წევრი დავით (დათა) ვაჩნაძე, 1922 წლის 22 ივლისს, „სამფერიის“ ფსევდონიმით საგანგებო წერილს უგზავნის ქაჩუცა ჩოლოყაშვილს, სადაც პირდაპირ მიუთითებს აჯანყების დაწყების თარიღს — 27 სექტემბერს. ხოლო მანამდე, 15 სექტემბრამდე, ჩოლოყაშვილს „სამხედრო ცენტრის“ ოპერატიული შტაბისთვის უნდა ეცნობებინა შეიარაღებული გამოსვლის ყოველი ტაქტიკური სვლა, საომარი ძალების რაოდენობა, შეიარაღების დონე და სხვა.

მაშინ სტამბოლში იმყოფებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი შალვა ქარუმიძე, რომელიც თურქეთის ხელისუფლებას დაუკავშირდა და საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში ჯარითა და იარაღით დახმარება სთხოვა. თურქებმაც მაშინვე თანხმობა მისცეს — ოღონდ სამი პირობით: 1. ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადება, 2. ახალციხე-ახალქალაქის მხარის მთლიანად თურქეთისათვის გადაცემა, 3. ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის ექსტერიტორიულად გამოცხადება. ეს საკითხი უმაღლესი განიხილა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და „სამხედრო ცენტრის“ თავმჯდომარემ, გენერალმა კოტე აბახაძემ და ამ პირობების მიღება ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიიჩნია. ამრიგად, ქართველობამ საკმაოდ მნიშვნელო-

ქაჩუცა ჩოლოყაშვილი (მარჯვნივ) და გენერალი გიორგი კვინიტაძე





კოკე აბხაზი



დავით (დათა) ვაჩნაძე



შალვა ქარუმიძე



როსკომ მუსხელიშვილი

ვანი მოკავშირე ძალა დაკარგა და რუსეთთან მოსალოდნელ ომში, მთავარი იმედი როსტომ მუსხელიშვილის შემუშავებულ გეგმას დაუკავშირდა.

როგორც აღინიშნა, აჯანყება 27 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მოხდა სასწაული: ის თითქმის ერთი თვით ადრე – აგვისტოს ბოლოს დაიწყო, რამაც ბუნებრივია, დისონანსი შეიტანა აჯანყებულთა მოქმედებაში. მაგრამ წაგებულნი ჯერ კიდევ არაფერი იყო. ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმმა სწრაფი იერიშის წყალობით დუშეთი აიღო. როგორც ჩანს, თავდაპირველად ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მოწინააღმდეგეთა ძალები სათანადოდ ვერ შეაფასა და აჯანყების სალიკვიდაციოდ იქ მხოლოდ 150 კაციანი კომკავშირული სამხედრო რაზმი გააგზავნა. მაგრამ ქაქუცას მებრძოლებმა ჟინვალთან მთლიანად გაანადგურეს იგი. „მთელი თბილისი ხედავდა, როგორ აატარეს ვერის აღმართზე ბრეზენტგადაფარებულმა საბარგო ავტომობილებმა ბრძოლებში გაუღებელი 80-მდე კომკავშირელის გვამი“.

ამის შემდეგ კავკასიის არმიის რეგულაციური სამხედრო საბჭოს განკარგულებით, დუშეთისკენ დაიძრა ჯარი აჯანყების ჩასახშობად და ჩოლოყაშვილის გასანადგურებლად. საექსპედიციო ჯარის მეთაურად დაინიშნა პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, რომელიც ამავე დროს, არალეგალურად, „დამკომის“ სამხედრო ცენტრის წევრი იყო.

„რა გქნათ! თუქცა მზად არა ვართ აჯანყების დასაწყებად, ჩოლოყაშვილი ნაადრევად ჩაერთო ბრძოლაში, მაგრამ მაინც უნდა სასწრაფოდ ვიმოქმედოთ. პუგაჩოვის (კავკასიის არმიის შტაბის უფროსი) განკარგულებას ჯარების დაგროვების შესახებ თბილისის ბაზაზე ხელოწმურად ვაჩერებ. სანამ წითელი ჯარები თავს მოიყრიან დუშეთ-თიანეთის

საზზე, ჩვენი ზურგის დამკვრელი რაზმი მზად უნდა იყოს. გეთაყვა, უპატრონეთ ამ ჩვენ მხსნელ მუშტს – არ დაგვეშალოს“, – განუცხადებია მას „სამხედრო ცენტრის“ წევრ დათა ვაჩნაძესთან გამართულ საუბარში.

მართლაც, თავდაპირველად, ყოველივე მუსხელიშვილის გეგმის შესაბამისად წარიმართა. „სამხედრო ცენტრის“ აქტიური ძალისხმევით, მოხერხდა გეგმით გათვალისწინებული „ზურგის დამკვრელი რაზმების“ ჩამოყალიბება, რომლებსაც შალვა ფავლენიშვილი, სვიმონ ჭიაბრიშვილი, მიხეილ ლაშქარაშვილი და სვიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი მეთაურობდნენ. მუსხელიშვილის სტრატეგია რუსებს „ტომარასა“ და განადგურებას უშუალებდა. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – ეროვნული დღალტი. სოციალ-დემოკრატებმა, მათთან შეუთანხმებლად აჯანყების დაწყება „დამკომისგან“ შეურაცხყოფად ჩათვალეს, ამასთანავე ისინი თვლიდნენ, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამოსვლა კერძო, თავადური ხასიათისა იყო და ის ბრძოლის მეთაურობას არ იმსახურებდა. ამიტომაც მათ აჯანყებულებთან თავიანთი წარმომადგენლები გააგზავნეს. „ჩვენ გამოგვაგზავნეს თბილისის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომ შეგაჩეროთ საშინელი ავანტიურისაგან. სად მიდიხართ? რისთვის, საერთო გამოსვლის დღე ჯერ არ არის დანიშნული. ჩოლოყაშვილის მოქმედება კერძოა! მას ქართველი ხალხი არ გაჰყვება... ამიტომ იგი უსათუოდ დამარცხდება. გირჩევთ ეხლავე დაიშალოთ, რომ ტყუილუბრალოდ არ დაიღუპოთ და არ დაღუპოთ თქვენი ცოლშვილინიც“. ამ აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო და სამი დღის განმავლობაში, შალვა ფავლენიშვილისა და სხვა პარტიზანების ზურგის რაზმი განახევრდა, შემდეგ კი საერთოდ დაიშალა. პოლკ-

ოვნიკ მუსხელიშვილის შიკრიკს, რომელსაც დუშეთის ტყეში, რუსებზე ზურგიდან თავდასხმის შესახებ ბრძანება მიჰქონდა, შალვა ფავლენიშვილი, რამდენიმე კაცივით დახვდა.

მიუხედავად ამისა, მუსხელიშვილი და ჩოლოყაშვილი თავდაპირველად მაინც შეთანხმებულად მოქმედებდნენ: მუსხელიშვილი ბოლშევიკთა ჯართან ერთად დუშეთში მივიდა, ქაქუცამაც, შეთანხმებისამებრ, კონტრშეტევა წამოიწყო და რუსთა ჯარი გამოაქცია: მცხეთამდე სდია, მაგრამ ზურგის რაზმის არარსებობისა და საკუთარ ძალთა სიმცირის გამო, იძულებული გახდა, დენა შეეწყვიტა. იგი ისევ დუშეთში გაბრუნდა და იქ გამაგრდა. მაგრამ რუსული ჯარი, ახალი რაზმებით შევსებული და გაძლიერებული, კონტრშეტევაზე გადავიდა და აჯანყებულთა რაზმი ალყაში მოაქცია. ბუნებრივია, მუსხელიშვილი მტერს ხელში არ ჩაუვდებდა ქაქუცას და საშუალება მისცა, კახეთისაკენ გაეღწია. რუსები ხევსურეთს შეესივნენ და იქაური სოფლები სასტიკად ააოხრეს. ავადმყოფმა შალვა ფავლენიშვილმა, თბილისში, თავის ბინაზე მწოლიარემ, მტრებს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, თავი მოიკლა. აჯანყება დამარცხდა.

1923 წლის თებერვალში, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრის კ. მესაბიშვილის ჯაშუშობის წყალობით, „ჩეკამ“ (ბოლშევიკთა სადამსჯელო-საგანგებო კომისია) შეიპყრო აჯანყების ორგანიზატორთა მთავარი ბირთვი. 19 მაისს „ჩეკას“ დადგენილებით, დახვრიტეს გენერლები – კოტე აბხაზი და ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. სერგო ორჯონიკიძის პირადი ბრძანებით დაიხვრიტა ქართული დივიზიის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი. აჯანყების მოთავე სულ 15 კაცი დახვრიტეს. 1922 წლის მარცხმა გარკვეულწილად, 1924 წლის აჯანყების ბედიც გადაწყვიტა.



ცნობილი ჩოგბურთელისთვის, ბორის ბეკერისთვის ახალი საუკუნე ცუდად დაიწყო: ის ცოლმა მიატოვა და თან ბავშვები და ბევრი ფულიც გაიყოლა. ეს კი ვილაც „რუსი მულატი“ გოგონას გამო მოსდა, რომელმაც შეძლო დაემტკიცებინა, რომ მისი 10 თვის გოგონას მამა ბორის ბეკერია. რესპექტაბელური და ყოველმხრივ განონასწორებული პიროვნება უცებ სკანდალური ქრონიკების გმირად გადაიქცა. საზოგადოებაში ის თითოთ საჩვენებელი გახდა, ხოლო ბევრმა მეგობარმა კი ზურგიც შეაქცია.

ფერადკანიანი ქაქხის მოყვანილი ბორის ბეკერი

სულ ცოტა ხნის წინ საქმე შესანიშნავად მიდიოდა: 1999 წლის ივლისში, მოსიყვარულე ცოლმა, ბარბარამ აუწყა, რომ მეორე შვილს ელოდა. ბეკერს ეს ამბავი ძალიან გაუხარდა. ორას ორმოცდათი მილიონი დოლარის ქონება, თაყვანისმცემელთა არმია, საყოველთაო პატივისცემა და მყარი ოჯახი – ეს საკმარისზე მეტიც იყო იმისათვის, რათა ბორისი ღირსეულად შეხვედროდა სპორტულ სიბერეს. ბეკერმა გადაწყვიტა, რომ დიდი ჩოგბურთიდან წასვლის დრო დაეგა.

ოცდაათი წლისთვის მსოფლიო პირველობის სერიოზული პრეტენდენტიდან ბეკერმა „ჩოგბურთის ლეგენდის“ რანგში გადაინაცვლა. ნამდვილი სპორტული მიღწევები მას უკვე აღარ ჰქონდა. უიმბლდონის ტურნირი 17 წლის ასაკში მოიგო, შემდეგ – 18 და 21 წლის ასაკშიც... დიას, ეს მეტიმეტად აღრე მოხდა! თანაც, მწვერთხელეს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, ეხვეწებოდნენ, არ ეჩქარა ცოლის მოყვანა. მათ ემინოდათ, რომ დაოჯახება ბეკერს დროს წაართმევდა. ასეც მოხდა – ბარბარა ფელტუსისადმი სიყვარულმა იძინად აურია გონება, რომ ბორისი ბეკერად უფრო მშვიდად აღიქვამდა თავის გამარჯვებასაც და მარცხსაც.

საზოგადოებაში წყვილის გამოსვლას

მუდამ თან ახლდა ცნობისმოყვარეთა გამკიცხავი მზერა. ტრადიციების მიმდევარ ბიურჯერებს არ ესმოდათ, როგორ შეიძლებოდა მათ კერპს სტრიპტიზის ყოფილ მოცეკვავესთან და ისიც შავკანიან ქალთან, დაეკავშირებინა ბუდი. გერმანელი ნეონაციისტები კი სულ გადავიდნენ ჭკუიდან – მექარით საგსე წერილებს უგზავნიდნენ ბეკერს, ბარბარას კი ტელეფონითაც ურეკავდნენ და „თავის ამერიკაში წათრევას“ ურჩევდნენ...

თუმცა, ბეკერს ხალხის აზრი სულ არ ანაღვლებდა. ის თვითონაც არ იყო „წმინდა წყლის არიელი“: დედა ებრაელი ჰყავდა, მამა კი – ჩეხოსლოვაკიიდან გამოქცეული ესტონელი. ოჯახი წლობით ცხოვრობდა საემიგრანტო საკარვო ქალაქებში და თუ ბორისმა მიუნხენის სიამაყის „ტიტულს“ მიაღწია, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი დამსახურება იყო: ბიჭი ექვსი წლიდან დაულაღვად ვარჯიშობდა და კორტზე მძიმე შრომით მოპოვებულ ფულს საკმარის აფასებდა. ბავშვობიდან მისი ოცნება რესპექტაბელური ცხოვრება და გამდიდრება იყო. მოგვიანებით მასში კიდევ ერთმა გატაცებამ იჩინა თავი: ყმაწვილს ფერადკანიანი ქალები ხიბლავდა...

მამაკაცების რისხვა ანეკლა. ერმაკოვას ქალიშვილი ანა „გამოჭრილი“ ბორისია...





ბარბარასთან და უფროს შვილთან ნოი გაბრიელთან ერთად, ეგზოტიკურ კაგარში დასვენებისას. 1996 წ.



სახლი მაიაში, რომელიც ბეკერს ბარბარას სასარგებლოდ წაართვის

ბორისი და ბარბარა 26 წლის ასაკში შეუღლდნენ. ქორწილიდან ერთ თვეში მათ ვაჟი – ნოი შეეძინათ. იმ დროიდან ბეკერის საჩოგბურთო კარიერამ დაღმასვლა იწყო. მას საწყისი ქონება ჰქონდა, ახლა საჭირო იყო, ფული სწორად გამოეყენებინა.

1999 წლის უიმბლდონის ტურნირის დასრულების აღსანიშნავ ბანკეტზე ბეკერი ტრადიციული საპატიო სტუმრის სტატუსით მიიწვიეს. იმ დღეს ფენძიმე ბარბარა თავს ცუდად გრძობდა და ქმარს არ ახლდა.

ბანკეტზე მყოფ ქალებს შორის ყველაზე ეფექტურად „რუსი მულატი“ – ანჟელა ერმაკოვა გამოიყურებოდა – ზოგი მას მოედევდა, ზოგი კი ჩვეულებრივ მეძავად მიიჩნევდა... ერთი სიტყვით, ფრიად საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა.

ანჟელა მოსკოვში დაიბადა. ის ნიგერიელი სტუდენტის შვილი იყო, რომელსაც მისი დაბადების ამბავი არც შეუტყვია. ქალს მთელი ცხოვრება რუსეთიდან გამოღწევა ჰქონდა მიზნად დასახული. ლამაზი ცხოვრების მოსაწყობად ის ყველაფერზე მიდევდა: მონდომებით სწავლობდა ინგლისურს, სკოლის შემდეგ, პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა, მუშაობდა თარჯიმნად, 1990 წელს კი, როგორც იქნა, ინგლისის ვიზის მიღება შეძლო.

ლონდონში მან ბინა იქირავა, უშედეგოდ ეძებდა სამსახურს, ვიზის დრო კი იწურებოდა. ანჟელას ვერც წარმოედგინა ამ ქვეყნის დატოვება. რაღაც სასწაულებრივად მოახერხა, თავისი ბინის პატრონი – დაბალი რანგის მოხელე, რიჩარდ ფრემპტონი მასთან შეუღლებაზე დაეთანხმებინა. თუმცა, როგორც კი ქალმა ფიქტორი ქორწინების ნამდვილ ოჯახად გადაქცევა სცადა, ქმარმა ის სახლიდან გააგდო.

ანჟელა იძულებული გახდა, ცოლად მეზობელ მოხუცს გაჰყოლოდა, რომელიც დიდი ხანია უხამსი მინიშნებებით აწუხებდა. მოხუცი, თუმცა მდიდარი, მაგრამ ძალიან

ბუნწი იყო: ანჟელას ყველაფერში მოძვირნობას სთხოვდა. ნაცნობების აზრით, სწორედ მაშინ გაუჩნდა ანჟელას იდეა ფიქსი, რომ ხელგამოწილი და მდიდარი მამაკაცი ეპოვა. თანამემამულენარკომანი ქალის გასვენებაში მან გარდაცვლილის ყოფილი საყვარელი, მილიონერი პოლ ფრემპტონი (თავისი პირველი ქმრის მოგვარე) გაიცნო...

ანჟელა მის მდიდრულ სახლში გადავიდა, კარგად იცვამდა, ელიტურ კლუბებს და მაღალი საზოგადოების შეკრებებს სტუმრობდა. ეს ის ცხოვრება იყო, რომელზეც ქალი ოცნებობდა. ფრემპტონმა ის სამ წელიწადში გააგდო, მაგრამ გოგონა არ დანაღვლიანებულა – მას რჩეულთათვის განკუთვნილ ადგილებში შეეძლო შესვლა და იქ ფრემპტონზე უკეთესი კაცის გაცნობის შანსიც ჰქონდა.

ბეკერს ეს ქალი მანამდეც ენახა, მისი ტელეფონიც ჰქონდა, დარეკვა კი ვერ მოეხერხებინა. ახლა კი ანჟელა თავად ეკიდებოდა კისერზე. ის ლამაზი, ტანადი, გრძელთმიანი და, რაც მთავარია, ფერადკანიანი იყო – სწორედ ბეკერის გემოვნებას პასუხობდა და რაღაცით თითქოს მის ცოლსაც ჰგავდა...

იმ საღამოს ბეკერმა თავს განტვირთვის უფლება მისცა. ის სვამდა, ანჟელასთან ცეკვავდა და სახალხოდაც კოცნიდა ქალს, შემდეგ კი რა მოხდა, უბრალოდ არც ახსოვს! ყოველ შემთხვევაში, თავად ბეკერი დარწმუნებული იყო, რომ მათ ისეთი არაფერი ჩაუღენიათ, რასაც ბავშვის გაჩენა მოსდევს ხოლმე...

ბორისს იმ ეპიზოდის დეტალების გახსენება არც მოუწევდა, ზუსტად ცხრა თვის შემდეგ – 2000 წლის აპრილში ანჟელა ისევ რომ არ გამოჩენილიყო მის ცხოვრებაში. ის მარტო აღარ იყო – ახალდაბადებულ ქალიშვილს, ანასთან ერთად გამოეცხადა... მან ბეკერს განუცხადა, რომ ბავშვის მამა სწორედ ის იყო.

თავიდან ბეკერი თვეში ხუთას დოლარს

შეჰპირდა, თუ ქალი ამ ამბავს არ გაახმაურებდა. მაგრამ ანჟელას თანხა ეცოტავა, ბორისთან საუბრები დიქტოფონზე ჩაიწერა და მის ცოლს დაურეკა – ბეკერისგან გაჩენილ შვილზე უნდოდა ეთქვა. ბარბარამ ყურიც არ შეიბურტყა: „შენისთანავე ქვეყნისა: აგერ, დღეს უკვე მეხუთე ხარ, ვინც ბორისისგან ბავშვი გააჩინა...“

ბეკერმა მამობის აღიარებაზე უარი განაცხადა, მაგრამ ტესტმა მისი მამობა დაადასტურა. ჩემპიონი ამ ფაქტმა ისე დააბნია, რომ სასამართლოზე მხოლოდ იმასლა იმეორებდა: „არ მახსოვს, ეს შეუძლებელია...“ საბოლოო სიტყვაში კი განაცხადა, რომ მომხდარი... რუსული მაფიის მოწყობილი ჰგონია...

სასამართლომ ბეკერის კანონიერ მემკვიდრედ აღიარა პატარა ანა და ჩოგბურთელს ალიმენტის სახით 3 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. ალბათ ჩოგბურთელი ამაზე ძალიან ინერვიულებდა, იმავედროულად მეორე დარტყმა რომ არ მიეღო: მან მეორე სასამართლო უწყება მიიღო – აქამდე მუდამ გამგებ და სანდო მის მეუღლეს – ბარბარას გაყრაზე შეუტანია განცხადება. ის აგრეთვე მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურებასაც მოითხოვდა: გამაგრებული სასმელების ერთმა სოლიდურმა კომპანიამ, რომლის სახესაც ბარბარა წარმოადგენდა, მასთან სარეკლამო კონტრაქტი დაარღვია, ამდენად, ქმრის სკანდალური ქცევის გამო, ბარბარას რეპუტაციაც დაზარალდა...

ყველა ფაქტი ბეკერის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა და გაყრაც შედარებით მალე – სულ შვიდ კვირაში გაფორმდა, ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ანჟელასთან გამართული სასამართლო პროცესი. ბარბარამ როგორც ამერიკის მოქალაქემ მოითხოვა, რომ სასამართლო პროცესი ამერიკაში გამართულიყო. საქმე ის არის, რომ გერმანიაში საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, მას

ერთგული პკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-
მასხოვრებთ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-
ებათ პასუხის გაცემა...

1. რამდენი ქატი თამაშობს მორაგებითა გუნდში?



- ა) 11;
- ბ) 15;
- გ) 17.

2. რომელ ქვეყანაში ბაჩნ- და პირველად სიტყვა „ველო- სიკაედი“?



- ა) ინგლისში;
- ბ) გერმანიაში;
- გ) საფრანგეთში.

3. ღვინის ღმერთის — ბახუსის პატივსაცემად მოწყ- ობილ დღესასწაულს ეძევა:



- ა) ორგია;
- ბ) კონცერტი;
- გ) სატურნალიები.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მხოლოდ 1,5 მილიონი დოლარი ერგებოდა, კალიფორნიაში კი სხვა კანონები: ბეკერი აიძულეს, ცოლისთვის 14 მილიონი დოლარი გადაეხადა, მაიამიში მღებარე სახლი დაეთმო და მატერიალურად უზრუნველყო ქალი მთელი ცხოვრების მანძილზე. ალბათ თავად ბეკერიც ვერ იტყოდა, რომელი უბედურება განიცადა უფრო მეტად: ბარბარასთან განშორება თუ ქონებრივი ზარალი.

რა თქმა უნდა, ბეკერმა თავის გამართლებას სცადა. ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ცოლისთვის არასოდეს უღალატა, ანუელასთან კი ყველაფერი უბრალო შემთხვევის გამო მოხდა. ადვოკატის რჩევით, ის სახლიდან მხოლოდ კვირაში ორჯერ, ვაჟიშვილების სანახავად გადიოდა (იმ დროისთვის უმცროს ვაჟს, ელიას ბალთაზარს ერთი წელი შეუსრულდა). ბორისი იმდენად გულწრფელად განიცდიდა „ცხოვრებაში ყველაზე დიდ შეცდომას“, რომ საზოგადოება ნელ-ნელა მის მხარეზე გადავიდა. ბორისს ბარბარასთან შერიგების იმედიც კი გაუჩნდა, როცა ახალი უბედურება დაატყდა თავს — ყოფილი ცოლი, ვაჟებთან ერთად, გერმანიიდან ამერიკაში გადავიდა — სწორედ იმ სახლში, მაიამიში, რომელიც სასამართლომ მიაკუთვნა. აღშფოთებულმა ბეკერმა ოჯახის ყველა ანგარიში გაყინა და პოლიციაში შეიტანა განცხადება, რომელშიც შვილების მოტაცების ამბავს იუწყებოდა და მოძებნასა და დასჯას მოითხოვდა.

ამან ნამდვილი სკანდალი გამოიწვია. პროფესიონალთა გუნდი დღე და ღამე ფიქრობდა, როგორ შეეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ბორისისადმი. იმიჯმეიკერებმა გადაწყვიტეს: ძველ შეცდომებს აღარაფერი ეშველება, რაც შეეხება მომავალს

— საჭიროა ახალი რესპექტაბელური რომანი, რათა ხალხს ბეკერის ოჯახური კონფლიქტი დაავიწყდეს. არჩევანი ცნობილ რუბომოდერალ საბრინა ზეტლერზე შეჩერდა. საბრინა იმ დროს ღიძების მწვერვალზე იმყოფებოდა — მისი სიმღერები გერმანულ ჰიტპარადებში უცვლელად პირველ ადგილებს იკავებდა, თავად კი გერმანიის ყველაზე სექსუალურ ქალად აღიარეს.

ბეკერი არ იყო წინააღმდეგი, რომ რომანი ლამაზ მულაზ გოგონასთან გაეჩაღებინა. ბორისმა საბრინა ადრე, ჯერ კიდევ ოჯახურ კონფლიქტამდე გაიცნო...

ბეკერის ბედად, 2000 წლის იანვარში საბრინა თავისუფალი აღმოჩნდა. დანარჩენი კი უკვე მასზე იყო დამოკიდებული. ბეკერმა ქალი საჩუქრებითა და ყვავილებით აავსო, საბრინას ყველა კონცერტს ესწრებოდა — მოკლე ყველაფერი საკმაოდ სენტიმენტალურად განვითარდა.

რა მოხდა შემდეგ — ზუსტად არავინ იცის. მაგრამ ფაქტია: ბეკერმა ძალიან სწრაფად მიატოვა საბრინა, ბარბარას კი სიბრაზემ გადაუარა. ის დათანხმდა, ყოფილ ქმართან და შვილებთან ერთად, რამდენიმე დღე ბაკამის კუნძულებზე გაეტარებინა. მართალია, ჯერჯერობით გაურკვეველია, ეს ოჯახის გამთელებას ნიშნავს, თუ უბრალოდ ყოფილ მეუღლეთა შორის ცივილიზებული ურთიერთობის მაგალითია, მაგრამ ბეკერი ამკარად ავლენს, რომ თანახმაა, მისი ცხოვრება უწინდელ კალაპოტში მოაქციოს. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტიკების მიერ ამ თემაზე დასმულ შეკითხვებს ის ასე პასუხობს: „ჩემს ცხოვრებაში არანაირი ქალი არ არსებობს — რასაკვირველია, ბარბარას გარდა!“

ბორის ბეკერი საბრინა ზეტლერთან ერთად



აკაკი გვგენავა

გერმანიაში შეძენილი „ხულიგანკა ბემ-ვე“-თი ავსტრიიდან ორი დღე და ღამე შეუსვენებელი საჭესთან მჯდომმა, ბოლოს და ბოლოს, გადავკვეთე თურქეთ-საქართველოს საზღვარი. უძილობისგან თვალები მეხუჭებოდა და ერთი სული მქონდა, როდის მივალწვედი ბათუმამდე. მეგობრის ოჯახში დასვენებას ვაპირებდი, მერე კი თბილისის გზას დავადგებოდი...

ბათუმის შესასვლელთან პოლიციელთა რეიდმა გამაჩერა. ჩემკენ ახალგაზრდა „თანამშრომელი“ გამოემართა. აშკარად ეტყობოდა, ახალი დაწყებული ჰქონდა ორგანოებში მუშაობა და მთელი ხუთი წუთი ყურადღებით აკვირდებოდა ჩემს საბუთებს და ავტომობილს. ბოლოს ეჭვიანი თვალებით მომამტერდა და მკითხა:

- საიდან მო გო?..
- ვენიდან... - ხმადაბლა ვუპასუხე.
- საიდან?...- გაოცება ვერ დამალა.
- ვენაში ვიყავი და ვენიდან მოვდივარ... - შემიწუხდა გული: ერთი სული მქონდა, როდის გავეცლებოდი იქაურობას. არ ვიცი, ჩემი დაღლილი ფიზიონომია არ მოეწონა თუ ჩაწითლებული თვალები, მაგრამ მკაცრად მკითხა:

- მაშ, „ლოზაში“ კარგი დრო გაატარე?...

„ლოზა“ დრეზდენში „ამერიკა“ და კვლავ ვუპასუხე:

- დრეზდენში კი არა - ვენაში ვიყავი და იქიდან მოვდივარ... - ხმაში გაღიზიანება შემეპარა. შევნიშნე, რომ ისიც აიღეწა: კიდევ უფრო მკაცრი სახე მიიღო და მომახალა:

- მაღადავებ, არა, შე „ქემო“?... წამომყევი და მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა მაიმუნობა...

მერე ხელმძღვანელობასთან მიმიყვანა. არ ვიცი, რამდენ ხანს მოვუნდი იმის მტკიცებას, რომ „ქემო“ არ ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორ გამოვცოცხლდი და გამახსენდა, რომ „ქარაფშუტა“ ევროპიდან სამშობლოში დავბრუნდი...

გერმანიიდან ავტომობილით საქართველოსკენ მომავალმა, ავსტრია აუცილებლად უნდა გამოიარო. სწრაფი საავტომობილო გზები, რომელსაც ევროპაში „ავტობანებს“ ეძახიან, მთელ ქვეყანას კვეთს. თუ საგზაო ნიშნებს ყურადღებით არ დააკვირდები, შეიძლება მთელი ქვეყანა ისე გადასერო, რომ ვერც ერთ ქალაქში ვერ შეხვდი... მეც, ჩემი უყურადღებობის გამო, ქალაქ ვენის გადასასვლელს ავცდი და



rogor gaviciani
მოსწრის ბრძოლის
- adelaida

ხელმეტი 25 კილომეტრის გავლა დამტვირდა, რომ „ავტობანიდან“ გადამხვია და უკან დავბრუნებულიყავი...

ავსტრია

ავსტრიის სახელმწიფოს წარმოშობას რომის იმპერიას უკავშირებენ... მოგეხსენებათ, რომის იმპერია უზარმაზარ ტერიტორიებს იპყრობდა, გაუვალ ტყეებში გაჰყავდა გზები და აშენებდა ციხესიმაგრეებს. ასე აშენდა ციხესიმაგრე ვინდებონი (ვენა), რომლის ნაფუძარზეც მოგვიანებით ქალაქი წამოიშობა.

რომაელები მდინარე დუნაიზე პატრულირებას ეწეოდნენ. ციხესიმაგრე ვინდებონი მათი ერთ-ერთი საკონტროლო პუნქტი იყო. რომაელი ჯარისკაცები და ოფიცრები, სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ ამ მიდამოებში სახლდებოდნენ და წლების მანძილზე მკვიდრ მოსახლეობას შეერივნენ... ჯარისკაცები ომიდან გამდიდრებულები ბრუნდებოდნენ, რაც მათ საშუალებას აძლევდა, აეშენებინათ სასახლეები და ნორმალური ცხოვრებისთვის საჭირო სხვა ნაგებობები. შემდეგ მოსახლეობა გაქრისტიანდა და დაადგა ქრისტიანული განვითარების

გზას... რომის იმპერია დაემხო და რომაელები იბულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ ვენა...

მათი წასვლის შემდეგ, კერძოდ 975 წელს ეს ტერიტორიები ბავარიელმა თავადმა, ლეოპოლდ ბაბენბერგმა დაიპყრო. მანვე დაუდო სათავე ბაბენბერგების სამეფო დინასტიას, რომელიც ავსტრიის სამეფოს XIV საუკუნემდე მართავდა. XIV საუკუნეში ავსტრიაში ფეოდალური შინაომები დაიწყო, რის გამოც ქვეყანა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე უმართავი გახდა... ბოლოს ჰაბსბურგებმა გაიმარჯვეს და ავსტრიას XX საუკუნემდე მართავდნენ.

დროთა განმავლობაში ეს ქვეყანა ისე გაძლიერდა, რომ დაპყრობით ომებსაც კი მიჰყო ხელი, რის წყალობითაც მთელ ევროპაში უდიდეს იმპერიადაც იქცა. მის შემადგენლობაში შედიოდა: აწ უკვე ყოფილი სოციალისტური იუგოსლავიის ქვეყნები, უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი, გერმანიის ნაწილი... პირველ მსოფლიო ომში მისი დამარცხების შემდეგ იმპერიის დაშლა დაიწყო. მასში შემავალმა ერებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და 1918 წელს თავიანთი სახელმწიფოები შექმნეს.



აქ თავმოყრილია მუზეუმები, თეატრები, სასახლეები და ქვეყნის პარლამენტი.

ახალმა ავსტრიამ თავი რესპუბლიკად გამოაცხადა და 1525 წლის საზღვრებს დაუბრუნდა. დღეს ავსტრია ნეიტრალური სახელმწიფო და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი ქვეყანაა...

ვენა

სასტუმროს პოვნა ვენაში პრობლემას არ წარმოადგენს. ბუნებრივია, აქ ყველა ღონისა და, შესაბამისად, ღირებულების სასტუმროს ნახავ. 10 დოლარად საშუალო ღონის სასტუმროში ოროთახიანი კომფორტული ნომერი ვიქირავე. სამსართულიან შენობაში თითოეულ სართულზე მორიგე მომსახურე პერსონალი მუშაობდა. ჩემს სართულზე რომანტიკული სახელის, 20-25 წლის ქალიშვილი – ადელაიდა მორიგობდა. ისეთი ცისფერი თვალები, სათნო სახის გამომეტყველება და ჩამოსხმული ტან-ფეხი ჰქონდა, მშვიდად ნამდვილად ვერ ჩაუვლიდა კაცი... მისი მორიგობის დროს მუდამ ვცდილობდი, შანსი არ გამეშვა და გამოვლაპარაკებოდი: ხან გასაღები „დამაკვიწყდებოდა“, ხან ბლოკნოტი „დამრჩებოდა“ ნომერში და ფოიეში მივდი-მოვდიოდი ხოლმე... ის, რა თქმა უნდა, ჩემს ოინებს ხვდებოდა და თუმცა არაფერს იმჩნევდა, ეშმაკურად ეღიმიებოდა...

ქალაქის დასათვალიერებლად ავტომობილი სულ არ დაგჭირდებათ: საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა უფრო მოხერხებულიც არის და იაფიც: 11 დოლარად შეგიძლიათ შეიძინოთ ერთკვირიანი ბარათი, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტით, შეუზღუდავად ისარგებლებთ... ქალაქის დასათვალიერებლად საესკურსიო ავტობუსის ბარათის გამოყენებაც შეგიძლიათ, რომელიც 40 დოლარი ღირს და ორი დღის მანძილზე მოქმედებს. ეს ავტობუსი ერთი საათის ინტერვალით

მოდრაობს და ტურისტები უმთავრესი ღირშესანიშნაობების სანახავად დაჰყავს...

ვენის ძირითადი ისტორიული ნაწილი, რომელსაც რინგოს (წრეს) უწოდებენ, ძალიან პატარაა. ფეხით მისი შემოვლა ერთ დღეში შეიძლება. რინგოში აკრძალულია სატვირთო მანქანების მოძრაობა, ბევრ ადგილას კი – ნებისმიერი ავტომობილისაც. აქ თავმოყრილია მუზეუმები, თეატრები, სასახლეები და ქვეყნის პარლამენტი. რინგოშია აგრეთვე უნივერსიტეტი და ვენის სახელგანთქმული ოპერა, სადაც მოღვაწეობდნენ: მოცარტი, ბეთჰოვენი, შტრაუსი, ბრამსი... აქვეა უამრავი ტაძარი, რომელიც ძირითადად, X-XIII საუკუნეებში აშენდა. მათ შორის ყველაზე მაღალია წმინდა სტეფანეს სახელობის ეკლესია. მისი კოშკის წვერამდე 313 საფეხურიანი კიბეა. თუ ეს კიბე დაძლიეთ, 100 მეტრის სიმაღლიდან შეგიძლიათ გადახედოთ ვენას...

რინგოში ბევრი ისეთი ქუჩაა, რომელზეც ოთხკაციანი მწკრივი ვერ გაივლის. ასეთი ქუჩები ავსტრიის სხვა ძველი ქალაქებისთვისაც არის დამახასიათებელი...

ქალაქის ქუჩებში

ყოველ ნაბიჯზე რესტორანი და კაფეა. ბევრ მათგანში, გერმანულისა და ინგლისურის გარდა, რუსულენოვანი მენიუც შეგხვდებათ: ამას რუსი ტურისტების ბოლოდროინდელი მოძღვრებით ხსნიან... ავსტრიაში, როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, კვრძებს უმეტესად, უპუროდ მიირთმევენ და თუ მოითხოვ, ფუნთუშის მაგვარ პურს მოგიტანენ, რომელიც ჩვენებურ კაცს ნაკლებად აკმაყოფილებს. თავიდან ოფიციალტებს ვაწუხებდი ხოლმე – ბევრი პურის მოტანას ვთხოვდი, მაგრამ მერე – მერიდებოდა და რესტორანში ჩემი პურით შევდიოდი, რესტორნის თანამშრომლები კი

გაკვირვებულები მომშტერებოდნენ...

ავსტრიელები კანონმორჩილი მოქალაქეები არიან: ყველაფერში, თითოეულ წვრილმანში დიდ პასუხისმგებლობასა და, ამავე დროს, ესთეტიკისადმი ლტოლვასაც ამჟღავნებენ. გამორიცხულია, ავსტრიელმა გზა გადავიჭრას ან საერთოდ, რამეში სხვისი გადასწრება სცადოს. ხშირად შევსწრებოვარ სიტუაციას, როდესაც ავტობუსის გაჩერებასთან მდგომი მგზავრები რამდენიმე წუთის მანძილზე ერთმანეთს უთმობდნენ გზას ტრანსპორტში ასასვლელად...

ერთხელ ქუჩაში სეირნობისას, გზავრედინს მიუახლოვდი და შევამჩნიე, რომ მას დიდი სიჩქარით მომაგალი მსუბუქი ავტომობილი უახლოვდებოდა. შექნიმანი არ იყო და გაჩერდი. ამ დროს ავტომობილიც, მუხრუჭების ღრჭიალით, ადგილზე გაქავდა. მანქანაში ორი ბიჭი იჯდა. ერთერთმა ფანჯრიდან ხელი გამოყო და მანიშნა – შეგიძლია გადახვიდეო... როგორც კი გადავედი, მანქანა ადგილს მოსწყდა...

სასტუმროს გვერდით, სადაც ვცხოვრობდი, გზავრედინი იყო, რომელზეც მოძრაობას პოლიციელი ქალი არეგულირებდა... ქუჩაზე რომ გადავიდი, მუდამ მიღიმოდა ხოლმე, რაც ძალიან მსიამოვნებდა... ჩემი თავი აღენ დელონი მეგონა... ერთ დღეს, პიკის საათის დროს მომიწია გზავრედინზე გადასვლა. პოლიციელმა ქალმა გადასვლის ნებართვა დამართო, მაგრამ ამჯერად... არ გამიღიმა. ისევ – ახლა საპირისპირო მხარეზე გამივდი – კვლავ არ გამიღიმა. ასე, რამდენჯერმე გადავედ-გადმოვედი და არც ერთხელ არ მოუქცევია ჩემთვის ყურადღება. გული დამწყდა, მაგრამ რა უნდა მექნა – ძალიან დაძაბული, დიდი მოძრაობა იყო და პოლიციელი ქალბატონი თავის საქმეს აკეთებდა...

ადელაიდა

სასტუმროს სართულის მორიგე, ჩემი სიმპათია ადელაიდა, სტუდენტი აღმოჩნდა. დილით უნივერსიტეტში დადიოდა, ხოლო ღამით, დღეგამოსვებით სასტუმროში მუშაობდა. როგორ არ ვუტრიალე, რაზე არ ველაპარაკე, მაგრამ ღამის ვენის სანახავად, არაფრით წამომყვა. უკვირდა ჩემი გეოგრაფიაში გათვითცნობიერება. განსაკუთრებით მაშინ გაოცდა, როდესაც ავსტრიის ისტორიაზე დაუწყვე ლაპარაკი. ამჟერად ეტყობოდა, რომ პატივისცემით მიყურებდა, რაც იმედს მისახავდა...

– ადელაიდა, დილით სწავლობ, დამე მუშაობ, თანაც არ ისვენებ... „გადანიწვები“ და ახალგაზრდობის წლებიც გავა...

ბესტი ერუდიციაზე

1. რომელი ქართველი
კალათბურთელი იყო ოლიმპი-
ური ჩემპიონი?



- ა) ლევან მოსაშვილი;
- ბ) მიხეილ ქორქია;
- გ) თემურ ბიჭიაშვილი.

2. ვიკინგების მიერ
დაარსებული ქვეყანა არის:



- ა) დანია;
- ბ) ნორვეგია;
- გ) ისლანდია.

3. თანამედროვე
ბელოჯიურ ეპოქას ჰქვია:



- ა) პოლოცენი;
- ბ) ნეოგენი;
- გ) ნეოლითი.

4. მსოფლიოში ცნობილი
ალმანახიდან უდიდესია:



- ა) ორლოვი;
- ბ) შაჰი;
- გ) კულინანი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ერთი კარგი ადგილი ვიცი – წავიდეთ, ცოტას დაისვენებ... – ისევ და ისევ ვცდილობდი მის „შებმას“.

– არ შემიძლია, აკაკი, უნდა ვიმეცადინო... სტუდენტი ვარ – სხვანაირად არ გამოდის: მომავალზე უნდა ვიფიქრო... – ეს მითხრა და ავსტრიული განათლების სისტემის შესახებ მომიყვა.

უმაღლესი განათლება ავსტრიაში ფასიანია და საკმაოდ ძვირი ჯდება, იმდენად, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ შეუძლია გადაიხადოს მისი საფასური. ავსტრიელები თვლიან, რომ განათლებაში ჩადებული ფული ნაღდი კაპიტალია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება. ყველა ლექცია, სემინარი და გამოცდა ფასიანია. გამოცდაზე მეორედ გასვლას ორმაგი გადასახადი ადევს, ამიტომ სტუდენტები ცდილობენ, გამოცდა პირველი ცდის დროსვე ჩააბარონ... ავსტრიელები დიდად აფასებენ განათლებასა და განსწავლულობას და მაინათ, რომ აუცილებელი არ არის, ყველამ ისწავლოს – მუშის საქმეც ვიღაცამ უნდა აკეთოს.

აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყანაში სწავლის საფასურს ერთბაშად არ იხდიან – აქ თითოეული ლექციისა და გამოცდის საფასურის გადახდა შეიძლება. სტუდენტებს გადასახდელი აქვთ აგრეთვე ბიბლიოთეკით სარგებლობისა და უამრავი სხვა – მაგალითად, საუწყებო ფურცლების თანხაც. ლექციების საფასურს საათების მიხედვით ანგარიშობენ: მაგალითად, თუ ლექტორს გეგმაში აქვს 4 საათიანი ლექციის ჩატარება, სტუდენტს შეუძლია მხოლოდ ამის ნახევრის ფასი გადაიხადოს, დანარჩენ 2 საათს კი არ დაესწროს. ლექციებსაც განსხვავებული ფასები აქვს: რაც უფრო მაღალი სამეცნიერო ხარისხი აქვს ლექტორს, მით უფრო ძვირად ღირებულია მისი ლექცია. დოცენტების და პროფესორების შემოსავალი საკმაოდ მაღალია, ცხადია, ეს საქმიანობა საკმაოდ პრესტიჟულადაც ითვლება...

ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ ყველანაირი იმედი იმისა, რომ ადვოკატი სადმე წამოწყებოდა, საბოლოოდ გადაიწურა... მაგრამ მოულოდნელად სასწაული მოხდა.

ქალაქში სეირნობისას შემამცვივანა, იმ საღამოს თავს ნამდვილად ვერ ვგრძობდი კარგად. სასტუმროში რომ დავბრუნდი, 39 გრადუსი მქონდა სიცხე, მოგვიანებით კი 40-მდეც ამაწია. ისეთი მოღუწეული ვიყავი, თვალებს ძლივს ვახელებდი... ადვოკატი ფოიეში რომ ვერ დამინახა, რაღაც შემატყო და ცოტა ხნის შემდეგ ნომერში

მომაკითხა. რომ დამინახა, რა მდგომარეობაშიც ვიყავი, აღელდა და ციბრუტივით დატრიალდა. სანამ საქმიანობას დაიწყებდა, მითხრა:

– შეგვიძლია „სასწრაფო“ გამოვიდასვით და საავადმყოფოში წავიყვანოთ, თუმცა ეს დიდი თანხა დაგიჯდება. არის მეორე ვარიანტი: მე შემიძლია მოვიარო და ორ დღეში ფეხზე დაგაყენო. აირჩიე – როგორც შენ იტყვი, ისე მოვიქცეთ.

მართალია, ცუდად ვიყავი და ძლივს ვაზროვნებდი, მაგრამ ოღონდ ადვოკატიდან იქნა ჩალი დამდგომოდა თავზე და კიდევ ათ დღეს გაუძლებდი ასეთ მდგომარეობას... სამი დღის შემდეგ ვერ ისევ მისუსტებული ვიყავი, მაგრამ უკვე ფეხზე დავდექი. ადვოკატი გადაამყვა, როგორც მშობელმა დედამ, ისე მომიარა. სამი დღის მანძილზე ერთხელაც არ წასულა უნივერსიტეტში. არ ვიცოდი, რითი გადაიმხდა მისთვის მაღლობა...

ამასობაში ჩემი გამგზავრების დროც დადგა. ბოლო საღამოს ადვოკატიმ შინ დამპატიჟა. თავისი ოჯახის წევრები გამაცნო, ბოლოს კი ახალგაზრდა კაცი წარმომიდგინა.

– გაიცანი, აკაკი, ეს ჰანსია – ჩემი საქმრო. ერთ თვეში ჯვარი უნდა დავიწვიროთ...

– ძალიან სასიამოვნოა, თქვენ ანგელოზი საცოლე გყავთ... – ვუთხარი მე და ხელი ჩამოვართვი.

– ვიცი... ადვოკატი ავსტრიის ბრილიანტი... – ეს მითხრა და შამპანურის ჭიქა მომიჭახუნა...

1996 წელი

ქალაქის დასათვალისწინებლად ავტომობილი სულ არ დაგჭირდებათ: სამოგადოებრივი გრანსპორტით სარგებლობა უფრო მოხერხებულიც არის და იაფიც...



28 წლის ელისონ ისტვუდის ანგარიშზე ჯერჯერობით მხოლოდ ერთი დიდი როლია ფილმში „შუალამე სიკეთის და ბოროტების ბალში“, რომლის რეჟისორიც, როგორც ალბათ უკვე მიხვდით, მამამისი — კლინტ ისტვუდი იყო. ამის შეტყობისთანავე კრიტიკოსები ჯერ კიდევ ფილმის ეკრანზე გამოსვლამდე წინასწარ ტყუბოდნენ იმაზე ფიქრით, თუ როგორ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კლინტ ისტვუდი, რომელმაც ოჯახური ურთიერთობის კინოში გადატანა მოინდომა. მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. დებიუტანტმა მსახიობმა ცნობილ ვარსკვლავებსაც კი აჯობა თამაშით, თუმცა მის პარტნიორებს შორის, ცნობილი მსახიობი, ოსკაროსანი კევინ სპეისი კი გახლდათ.




ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ ელისონმა მამასთან ერთად ყოფნის ძვირფასი შესაძლებლობა მიიღო.

გოგონას მშობლები ერთმანეთს მაშინ დაშორდნენ, როცა ელისონი მხოლოდ 5 წლის იყო. დედამისმა, მოდელმა, მეგი ჯონსონმა ისტვუდის გულში თავისი ადგილი მსახიობ სონდრა ლოკს დაუთმო. „რა თქმა უნდა, სონდრა ძალიან კეთილი იყო ჩემ მიმართ, როცა მამის სახლში სტუმრად მივდიოდი“, — იხსენებს ელისონი. და მაინც, გოგონა ოცნებობდა, რომ მამასთან ერთად მეტი დრო გაეტარებინა, ამიტომაც ყოველთვის აღტაცებით ხვდებოდა კლინტის წინადადებას, რომელიმე ფილმის გადაღებაზე გაჰყოლოდა ხოლმე.

გოგონა ადვილად ეჩვეოდა ახალ პირობებს და გადასაღებ მოედანზე თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. მას ყველა პავილიონში თავისუფლად შესვლის უფლება ჰქონდა. ერთხელ ელისონი სრულიად არაბავშვური სცენის მოწმე გახდა: მან მამამისი საკმაოდ „მზურვალე“ სასიყვარულო ეპიზოდის გადაღებისას იხილა. გოგონამ შეკივლა და როცა მამამისმა მისი იქ ყოფნის ამბავი შეიტყო, გადაღება შეწყვიტეს. გაბრაზებულმა და აღშფოთებულმა კლინტმა ელისონს უთხრა, დაუყოვნებლივ წასულიყო შინ, მაგრამ გოგონა არ დაემორჩილა მამას და დეკორაციების უკან დამალულმა მაინც მოახერხა ეპიზოდის ბოლომდე ნახვა.

დრო შეუმჩნევლად გარბოდა. მომზიბლავი ბავშვი საოცრად ჭირვეულ მოზარდ გოგონად ჩამოყალიბდა. თავის მეგობარ უფროსკლასელებთან ერთად არაერთხელ მოუწყვია ხმაურიანი წვეულება. ერთ-ერთი ასეთი დროს ტარების დროს ახალგაზრდებმა იმდენად გამოიყვანეს მეზობლები წონასწორობიდან, რომ მათ პოლიციას უხმეს. ყველა სტუმარი და მათთან ერთად ელისონიც, პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს. მეორე დღით გოგონას დახსნა პირადად კლინტ ისტვუდს მოუწია.

ელისონ ისტვუდს მამის დილა მოსვენებას არ აძლავს



ცნობილი მამასთან — კლინტ ისტვუდთან ერთად

კლინტი ძალიან კმაყოფილი დარჩა. მას ეჭვი არასოდეს ეპარებოდა, რომ ელისონი ვარსკლავი გახდებოდა. ის, რომ გოგონას მსახიობობის ნიჭი ჰქონდა, მამამ ჯერ კიდევ ბავშვობაში შეამჩნია. 12 წლის ელისონი ფილმ TIGHT-ROPE-ში („დაჭიმულ ბაგირზე“) გადაიღეს. გოგონამ პოლიციელის

ქალიშვილის როლი შეასრულა, პოლიციელის როლში კი მამამისი მოგვევლინა. მომზიბლავმა გოგონამ მაყურებელთა გული მაშინვე დაიპყრო, მაგრამ ელისონი მსახიობობაზე არ ოცნებობდა. გადაღებები მისთვის საინტერესო თავგადასავალი და სკოლის გაცდენის შესანიშნავი მიზეზი გახდა.

აღსანიშნავია, რომ გოგონამ მალე დაძლია გარდამავალი ასაკის პრობლემები. მან გადაწყვიტა, მსახიობი გამხდარიყო და სამსახიობო ხელოვნების შესასწავლად ჯერ სანტა-ბარბარაში, ხოლო შემდეგ ლოს-ანჯელესში გაემგზავრა. სულ მალე მისი სასცენო დებიუტი შედგა. შემოსავლის მიღების მიზნით, ელისონი მოდების ჟურნალებისთვისაც იღებდა ფოტოსურათებს. მისი სახე ჟურნალებში: „ელი“, „ტატლერი“ და „გოგი“ გაჩნდა.

კინოში გადაღებას გოგონა არ აპირებდა, უახლოეს მომავალში მაინც. როლი ფილმში „შუაღამე სიკეთისა და ბოროტების ბაღში“ სრულიად შემთხვევით მიიღო. ერთხელ, როცა უიკენდზე მამასთან იყო სტუმრად, ყურადღება მიაქცია, როგორ გატაცებით კითხულობდა კლინტი სცენარს. მისი წაკითხვა ელისონმაც გადაწყვიტა, სიუჟეტმა ძალიან დააინტერესა. კლინტმა შეამჩნია, როგორ გაუნათდა სახე ქალიშვილს და ელისონის აგენტს სინჯებში მონაწილეობის მისაღები ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა. თბილი მამობრივი გრძნობის მიუხედავად, მან ელისონს საკმაოდ მკაცრი გამოცდა მოუწყო. სანამ როლზე დაამტკიცებდნენ, პრეტენდენტმა სამეტაპიანი სერიოზული შესარჩევი კონკურსი გაიარა... ამჟამად ელისონ ისტეუდი ერთ-ერთ ყველაზე იმედის მომცემ მსახიობად ითვლება.

ახლა საკუთარ მწარე მაგალითზე, ელისონი დარწმუნდა, რომ ცნობილ ადამიანთა ცხოვრება მხოლოდ სასიამოვნო მომენტებისგან არ შედგება. ის ორჯერ გახდა სკანდალური ჭორების მსხვერპლი. თავიდან ჟურნალისტებმა მას ბრედ პიტთან სასიყვარულო ურთიერთობა დააბრალებს: ყოველ დღით გახეთქების ფურცვლისას ელისონი თავისი და პიტის „რომანის“ ახალ, პიკანტურ დეტალებს გებულობდა. სულ ტყუილად ცდილობდა საბრალო ქალი ჭორების უარყოფას, ამტკიცებდა, რომ ბრედს საერთოდ არ იცნობდა – მისი მაინც არავის სჯეროდა... შემდეგ „ყვითელი“ პრესის ჟურნალისტებს



ეს ჭორი მობეზრდათ და ახალი მოიგონეს: ელისონს მისი პარტნიორის (ფილმში „შუაღამე სიკეთისა და ბოროტების ბაღში“) ჯონ კიუსაკის საყვარლობა მიაწერეს. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ჟურნალისტებმა ელისონის ნამდვილი შეყვარებულის ვინაობის დადგენა ვერ შეძლეს. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მის ისტეუდს რომანებისთვის ნაკლებად სცალია: წარმატებული დებიუტის შემდეგ, საკმაო სამუშაო აქვს კინოშიც და სამოდელო ბიზნესშიც. მსახიობი იმედოვნებს, რომ მომავალი როლები ნამდვილ კინოვარსკვლავად აქცევს და ის მოიშორებს „ვარსკვლავის ქალიშვილის“ სახელს, როგორც მას ჯერ კიდევ ხშირად უწოდებენ ჟურნალისტები...



დასაწყისი იხ. „გზა“ №22-23

გურამს მეუღლემაც უმალ აუბა მხარი:

– თამარ, შალვა, ნინიკო, ძვირფასებო! – გრძნობით წარმოთქვა, ეტყობოდა, რომ დელავდა, – დალოცვილები ყოფილიყავით! ჩვენი ოჯახების მომავალი მეგობრობის ნიშნად კი, აი, ეს საჩუქარი გვინდა ნინიკოს მივუძღვნათ...

რუსუდანმა მუხლებზე დადებული ხელჩანთიდან ყელსაბამი ამოაძვრინა, ფეხზე წამოდგა და მაგიდის კუთხესთან მდგარი, გაფითრებული ნინიკოსკენ გაემართა. თამარს ოქროს ბრწყინვალეობამ მოსჭრა თვალი, ვერ მოითმინა და წამოიძახა:

– უიმე, რატომ წუხდებოდით!

ნინომ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან და კედელს მიეყრდნო.

– რას ბრძანებთ, რუსუდან მასწავლებელო?.. – აკანკალებული ხელები სახეზე აიფარა, – რას ბრძანებთ?!..

– არ მიწყინო, შვილო, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ. ჩემი საუკეთესო მოსწავლე იყავი. ადრეც უნდა მომელოცა სტუდენტობა... სხვანაირად არ გამიგო... – რუსუდანი ნინოს ასეთ საქციელს არ მოელოდა და ცოტა არ იყოს, აირია.

– არა, რუსუდან მასწავლებელო, – მუდარით ამბობდა ნინო. – ეს ხომ სხვა რამეს ნიშნავს... ასეთ ძვირფას საჩუქარს ვერ მივიღებ... არ ქნათ ეს, რუსუდან მასწავლებელო...

იქვე მდგარმა თამარმა ვერ მოითმინა და ქალიშვილს მივარდა:

– როგორ შეიძლება, შვილო, როგორ შეიძლება, შენს გამზრდელ მასწავლებელს ამდენი ახვეწინო?! გამოართვი და მადლობა უთხარი!

– დაანებე გოგოს თავი... – შვილის წამებას ვედარ გაუძლო შალვამ და ისიც ფეხზე წამოდგა.



ნიკო აშკარელი

ბედისწერა

სტუმრები დიდხანს აღარ დარჩენილან.

მათ გასაცილებლად ეზოში გამოსულმა თამარმა რუსუდანს ხელკავი გამოსდო და ტკბილად ჩასჩურჩულა:

– მე დაველაპარაკები ნინოს. ჯერ კიდევ ბავშვია, არ ესმის, რას აკეთებს. ცოტა ხანში შეიცვლის აზრს...

– ღმერთმა გისმინოს, ჩემო თამარ! – ხელი ხელზე მოუჭირა რუსუდანმა, გვერდით მდგარ გურამს შეხედა თვალებში და უთხრა: – მასე იყოს და სამომავლოდ უკეთეს საჩუქარს გავუმზადებ...

იმ საღამოს შალვას ხმა აღარ ამოუღია, ჩუმად გასწია საძინებლისკენ. ნინოც ადრე დაწვა. თამარმა სამზარეულო მიაღაგა და გვიან ღამით მეუღლის საწოლთან ჩამოჯდა.

– შალვა, გძინავს?

– არა. რა გინდა?

– არაფერს იტყვი, კაცო? – ჩაეძია თამარი.

– ნეტა არ დამელია, კუჭი მტკივა, – ვითომ ვერ გაიგო, რა უნდოდა თამარს.

– რას იტყვიმეთქი, კაცო, მამა არა ხარ? – ვედარ მოითმინა თამარმა.

– ერთი, მაგათი პატრონი დედაც... – მოულოდნელად წამოიყვირა შალვამ.

– რა უხეირო რამა ხარ, რა უხეირო...

– დაწვი, დაიძინე – შეუღრინა კაცმა და გვერდი იცვალა.

– ნეტა შვილის ბედი მაინც გაწუხებდეს, ოღნავ მაინც გაწუხებდეს... ნეტა რამე გაწუხებდეს... – ოხვრით თქვა თამარმა.

– სხვისი ქონების ძარცვით ყვავიან, მაგათი... – განაგრძობდა ხმამაღლა ფიქრს შალვა. მე თავი დამანებე, შენ იცი და შენმა შვილმა, – მოსხიპა ბოლოს ერთიანად.

– ეეჰ! – ამოიხვნეშა თამარმა. ის ყოველთვის იმას ფიქრობდა, რომ შვილის ბედზე მხოლოდ მას უნდა ეზრუნა.

მონღოლეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მყუდრო რესტორანში ხმაურით შევიდნენ გახალისებული საბჭოთა ოფიცრები: გიგია ამირანაშვილი, იგორ სედოვი, ვალოდია ანდრუხინი და ანატოლი სიდორუკი. მათი მხიარულების მიზეზი მოსკოვის სამხედრო ინსპექციისათვის საგაზაფხულო შემოწმების წარმატებით ჩაბარება იყო.

– გიგი, დღეს შენი და იგორის დღეა! – მიმართა ამხანაგს ვალოდიამ და მაგიდას მიუჯდა.

– აბა, რა! მაგათი დღეა, – მხარი აუბა ანატოლიმ – მაგათი „ხუთიანები“ მიიღეს და სუფრაც მაგათ უნდა იკისრონ.

– ამათ უყურე ერთი! გიგი, მგონი გვიტყვენ, – გაიღიმა იგორმა.

– კარგი, ჯანდაბას მაგათი თავი: მე ვკისრულობ დღევანდელ ქეიფს, – მშვიდად მიუგო გიგიამ. მან ნინოს მოზრდილი, სიყვარულით გამთბარი წერილი იმ დღეს მი-

იღო და უფრო მეტად გულუხვი და ხელგაშლილიც იყო.

რესტორანში ჩვეულებრივზე მეტ ხალხს მოეყარა თავი. ყველა მაგიდა დაკავებული იყო.

– გოგონა, დღეს ჩვენ დღესასწაული გვაქვს... – დაიწყო მიმტანთან საუბარი გიგიაძე.

– ჩვენც ზეიმი გვაქვს, – უპასუხა მანაც კეკელუცაძე.

– რა დღესასწაული გაქვთ?

– ეს სახალხო ზეიმი – ძველი მთვარის დღესასწაული ჰქვია.

– ჩვენსას კი, უდაბნოში თეთრი მზის ამობრწყინება ჰქვია, – გაიხუმრა ვალოდიამ.

ოფიცრებმა შეკვეთა მისცეს და დარბაზის თვალიერებას შეუდგნენ. ამ რესტორნის ხშირი სტუმრები იყვნენ საბჭოელები, რადგან სხვა გასართობი ადგილი ქალაქში არც არსებობდა.

გახალისებული მონღოლების სიმღერებს ნელ-ნელა შეეჩვია მეომრების ყური და მათ წამომახილებს ყურადღებას აღარ აქცევდნენ.

შემოტყევილ ჯინსში გამოწყობილი ორი მონღოლი გოგონა რესტორანში შემოსვლისთანავე, უკან გაბრუნებას აპირებდა, როცა ისინი იგორმა შენიშნა და სუფრასთან მიიპატიჟა. ირინა და ნატაშა ირკუტსკის პედაგოგიური ინსტიტუტის მეოთხეკურსელი სტუდენტები აღმოჩნდნენ და რუსულად გამართულად საუბრობდნენ.

– ახლა არდადეგები გვაქვს და ამიტომაც ჩამოვედით ჩვენს ქალაქში, – მალე აეშალა ირინას ლაპარაკის საღერღელი.

რესტორანში დროდადრო მუსიკა უკრავდა და ამ დროს მთელი დარბაზი ზრიალებდა. სტუმრები ხმამაღლა, ლამის ყვირილით ლაპარაკობდნენ და ხშირად ხელებსაც იშველიებდნენ. ალკოჰოლმა გაჭრა და საღამო ხანს ყველანი მხიარულ გუნებაზე დადგნენ.

ბიჭების მაგიდასთან ზორბა მონღოლი მივიდა. ვალოდიას, ნატაშას მხარზე გადადებული ხელი ჩამოადებინა და გოგონას მკაცრი ტონით რაღაც უთხრა მონღოლურად. გოგონა გაფითრდა.

– ეე, ვინა ხარ, რა გინდა? – წამოდგომა დააპირა ვალოდიამ.

– მოიცა! – მხარზე ხელი დაადო ანატოლიმ, – თვითონ გაარკვიონ.

გოგონამ დაბნეული მზერა მოავლო ოფიცრებს.

– რა უნდა ამ ამხანაგს? – ჰკითხა იგორმა ირინას.

– ის ამბობს, რომ ჩვენ უნდა წავიდეთ აქედან, – გაბზარული ხმით წარმოთქვა გოგომ. – ჩვენ თქვენთან ერთად არ უნდა ვისხედეთ...

– ვითომ რატომ? – გაიკვირვა იგორმა.

– მოიცათ! მე გავარკვევ! – წამოდგა გიგია. ორი ჭიქა არყით შეავსო და ერთი მონღოლს გაუწოდა.

– ჩვენ მშვიდობიანი ხალხი ვართ. მოდი, მონღოლი და საბჭოთა ხალხების სადღეგრძლო დავლით! – გაუდიმა მონღოლს გიგია და ირინას სთხოვა, ეთარგმნა.

კაცს ჭიქისთვის ხელი არ დაუკარებია, ჯიქურ მიაშტერდა გიგიას და კბილებში რაღაც გამოსცრა.

– შენ ეტყობა, ჩემი გაიგე, მე კი არ მესმის შენი – გაწვდილ ხელში ისევ ჭიქა ეჭირა გიგიას. – აბა, ახლა მისი ნათქვამი მითარგმნე, – ისევ აკანკალებულ ირინას მიმართა.

– ბიჭებო, ასე ამბობს... ოკუპანტებო, წაეთრიეთ აქედანო!..

ვალოდიას ყბა ჩამოუვარდა, ანატოლიმ ჩასტვინა, იგორმა კი, თმაში შეიცურა ხელი და კეფა მოიქეჭა.

გიგია თვალეში უყურებდა მონღოლს და ცდილობდა, გაეღიმა. არყიანი ჭიქა ისევ გაწვდილ ხელში ეკავა.

– დამაცადეთ, გავიგოთ რას გვერჩის! – უთხრა მეგობრებს და ისევ მონღოლს მიუბრუნდა: – ჩვენ ოკუპანტები არა ვართ, მეგობარო. ჩვენ ჩვეულებრივი ბიჭები ვართ. დღესასწაული გვაქვს და აქ მოვედით. შენ რას გიშლით?

– დღესასწაული ჩვენ გვაქვს. თქვენ კი მოშორდით ამ გოგონებს და აქედანაც გაეთრიეთ! – ახლა

უკვე გამართული რუსულით შეუდრინა მონღოლმა, ჭიქაზე ხელი აუკრა და სასმელი დაადგრევინა.

გიგიას ჟრუანტელმა დაუარა, – როგორც სჩვეოდა, როცა იძულებული იყო, ძალა ეხმარა... ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა.

– ეეჰ, ძმაო, შენ ცუდად იქცევი. ჩვენი ხალხების სადღეგრძელოს კი მე მაინც შევსვამ... – სავსე ჭიქა უცებ გამოცალა და მრისხანედ უთხრა: – ახლა წადი შენი გზით და თავი დაგვანებე.

გაჯიუტებულმა მონღოლმა სამი თითის კომბინაცია ცხვირთან მიუტანა გიგიას და დამცინავი მზერით გადახედა გოგონებს.

– არ მეშვება, მე ამის დედა... – ქართული ლაზათიანი გინება აღარ დაინანა გიგიაძე. დოინჯი შემოიყარა, ზიზლით დახედა ცხვირწინ მოტანილ ხელს. მერე უცებ მარცხენა ხელით გასწია მონღოლის მკვლავი და ძალუმად დაჰკრა მარჯვენა ბრტყელ სახეში. კაცი მეზობელ მაგიდას მიეჯახა, გადააბრუნა და თვითონაც ზედ დაეცა.

უცებ გაჩნდა მათთან თხუტმეტიოდე მონღოლი, ალყაში მოაქციეს ოფიცრები და ერთიანად გადავიდნენ შეტევაზე. ბიჭებმა წრე შეკრეს. დარბაზში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ბრგე საბჭოთა ოფიცრები ტანმორჩილ მეტოქეებს ადვილად უმკლავდებოდნენ და მალე მიფანტ-მოფანტეს კიდეც. თუმცა, მონღოლები დანებებას არ აპირებდნენ და შიგადაშიგ ჭურჭელსაც იყენებდნენ საბრძოლო იარაღად.

– გიგი, ფრთხილად! – შეჰყვირა ვალოდიამ.

შემობრუნებულმა გიგიამ თვალი მოჰკრა დანით შეიარაღებულ მონღოლს, რომელმაც მაინც მოასწრო იარაღის მოქნევა და მკლავში დაჭრა იგი. გიგიამ დაინანი ხელი დაუჭირა, სოფელში ნასწავლი საჭიდაო ილეით ჩაუტარა და იატაკზე მოადენინა ზღართანი.

უეცრად დარბაზში, წესრიგის დამცველებთან ერთად, საბჭოთა სამხედრო პატრული – მაიორი ხუთი ჯარისკაცის თანხლებით,

შემოვარდა.

– არ გაინძრეთ! – დაიყვირა მაიორმა – კომენდატურა!

– მგონი „დაგვერხა“... – ჩაილაპარაკა ვალოდიამ, საჩხუბრად მომუშტული ხელები დაუშვა და მაგიდისკენ გაემართა.

– საით? – გადაუდგა პატრული.

– ჩვენი საქმე წასულია, არაყში კი ფული უკვე გადახდილია – რატომ უნდა დავკარგოთ?! – მხრები აჩჩინა, მოზრდილ ჭიქაში ჩამოსხმული სასმელი სულ-მოუთქმელად გადაჰკრა და ლუდიც დააყოლა.

ყველას საპატრულო მანქანის ძარაში უკრეს თავი, კომენდატურაში მიიყვანეს და მეორე დღესვე, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, მონღოლეთიდან გააძევეს. ვალოდია და ანატოლი სხვადასხვა გზას გაუყენეს. გიგიასა და იგორს სამივლინებო ბარათში კი, ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განლაგებული ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ნომერი ჩაუწერეს, სადაც შვიდ დღეში უნდა გამოცხადებულიყვნენ.

იგორი გამოჰყვა თბილისში გიგიას. ავღანეთში გაფრენამდე ერთი დღე-ღამე ჰქონდათ თავისუფალი და გიგია მონინიკოს მონახულება გადაწყვიტა.

სუფრას ნინოს ბიძაშვილი, ვაჟა თამადაობდა. მის გვერდით მჯდარი იგორი გიტარას აჟღერებდა და გაუგებარ მელოდიას ღიღინებდა. გიგია და ნინიკო კი ერთმანეთს არ ამორებდნენ თვალს და ხელიხელჩაკიდებულები ისხდნენ მაგიდასთან.

– აი, ასეთი რამ შეგვემთხვა – თავი ჩაღუნა გიგია, – ამიტომაც გამოგვიშვეს მონღოლეთიდან.

– რაღა მაინცდამაინც ავღანეთში გაგამწესეს? – იკითხა ვაჟამ.

– ჩვენ თვითონ ავირჩიეთ, – ამაყად მიუგო თავაწეულმა გიგია და იგორს გადაუთარგმნა თავისი ნათქვამი.

– კი, კი, ასე იყო – დაუმოწმა მანაც, – ავღანეთში სულ ორი კაცი უნდა გაეგზავნათ და ჩვენ

ვითხოვეთ იქ წასვლა.

– მერე? – იკითხა ნინიკომ.

– რა მერე? – კითხვა შეაგება გიგია.

– იმ საშინელ ომში რა გინდა?! –

– დიდი არაფერი! ჩვენ სამხედროები ვართ – გვიბრძანებენ და წავალთ. „არის!“ – მორჩა და გათავდა. თანაც, მონღოლეთში ანგელოზებივით არ მოვქცეულვართ. ჰოდა, დავაშავეთ და უნდა გამოვასწოროთ.

– ავღანეთის ომი რა შენი საქმეა, გიგია?

– ჩემი საქმეა, ნინო. მე ჩემი ქვეყნის ოფიცერი ვარ და ოფიცერმა ომში წასვლაზე უარი არ უნდა თქვას. მე არა – სხვა წაიყვანეთმეთქი, ხომ ვერ ვიტყვი. სხვაგვარად ვერასოდეს მივალწევ წარმატებას და არც ჩვენ გვეშველება რამე.

– შენ ჩემი არ გესმის, – ხმა გაეზარა ნინოს, წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

გიგია იგორსა და ვაჟას ბოდიში მოუხადა და მას გაჰყვა.

– ძალიან საშიშია? – ჰკითხა ვაჟამ იგორს.

– ეჰ, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს! ავღანეთია? – ავღანეთი იყო! – ააჟღარუნა გიტარის სიმები იგორმა. – ჩვენი საქმე ბრძანების შესრულებაა.

– მე შენი საქმე არ ვიცი, – სიგარეტს მოუკიდა ვაჟამ. – მე გიგიაზე გეტყვი. ეგ... ბავშვობიდანვე ეგეთი ბრიყვი იყო, იდეებითა და ოცნებებით ჰქონდა თავი გამოტენილი. ყველგან და ყველაფერში პირველი ეჩრებოდა და აუტკივარ თავს იტკივებდა, ამიტომაც ხვდებოდა მას ყველაზე მეტი... დედის ძმა ჰყავს აქ, ჩვენთან, კომისარიატში. დიდი კაცია. ეუბნებოდა – თუ მაინცდამაინც სამხედრო მოსამსახურის ცხოვრება გიტაცებს, ჩემთან დაგტოვებ, მოგხედავო. შეეძლო მასთან დარჩენა. იქნებოდა ქერის ორმოში. ორიოდ კაპიკს იშოვიდა, შექმნიდა ოჯახს და იცხოვრებდა წყნარად. მის ბედს ძალიან არ დაჰყვებოდა... – ღრმა ნაფაზი დაარტყა ვაჟამ, – არა – რომანტიკა იზ-

იდავდა!..

იგორმა წარბებს ქვემოდან გამოხედა ვაჟას.

– ეს რომანტიკა არ არის, ძმობილო, – ელემენტარული წესიერებაა: როცა სხვები ომობენ, შენ ვილაციის კალთას არ უნდა ამოეფარო.

– შენი ლოგიკით, ყველამ უნდა იომოს, თანაც მუდმივად...

– მოდი დავლიოთ და დავწვეთ, – შეცვალა საუბრის თემა იგორმა, – ხვალ აღრიანად უნდა ვიყოთ აეროპორტში.

სამზარეულოში ნინო თეფშებს რეცხავდა. გიგია გამშრალეაში ეხმარებოდა.

– მორჩა, ახლა თავისუფალი ხარ... – გაუღიმა გოგომ.

– წავედი.

– მოიცა ცოტა ხანს, – ნინომ მაგნიტოფონი ჩართო და სასურველი მელოდია მოძებნა:

– გახსოვს ეს მუსიკა?

– კი, ჩემი გაცილების დღეს უკრავდი...

– გიგი.

– ჰო, – ხმადაბლა უპასუხა ვაჟამ.

– რა ვქნათ?

– ვიცეკვოთ! – მიუახლოვდა ნინიკოს და ხელები შემოჰხვია. – როგორც მაშინ.

– არ მინდა ცეკვა, – თავი მკერდზე მიადო: – ასე მინდა.

– მიყვარხარ.

– მეც.

– ძალიან, ძალიან მომენატრე, – კისერში აკოცა გოგოს.

– მეშინია.

– ნუ გეშინია.

– გიგი, მოდი ჯვარი დავიწეროთ.

– გაგიჟდი?! – შეიცხადა ვაჟამ. – რამე რომ მოხდეს, მერე?

– სწორედ მაგიტომ. მირჩევნია, შენი ქვრივი ვიყო, ვიდრე სხვისი ცოლი.

– ნინო, ორი წელიც მოვიცადოთ – ჩამოვალ და მერეც ხომ აღარ იქნება ომი.

– გული ცუდს მიგრძნობს. მე მეტი აღარ შემიძლია. აღარც უშენობა შემიძლია.

გიგია ღია ფანჯარაში იყურე-

ბოდა. თბილისში თენდებოდა.

იგორი და გიგია ნინომ გააცი-
ლა აეროპორტში.

ავტანეთი 1984 წელი


მაღალმთიან ყიშლაყში ავლა-
ნელები იყვნენ გამაგრებულები და
უკან დახევას არ აპირებდნენ. თუმ-
ცა, საბჭოთა ჯარის მედგარმა შეტ-
ევამ და რიცხობრივმა უპირატესო-
ბამ მათი მდგომარეობა მალე
გააუარესა და ისინიც იძულებულნი
გახდნენ, უკან დაეხიათ.

გიგია და იგორი მტერს გამო-

ოიკიდა, ავტომატიც აიღო და
იქაურობას სწრაფად გაშორდა.

ეს ისე უცებ მოხდა, რომ სა-
მაღავეიდან გამოსული ბიჭები
გაკვირვებულები გაჰყურებდნენ
ბორცვს.

– შემოვუაროთ გორაკს, იქ
იქნებიან, – თქვა იგორმა და ორივე



ედევნენ. დუშმანები ალიზის
კედლებსა და ნასახლარებს ეფარე-
ბოდნენ და შიგადაშიგ ავტომატის
ჯერით პასუხობდნენ საბჭოთა
მეომრებს. გაქცეული ავლანე-
ლებიდან, ორი დუშმანი გამოარ-
ჩია გიგია და მათ დაედევნა. მას
არც იგორი ჩამორჩა. მოხერხე-
ბულად მოქმედებდნენ და მოწი-
ნააღმდეგებს ამოსუნთქვის საშუ-
ალებას არ აძლევდნენ.

მალე ნასოფლარს გასცდნენ და
ხეხილის ბაღში გადავიდნენ. დუშ-
მანები სადაცაა ბორცვს ამოეფარე-
ბოდნენ. გიგია ერთ-ერთი მათ-
განი მიზანში ამოიღო და ესრო-
ლა. ის მოცელილივით დაეცა. მე-
ორე, განწირული მხეცივით ღრი-
ალით მივარდა მას და ბიჭებს
ღიად, პირდაპირ დაუშინა ტყვიე-
ბი. იგორმა და გიგია სამალავე-
ბი მოძებნეს, ავლანელი კი დაჭრილ
მეგობარს მივარდა, მხარზე წამ-

მოკლე გადარბენებით შეუყვა
ფერდობს.

გიგია ავტომატის ლულით
ფრთხილად გადასწია ტოტი და
წყლის პირას მუხლებზე დაჩო-
ქილი ავლანელი შენიშნა. ფეხ-
აკრეფით მიუახლოვდა. ოციოდე
მეტრში შეჩერდა. დაჭრილ მეო-
მარს ზემოდან დამხობილი ავლანე-
ლი ხელოვნურ სუნთქვას უტარებ-
და. დროდადრო მკერდზე ყურს
აღებდა. ნაჭერს ასველებდა წყ-
ალში და სახეზე უსვამდა. ჩქარა,
ენერგიულად მუშაობდა დუშმანი,
ყურადღება მოდუნებული ჰქონდა.
მდევარზე იქნებ აღარც კი
ფიქრობდა.

გიგია იგორს დაელოდა. მალე
ისიც გამოჩნდა. გიგია ხელით
ანიშნა – ფრთხილად იყავი, აქ
არისო.

– რას უკეთებს?.. ეტყობა,
კვდება.

– ყურადღებით იყავი – უთხრა
გიგია, სამალავეიდან გამოძვრა და
ჩუმად გაემართა ავლანელისკენ.

ხუთი-ექვსი მეტრიდა იქნებო-
და დარჩენილი, რამდენიმე ნახტ-
ომით თავზე რომ წაადგა და ავ-
ტომატი მიუშვირა.

– დუშმან! – შეუძახა მრისხ-
ანე, მაგრამ დაბალი ხმით.

ავლანელი მკვირცხლად მოტ-
რიალდა. ჯერ გიგია დაინახა, მერე
იგორი. გიგიას ავტომატის ლულა
პირდაპირ მისი შუბლისკენ იყო
მიმართული. დუშმანი გაოცებუ-
ლი თვალებით შეჰყურებდა ბი-
ჭებს. მერე, უცებ, დაჭრილზე
მიუთითა.

– ძმა, ჩემი ძმა, გაიგე? –
თქვა ავლანურად.

გიგია ავტომატი დაუშვა.

ავლანელი 25-ოდე წლის კაცი
იქნებოდა, მისი ძმა კი. ასე, 18-19
წლის, მკერდი სისხლში ამოსვრო-
და, გრძნობაზე არ იყო.

– ძმა, ჩემი ძმა! – კიდევ ერთხ-
ელ გაიმეორა ავლანელმა.

გიგია მის თვალებში შიში,
უახლოესი ადამიანის დაკარგვის
შიში ამოიკითხა.

– იგორ! – დაუძახა გიგია
ისე, რომ დუშმანისთვის მზერა არ
მოუშორებია.

– ჰო? – დაუდგა გვერდით
იგორი.

– მივდივართ.


– წავიდეთ, – დაეთანხმა იგ-
ორი, – მოიცა! – შეაჩერა მოუ-
ლოდნელად: აფთიაქი ამოიღო და
ავლანელს წინ დაუგლო. გიგია მაც
იგივე გაიმეორა.

თანამებრძოლები ისე გავიდნენ
სამშვიდობოს, რომ ერთმანეთ-
ისთვის ხმაც არ გაუციათ. ჯავ-
შანტრანსპორტიორში ჩაჯდომამ-
დე კი მაგრად ჩამოართვეს ერთ-
მანეთს ხელი და თვალიც
ჩაუკრეს.

ნაწილში დაბრუნებულმა გი-
გია მეთაურის კითხვას – რა
ქნით, ვერ დაეწიეთ? – სინანუ-
ლით უპასუხა:

– მაგათ რას დაეწიევი – ყვე-
ლა ბუჩქი ზეპირად იცინა.

გაგრძელება იქნება



Porsche

გამოცანებს გვთავაზობს

ამ ფირმის რამდენიმე ახალი მოდელი „გზის“ წინა ნომერში გაგაცნობთ. აბჯერად კომპანიის რამდენიმე საინტერესო ჩანაფიქრის შესახებ მოგიხსნობთ.

PORSCHE იმ ფირმაა როგორც განეკუთვნება, რომლისთვისაც მთავარი, საავტომობილო ბაზრის მისთვის ტრადიციული – ძვირფასი და პრესტიჟული სპორტული ავტომობილების – სექტორის შენარჩუნებაა. საავტომობილო სამყაროში ბოლო დროს გაბატონებულმა ტენდენციამ, რომლის შესაბამისად, ცნობილი მარკები სრულიად განსხვავებულ ნიშნებს აწვდიან მომხმარებლებს, ამ კომპანიის გეგმებშიც პოვა ასახვა. სწორედ ამით აიხსნება „პორშეს“ „ყველგანმავლის“ დაპროექტება, რომელშიც საოჯახო ავტომობილის ტეკალობა და კომფორტულობა, „თავხელურ“ ელემენტურობასა და ნამდვილი სპორტული „პორშესთვის“ დამახასიათებელ, ძლიერ ტექნიკურ პარამეტრებთან იქნება შერწყმული. თუმცა, როგორც საინჟინერო წყაროები იუწყებიან, ფირმის გეგმებს ბევრი გაურკვეველობაც ახლავს.

„პორშეს“ შეფი ვენდელინ ვიდეკინგი მუდამ უკმაყოფილო ხელმძღვანელთა ტიპური ნიშნულია: დიდი მიღწევების დროსაც კი პოულობს შეშფოთების მიზეზს. „თუმცა ჩვენი საქმიანობა კარგად მიდის, ამით დამაყოფილება არაფრით არ შეიძლება“, – როგორც ამბობენ, სწორედ ამგვარად გამოხატავს ვიდეკინგი სიზარულს. კონკრეტულად, დასახელებულ პროექტთან დაკავშირებით კი, აი რას ამბობს: „ლაიფციგში მდებარე ჩვენი ქარხანა სრული დატვირთვით რომ ამუშავდეს და ჩვენი „ყველგანმავლები“ კარგადაც რომ გაიყიდოს, ეს მაინც ძალიან ცოტაა, ამიტომ რაღაც ახალი უნდა მოვიფიქროთ. შეიძლება, მეოთხე სამოდელი რიგზეც დაგფიქრდეთ...“

„პორშე“, ისევე, როგორც წინათ, ავტო-

ინდუსტრიის გიგანტს არ წარმოადგენს: კომპანია თავის მოდელს მცირე პარტიებით აწარმოებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ოთხიოდე მცირე სერიის ავტომობილების ჯამური წლიური პროდუქციის რაოდენობა ექვნიშნა ციფრებს აღწევს ხოლმე. ახლანდელი, როგორც კომპანიაში ამბობენ – საშუალოდ ამოცანის თანახმად, 911-ე მოდელის წარმოებამ წელიწადში 20 ათასს უნდა მიაღწიოს, რადგან მასზე დიდი მოთხოვნილებაა, BOXSTER-ი (მასზე მოთხოვნილება თანდათან მცირდება) 25 ათასამდე შემცირდება. „ყველგანმავლების“ ტირაჟი კი (რომელთა გასაღების დონე ჯერჯერობით გაურკვეველია) 20-დან 25 ათასამდეა განსაზღვრული.

2002 წლისათვის „პორშეს“ ჯამურად 70 ათასი ავტომობილის გასაღება აქვს დაგეგმილი. ეს ფირმის ისტორიაში ეპოქალური მოვლენა იქნება, თუმცა მის საბოლოო მიზანს ნამდვილად არ წარმოადგენს. კომპანიის სტრატეგები უკვე განვითარების რამდენიმე მიმართულებასა და კონკრეტულ პროექტზეც ფიქრობენ, რომელ-

საც „პორშეს“ ხელმძღვანელობა ა.წ. დამლევისთვის განიხილავს.

აი, ეს მიმართულებები:

– ექსკლუზიური ავტომობილი, V8 ძრავის ცენტრალური ადგილმდებარეობით;

– მეხუთე თაობის „ფოლკსვაგენ გოლფის“ ბაზაზე შექმნილი ავტომობილი VOLKSWAGEN-PORSCHE;

– „ყველგანმავლის“ რამდენიმე ვერსია (მათ შორის – დაგრძელებული ბაზით, აგრეთვე ოთხადგილიანი პიკაპი);

– PORSCHE CAYENNE-ის ბაზაზე შექმნილი მინი-ვენგი;

– V8 ძრავით აღჭურვილი სრულადმრავანი ჩქაროსნული უნივერსალი.

დასახელებულთაგან განხორციელების ყველაზე ნაკლები შანსი მინი-ვენსა და პიკაპს აქვს – „პორშე“ ხომ მაინც, უპირველესად სპორტული ავტომობილების კომპანიაა და არა საოჯახო მანქანების. რაც შეეხება სხვა იდეებს, ისინი საკვებით რეალურია. თვით საწარმოში ყველაზე მეტად ხუთკარიანი ჩქაროსნული ჰენკეის ვერსია მოსწონთ, რომელიც, კონსტრუქტორთა ჩანაფიქრით, უპირველესად სპორტული უნდა იყოს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მოსახერხებელ საოჯახო უნივერსალად შეიძლება გადაკეთდეს. ამ მანქანაში „ყველგანმავლის“ საბორბლე საკიდრებსა და ამძრავს გამოიყენებენ, მარა კი 911-ე მოდელის მსგავსი ექნება. თავისი ზომებით ეს ავტომობილი AUDI S6 ARANT-ისა და MERCEDES E55 AMGT-ის ტოლი იქნება.

სპორტულ უნივერსალს, 4,5 ლ., 340 ან 450 ცხ. ძალიანი ძრავით აღჭურვავენ. „ყველგანმავალთან“ შედარებით, ასეთი მანქანა უფრო სწრაფი და, ამავე დროს, გაცილებით ეკონომიური იქნება.

კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც თვით კომპანიაში გამორჩეულად მოსწონთ – სუპერ-სპორტული კუპეა. ასეთ ავტომო-



ბილს მთლად ახალს ვერ უწოდებ — ეს უკვე არსებული მოდელების განვითარება და დახვეწა უფროა. ახალი სპორტული მანქანის საბაზო მოდელად მომდევნო თაობის BOXSTER-ი მოგვევლინება.

„პორშეში“ აქტიურად განიხილავენ აგრეთვე ე.წ. „ხალხური“ მანქანის დაპროექტებას, რომელსაც „ფოლკსვაგენ გოლფი“ დაედება საფუძვლად. ამ მოდელზე ჯერჯერობით კომპანიაში ბევრს არაფერს ლაპარაკობენ, თუმცა მას შეიძლება კარგი საბაზრო პერსპექტივა ჰქონდეს. თუმცა, ფრთხილი ვიდეკინგი ამ პროექტს დიდი ეჭვის თვალით უყურებს — მიუხედავად იმისა, რომ აქ საუბარია უძლიერეს კონცერნთან — „ფოლკსვაგენთან“ კოოპერირებით ავტომობილის შექმნაზე. „პატარა მანქანა ყოველთვის რისკიანი საქმეა: ყველაფერი კარგად უნდა გაითვალოს, ყველა წვრილმანი უნდა შემოწმდეს. ცხადია, ყველა შესაძლო ვარიანტს შევისწავლით და საბოლოოდ მაშინ გადავწყვეტ ამ საკითხს“, — დასძინა ვიდეკინგმა.

გამორიცხული არ არის, რომ „პორშეს“ შესვეურებს ამ საკითხში სიცხადე კონკურენტების გამო არ შეაქვთ: ჯერ ბაზარზე შექმნილ სიტუაციაში უნდათ კარგად გაერკვნენ. ყოველ შემთხვევაში, თვით „ხალხური“ მანქანის განხილვის საკითხი ძალიან ადრეულ სტადიაშია. როგორც აღინიშნა, ის „ფოლკსვაგენის გოლფის“ ბაზაზე შეიქმნება, თუმცა წინა ამბრავის ნაცვლად, როგორც ეს სპორტულ მოდელშია, სხვადასხვაგვარი სრულამბრავიანი ვარიანტი მუშავდება, ძრავა კი, ავტომობილს წინ კი არა — საბაზო ნაწილში ექნება.

კონსტრუქტორები „ფოლკსვაგენ-პორშეს“ საკარაულო ნახაზებს ქმნიან, რომელსაც როდსტერისა თუ ჰენკეის იერი აქვს. მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ძრავას კი არა — მანქანების რაოდენობას აქვს, რომელიც ბაზარზე გაიყიდება: „პორშესთვის“ ამ მოდელის შექმნას აზრი არ ექნება, თუ რეალიზაციის მოცულობამ წელიწადში 50 ათასს ვერ მიაღწია. მენეჯერთა გამოთვლებით, „ხალხური“ „პორშეს“ ფასმა 30 ათას დოლარს არ უნდა გადააჭარბოს. კომპანიის ხელმძღვანელობა იმაზე იმტვრევს თავს, რაც ნებისმიერ მსხვილ ავტომწარმოებელს ალელვებს: ვინ იყიდის ამ მანქანებს, თუ საავტომობილო ბაზარზე მოულოდნელად უძრაობა გააბატონდა? შეძლებენ თუ არა საფირმო ცენტრები ყოველწლიურად 130 ათასი მანქანის რეალიზაციას? როგორ იმოქმედებს იაფფასიანი „პორშე“ მარკის იმიჯზე? ყველა ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არავის აქვს...



სკუტერი

ანუ ძხავიანი ტაბუხეტი

მართალია, საქართველოში ორთვლიან გადაადგილების საშუალებას ნაკლებად წყალობენ, მაგრამ ტექნიკური აზროვნების ეს ქმნილება — მოტოროლერი, რომელსაც კიდეც, „სკუტერს“ უწოდებენ, ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. მით უმეტეს — საზაფხულო სეზონის დადგომისას და მოსალოდნელი სიცხის კვალობაზე, როცა ოქროს ფასი ედება ღია და მსუბუქ ტრანსპორტს.

სკუტერის კიდევ ერთი უპირატესობა, ავტომობილთან შედარებით, იმაში მდგომარეობს, რომ 14 წლის მოზარდსაც შეუძლია მიუჯდეს მის საჭეს. მოტოციკლეტისგან განსხვავებით, ძრავა მის უკანა ნაწილშია გადაწყვეული, მძღოლს ფეხის დასადები სწორი ძირი აქვს, ძრავა კი მაქსიმალურად გამარტივებულია: მოტოროლერი აქსელერატორითა და ორი მუხრუჭით არის აღჭურვილი. მისი სიმაღლე და ფორმა მძღოლს საშუალებას აძლევს, კონსტიუმითაც კი მიუჯდეს საჭეს. მაგრამ სკუტერის ღირსებათა ნუსხა ამით არ ამოიწურება: ის 100 კმ-ზე სულ 4 ლიტრ საწვავს ხარჯავს და, რაც მთავარია, 50 სმ მოცულობის ძრავა

ათავისუფლებს მის მფლობელს საგზაო პოლიციაში რეგისტრირებისაგან. მოტოროლერით სამომრად კი ავტოტრანსპორტის მართვის უფლებაც არ არის საჭირო.

მოტოციკლეტთან შედარებით, მოტოროლერის მართვა საკმაოდ ადვილია. თუმცა, არც უსაფრთხოა, რადგან მეტისმეტად მსუბუქი და არამდგრადია, ამიტომ მანევრირების დროს ადვილად შეიძლება ამოყირავდეს.

სკუტერი ბევრი ნაირსახეობისა არსებობს, ერთი, მეორისაგან დიზაინით, წონით, ძრავის მოცულობითა და კომპლექტაციით განსხვავდება. მათ შორის



ყველაზე გავრცელებულია სტანდარტული სკუტერი, რომელიც მარტივი დიზაინისაა და 70-80 კგ-ს იწონის. არსებობს ე.წ. ბიზნესკლასის სკუტერები (მათ კიდევ „კრუიზერებს“ უწოდებენ), რომელიც სოლიდური ბიძებისთვის არის გათვალისწინებული, მზრდელი ბაზითა და ორმაგი სკამით გამოირჩევა. მათი წონა 100-150 კგ-ს აღწევს. ე.წ. სატივოთო მოტოროლერებს პატარა საბარგულიც აქვს – ისინი მაღაზიებში სასიარულოდ გამოიყენება. მათთვის კი, ვისაც მოდური საგნები უყვართ, რეტროს სტილის (60-იანი წლების დიზაინით) სკუტერებს უშვებენ. ამ კლასის მოტოროლერები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს იტალიაში. სკუტერებს შორის „ყველგანმავლებიც“ არსებობს, რომელიც ფართო და სქელი ბორბალ-საბურავებითაა აღჭურვილი: ასეთი მოტოროლერებით მთავორიან ადგილებზეც ადვილად ივლით, თუმცა ქალაქში სიარული მოსახერხებელი არ არის. საქალაქო სკუტერი უფრო მსუბუქი, ვიწრობორბლიანი, უფრო „აგრესიული“ და მოქნილი უნდა იყოს. ამ სპორტული ტიპის მოტოროლერებით აწყობენ ხოლმე მოტობოლებსაც,

რომელიც ავტორალისგან იმით გამოირჩევა, რომ მასში მონაწილეობა „ქუჩიდან“ მოსულსაც შეუძლია.

ბოლოებში მხოლოდ 50 და 70 სმ³ მოცულობის მოტოროლერებით შეიძლება გამოსვლა, ამიტომ ე.წ. კრეისერული მოტოროლერები – მაქსი-სკუტერები, რომელიც ძალზედ დიდ სიჩქარეს ავითარებს, მხოლოდ ქალაქში შეგიძლიათ „აშლიდნით“;

მაქსი-სკუტერები 100-დან 250 სმ³ მოცულობის ძრავებით შეიძლება იყოს აღჭურვილი. საშიდელ წლის წინ SUZUKI-მ შეიმუშავა მოტოროლერი BURG-MAN-ი, რომლის ძრავის მოცულობა 400 სმ³-ს აღწევდა. წლეულს კი YAMAHA-მ 500 „კუბიანი“ ძრავა წარმოადგინა. ასეთი მოტოროლერები 4-5 წამში აღწევს 100 კმ/სთ-ის სიჩქარეს და ფასით ძვირად ღირებულ მოტოციკლებს უტოლდება – 6.000-დან 15.000 დოლარამდე. ასეთ სატრანსპორტო საშუალებას – ნებისმიერს, რომლის ძრავის მოცულობა 50 სმ³-ს აღემატება, საგზაო პოლიციაში რეგისტრაცია, მის მძღოლს კი – კატეგორიის მართვის უფლება ესაჭიროება. თუმცა ზოგი მაქსი-სკუტერი გარეგნულად ჩვეულებრივ, „50-იან“ მოტოროლ-

ერებს ისე ჰგავს, რომ მხოლოდ სპეციალისტი შეიძლება მიხედეს, რა სიმძლავრის ძრავით არის აღჭურვილი.

ბოლო ორი წლის მანძილზე მოტოროლერების მსოფლიო წარმოება ოთხჯერ გაიზარდა. სკუტერების მწარმოებელი მხოლოდ მოწინავე ფირმების რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს. თუმცა კონსტრუქციით სხვადასხვა კომპანიის მიერ გამოშვებული მოტოროლერები თითქმის არ განსხვავდება ერთიმეორისაგან, ძრავებს კი მათთვის ევროპაში მხოლოდ ორი ფირმა – FRANKO MORINI და MINARELLI აწარმოებს.

მსოფლიო ბაზარზე გამოსული საუკეთესო მოტოროლერების უმეტეს ნაწილს იტალიასა და იაპონიაში უშვებენ. და თუმცა იტალიურ სკუტერს მოძრაობისას რაღაც ნაწილები შეიძლება ჩამოსცვივდეს, ფირმის რეპუტაციაზე ეს არ მოქმედებს: იტალიელ მწარმოებელთა ღრმა რწმენით, მოტოროლერში ორი რამ არის მთავარი – ძლიერი ძრავა და ეფექტური იერი. რაც შეეხება იაპონურ მოტოროლერებს, ისინი დიდი საიმედოობითა და სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა და ძალიან შეკრულიც არის.

Yamaha Aerox 100



Dragster 50



Hyosung SF 50





ამიტომ, ნახმარი მოტოროლერის შეძენისას, საქმის მცოდნე ადამიანები იაპონურებს ამჯობინებენ ხოლმე.

YAMAHA-ს სკუტერები მთელ მსოფლიოში საუკეთესოდ არის აღიარებული, მარტივი ფორმულის – „ხარისხი + სისწრაფე“ მიხედვით. ბოლო მოდელი – YAMAHA SLIDER-ი სულ 72 კგ-ს იწონის და ძალზედ დიდი მანევრულობით გამოირჩევა: მასზე ბორდიურებზე „ხტომა“ და 180 გრადუსით ტრიალი შეიძლება. ამავე ფირმის AEROX-ი ჩქაროსნულ ტრასებზე სასიარულოდ უფროა გათვალისწინებული. ასეთი სკუტერების ფასი 2.600-დან 3.000-ს დოლარამდე მერყეობს. კრეისერული კლასის მოტოროლერი – MAJESTY კი, რომლის ძრავის სიმძლავრე 12-დან 21 ცხ. ძალამდე მერყეობს, – 4.500-დან 7.200 დოლარამდე აღწევს.

MALAJUTI-ს ყველაზე ფართო სამოდლო რიგი აქვს: ეს კომპანია „ყველგან-მავალსაც“ უშვებს, რეტრო-მოდელსაც და ბიზნეს-კლასის სკუტერებსაც. ბოლოდროინდელ სიახლეთაგან სხვადასხვა ქვეყნის მოტომოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფირმა ITALJET-ის მიერ გამოშვებული DRAGSTER-ი (ფასი – 2.600 დოლარიდან) და FORMULY (4.700 დოლარიდან), რომელიც 130 კმ/სთ-ის სისწრაფეს ავითარებს.

პოპულარულია აგრეთვე კორეის წარმოების სკუტერები, რომელთა შორის სამი ფირმა – HYOSUNG-ი, SYM-ი და DAELINY-ი გამოირჩევა. პირველ მათგანს SUZUKI-ში შექმნილი ძრავა და დიზაინი აქვს. სპეციალიზებულ ჟურნალებს თუ დავუჯერებთ, ტესტირებისას კორეულმა სკუტერმა TAKT-მა იაპონური წარმოების მოტოროლერებიც დაჯაბნა – არადა, კორეულები 2-3-ჯერ იაფია იაპონურებზე – 1.300-დან 2.200 დოლარამდე ღირს.

Yamaha Slider




აპოკალიფსი

გამორიცხული არ არის, რომ ახლო მომავალში აღარ შეგაწუხოთ გზაზე საცობების პრობლემამ: მგზავრობა სამსახურამდე ან აგარაკამდე ჰაერით იქნება შესაძლებელი, ოთხი ბორბლის ნაცვლად კი თქვენს ავტომობილს ოთხი რუკტიული ძრავა ექნება. ამაში სავსებით არის დარწმუნებული ამერიკელი გამომგონებელი პოლ მოლერი, სწორედ მან შექმნა მფრინავი ავტომობილი „სკაიკარი“. აპარატი, რომელიც კალიფორნიულმა კომპანიამ „მოლერ ინტერნეშენელმა“ ააწყო, საკმაოდ ადვილად სამართავია, ვერ-

ტიკალურად აფრენა და დაშვება შეუძლია, ჰაერში კი 560 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. ჯერჯერობით ეს ძვირი სიახლე მხოლოდ აპარატის აგება მილიონი დოლარი დაჯდა. მაგრამ „მილერი ინტერნეშენელის“ მესვეურები თვლიან, რომ მფრინავი ავტომობილის სერიული წარმოებისას მისი ფასი კარგი ჯიპისას გაუტოლდება – მათი ვარაუდით, დაახლოებით 50 ათასი დოლარი იქნება. თუმცა ეს ყველაფერი მომავალში მოხდება, ახლა „სკაიკარს“ წინ მრავალთვიანი საცდელი ფრენა ელის.


ქიზის კრეიატურა



წლიდან წლამდე კომპიუტერები სულ უფრო იაფდება, კომპაქტური და მოხმარებელთათვის მოსახერხებელი ხდება. მორიგი რევოლუციური გადაწყვეტა შეეხო ისეთ თითქოსდა კონსერვატიულ და ურყვე საგანს, როგორცაა კლავიატურა. გამომგონებელთა ცდების შედეგად, კლავიატურამ, რომელიც აქამდე არც იღუნებოდა და ზოგჯერ ზედმეტიც კი შეიძლება ყოფილიყო საწერ მაგიდაზე, ახლა ისეთი სახე მიიღო, რომელიც მის მფლობელს საშუალებას მისცემს დაახვიოს, გადაკიდოს სკამზე ან სულაც, კეისში შეჩურთოს. პორტატიული კლავიატურა დასავლეთში უკვე იყიდება კიდევ და 50 გირვანქა სტერლინგამდე ღირს.

თაბჯანო

სიახლეა კომპიუტერული მუსების „ოჯასშიც“ კორეულმა კომპანიამ EL-TOTELECOM გამოუშვა „თაგუნა“, რომელშიც ინტეგრირებულია სატელეფონო კლავიატურა და „ხმამაღალი კავშირის“ ფუნქცია. საუბრის დროს SPEAKERPHONE MOUSE-ი განაგრძობს „თაგუნას“ ფუნქციის შესრულებას, საპირისპირო შემთხვევაში კი – ტელეფონი მაშინაც მოქმედებს, როცა კომპიუტერი გამორთულია. ასე რომ, ძალიან მოსახერხებელი ხელსაწყოა, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც კომპიუტერზე მუშაობისას, ხშირად ესაჭიროება რაღაც ცნობების გადაცემა ან მიღება.



ვეგენი ცაგარეიშვილიმა ქუთაისის გიმნაზიის კურსდამთავრებული ვაჟი სწავლის გასაგრძელებლად, თბილისში რომ გამოუშვა, ერთი ვერცხლის კოვზი გამოატანა მხოლოდ. ოჯახს უჭირდა, სხვა არანაირი საშუალება არ გააჩნდა. ბიჭი უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, თუმცა ვერ დაასრულა. ერთადერთი, 19 წლის და, გარდაეცვალა ქლეჩით და მშობლებმა მოსწერეს: ჩამოდი, დასაკრძალავი ფული არ გვაქვსო... გავა დრო და უკვე ცნობილი რეჟისორი — დავით რონდელი სინანულით გაისხენებს იმ დუსჭირ წლებს: უნივერსიტეტის დამთავრება რომ დამცლოდა, ბედნიერი ვიქნებოდით... შვილებს კი სიამაყით უამბობს: ანდრია რაზმაძესთან სიცხიანმა ავადმყოფმა „ხუთიანი“ მივიღე, ისეთი მათემატიკის ნიჭი მქონდაო... ბავშვობის ოცნება — ვიოლინოზე დაკვრა აუხდენელი დარჩა ბოლომდე. რას იზამ, ცხოვრება არასოდეს ანებებდა...

მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო უნივერსიტეტიდან გამოსულმა, მთელი ენერჯია ლიტერატურის შესწავლას მოახმარა. რონდელიც მისი ლიტერატურული ფსევდონიმი გახლდათ, რომელიც თურმე მშობლიურ სოფელში — გოჩაჯიხაიში მდებარე ღელე — რონდოს გამო დაირქვა...

ღელეს, როცა დავით რონდელს ვახსენებთ ხოლმე, პირველ რიგში, ისე ვაცნობიერებთ, როგორც „დაკარგული სამოთხის“ რეჟისორს.

ლეა ჭიყაშვილი

„დაკარგული სამოთხე“ თავიდანვე უიღბლო ფილმი აღმოჩნდა: ჯერ იყო და, შუა გადაღებების დროს, 1936 წელს, რეჟისორი დაიბარეს და მთელი გადაღებული მასალის ჩვენება მოსთხოვეს. ფრენჩებში გამოწყობილი კომისიის წევრები ძალიან ოფიციალურად შეხვედნენ რონდელს. ჩვენება რომ დამთავრდა, ერთ-ერთმა განაცხადა: **Нас ввели в заблуждение...** რამდენიმე ღელეში დავით რონდელს გადაღებების გაგრძელების უფლება მისცეს... თურმე ხელისუფლებაში წერილი მიუღიათ რეჟისორის „მაკნებლური“ საქმიანობის შესახებ...

გავიდა ცოტა ხანი და ახლა ბერიამ დაიბარა დავით რონდელი. დამე იყო. პატარა ოთახში დახვდა „ცეკას“ პირველი მდივანი... შევიდა თუ არა დავითი, ჰკითხა: **Ты с кем?** რეჟისორი დაიბნა: **Я вас не понимаю, Лаврентий Павлович...** კარგი, კარგიო... და დაუწყია კინოს ირგვლივ საუბარი: რას შვრება შენი „დაკარგული სამოთხე“, როდის დამთავრებო? მოკლედ, საუბარი მშვიდობიანად დას-



„დაკარგული სამოთხის“ გადამღები ჯგუფი

დაკარგული სამოთხის შაძიებელი, შუშინებელი თაობის შვილი



დავით რონდელი (მარცხნივ) გადასაღებ მოედანზე

რულდა... ამჯერადაც გადარჩა ხელოვანი... დამთავრდა გადაღებები. ლავრენტის ფილმის ნახვა უნდაო და სასწრაფოდ დაამონტაჟეთო, — მოვიდა ბრძანება. ფილმის შეკვრა-დასრულება ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული: ჯერ ხმა ცალკე იყო და გამოსახულება — ცალკე. თავი მოიკლეს და მოამზადეს მოკლე ხანში საჩვენებლად ფილმი. კინოსტუდიაში, პატარა დარბაზში, დიდ სავარძელში ბერია მოკალათებულიყო. ჩვენების დროს დარბაზში ისეთი ხარხარი ატყდა, გარეთ მცველმა აღარ იცოდა, რა მოემოქმედებინა, თოფ-შემართული, დაბნეული იდგა და ვერ არჩევდა — ყვირილი გამოდიოდა დარბაზიდან თუ სიცილი... ბერიამ დავით რონდელი მიიხში. ჯერ, 10 წუთიანი მონაკვეთის ამოღება სთხოვა: იმ ეპიზოდში მძინარე ლაზარე სამოთხეში მოგზაურობდა... ერთი მხრივ, ამ პერსონაჟის წარმოდგენილი ყანწებიანი სამოთხე ამთარახებდა ქართველების მცონარობასა და გულარხეინობას... მეორეც, სამოთხეში დიდი წინაპრებიც იყვნენ, ჩვენი მეფეები, მამულიშვილები... სწორედ მათი დაკარგვა იგულისხმებოდა ფილმის სათაურშიც... აბა,

„სამოთხეში“ მცხოვრებ კომუნიზმის მშენებლებთან რა სამოთხის დაკარგვაზე შეიძლება ლაპარაკი?! არადა, ეს ის მონაკვეთი იყო, რომელიც ფილმის მხატვარმა, დავით კაკაბაძემ მთელი სულითა და გულით, თავისი ხელით გააფორმა, როცა სხვა ეპიზოდებზე ძირითადად მისი თანამემწე — ქრისტესია ლებანიძე მუშაობდა. სამოთხის ეპიზოდს განსაკუთრებული ამაგი დასლო კომპოზიტორმა ანდრია ბალანჩივაძემაც... მოკლედ, ეს იყო ყოველმხრივ საინტერესო, ფილმის დელაზრის მატარებელი კადრები... მაგრამ სხვა რა გზა იყო — უნდა ამოეჭრაო... ახლა ყველაზე დასანანი კი ის არის, რომ სამონტაჟოში სულ ცოტა ხნით დატოვებული ეს მონაკვეთი უგზო-უკვლოდ გაქრა, რითაც მისი აღდგენა საბოლოოდ გამოირიცხა...

მეორე შენიშვნაც ჰქონდა ამხანაგ ბერიას: ფილმის დასასრულში, პერსონაჟები ხელიხელჩაკიდებულები რომ მიდიან სადღაც, სად მიდიანო?! ადექით და იქ, შორს ქარხნის საკვამური გამოაჩინეთ, თორემ ჩვენი ჩრდილოელი ძმები იტყვიან — ამ ქართველებს სოფლის მეტი არაფერი უნახავთო... რეჟისორს სისხლი გაეყინა

მარტოებში, ძალიან არ უნდოდა ფინალის გაფუჭება, მაგრამ რა... იძულებული იყო, დილოში, აგურის ქარხნის მხრწოლავ მილთან ხელახლა გადაეღო ბოლო კადრები...

და კიდევ ერთი დიდი უიღბლობა „დაკარგული სამოთხისა“: ეს იყო პირველი ქართული ფილმი, რომელიც ექსპერიმენტულ ფორზე – პირველ საბჭოთა ფორზე გადაიღეს და როცა წლების შემდეგ აღდგენა მოინდომეს, ნახეს, რომ ნეგატივი ძალიანად დაშლილი იყო. მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოიძიეს ფირი, ერთ-ერთი, ოდნავ უკეთესად შენახული რუსული ვარიანტი ამოარჩიეს, თუმცა იმ ფორშიც ძალიან ბევრი რამ ცუდად ჩანდა. ამიტომაც აქვს აღდგენილ „დაკარგულ სამოთხეს“ რუსული ტიტრები.

ამბობენ, როცა ეს ფილმი დიდ ბეჭადს უჩვენეს, ზედიზედ სამჯერ მოინდომა ნახვაო. ბოლოს კი ასე ბრძანა თურმე: აი, ასეთებმა გამყიდეს საქართველოში...

პირველი ფილმი, სადაც უარყოფითი პერსონაჟი საბჭოთა მოქალაქე იყო, დავით რონდელის „ჩრდილი გზაზე“. სცენარის ავტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე გახლდათ. მისი დიდი მცდელობით გავიდა ფილმი, თორემ გაუთავებელი დავა მიმდინარეობდა მოსკოვსა და თბილისს შორის: როგორ შეიძლება, რაიკომის მდივანი ცუდი იყოს, ახალგაზრდა ქალი მოატყუოს – ეს წარმოუდგენელია! თანაც, შეიძლება, ცხვარი დაიღუპოს?!... მოკლედ, ამ „უმწვავესი“ საკითხების გამო მოსკოვიდან რამდენჯერმე ჩამოვიდა ცენზორი... „ჩრდილი გზაზე“ მოვლენად იქცა. დღეს, ამ სიტყვების წაკითხვისას, გაგვიძვრება, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. მარტო ერთი ფაქტიც კმარა სიტუაციის ნათელსაყოფად: კინოთეატრ „რუსთაველის“ შესასვლელში სტალინის დიდი ბიუსტი, დარბაზში ეკრანის ერთ მხარეს – სტალინის, მეორე მხარეს კი – ლენინის ქანდაკებები იდგა. მათ თავზე დიდი წითელი ლოზუნგები იყო გამოკრული: **Самое важное искусство для нас – кино. Ленин дал Самое массовое искусство – это кино. Сталин.**

დავით რონდელი მეამბოხე და მაქსიმალისტი არ ყოფილა, მკვეთრ პროტესტს არასოდეს გამოხატავდა, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა – ეს მისი სიყვარული გახლდათ, დიან, სიყვარული... დავით რონდელს ნინო ამირეჯიბი შეუყვარდა – თავადის ქალი, რომლის მამა – ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მხოლოდ იმიტომ გადაურჩა დახვრეტას, რომ... ადრე გარდაიცვალა კიბოთი, დედას – სამი უმადლესი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული: დრეზდენის, ლაიფციგის

და გრენობლის და ამ „ცოდვისთვის“ ისიც და მისი ვაჟიც გადაასახლეს და შემდეგ დახვრიტეს. ამ ოჯახის ქალიშვილს – ნინო ამირეჯიბს არ ჰქონდა სწავლის გაგრძელების უფლება, სამსახურშიც არავინ მიიღებდა, რომ არა კეთილი ადამიანების დახმარება: ლანა ლოლობერიძის დედამ, ქალბატონმა ნუცამ კინოსტუდიაში მოაწყო მემონტაჟედ, მაგრამ, სადაც არ უნდა ყოფილიყო, როგორც არ უნდა შეეზღუდათ, მისი ინტელექტუალური, დახვეწილი ბუნება მაინც იჩენდა თავს. პირველად ლიტერატურის ცოდნამ და სიყვარულმა დაახლოვა ერთმანეთს დავით რონდელი და მისი მომავალი მეუღლე. მერე დიდი სიყვარულიც ჩაისახა... ნინო ამირეჯიბზე დაქორწინებით, ცალი ფეხი სამარეში ჩადგა რონდელმა... ამბობენ, იყო პერიოდი, როცა ჩალაგებული ჩემოდნით ელოდებოდა გადასახლებას რეჟისორი...

ეს ამბავი კი ახალგაზრდა მეგობრისათვის – აკაკი ბაქრაძისათვის მოუყვლია (აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ აკაკი ბაქრაძეს რონდელი მას შემდეგ დაუმეგობრდა, რაც მან მწვავე კრიტიკული წერილი დაწერა მის მიერ გადაღებულ საბჭოთა წყობილების მაქება ფილმზე – „მწვერვალი დამპყრობნი“): „ესპანეთში სამოქალაქო ომი დამთავრდა, ფრანკომ გაიმარჯვა, რესპუბლიკა დამარცხდა. მაგრამ მღელვარება არ დამცხრალა. ყველა ხვედვარდა – იქ რაც მოხდა, ამას საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ყველა ცდილობდა ამ ამბის გაანალიზებას, მეც ვფიქრობდი. გამიხარდა, როცა ცენტრალურ კომიტეტში მიხმეს და დამავალეს – ესპანეთის ამბებზე, ილია ერენბურგთან ერთად, სცენარს დაწერეთ და ფილმს გადაიღებთო. ხშირად მიხდებოდა მოსკოვში ჩასვლა. ის-ის იყო, საქმე დასასრულს უახლოვდებოდა, რომ ერთ დღეს, კინოსტუდიის დირექტორმა გამომიძახა. ცივად შემხვდა, არც მომსალმებია, უკმეხად მითხრა: შენ დაბატიმრებული ხარ. ხვალ დილით, 9 საათზე სათანადოდ აღჭურვილი გამოცხადდები ჩემთან და სადაც ჯერ არს, იქ წაბრძანდები, ხმა კრინტი არ დასმინა და რაც გიბრძანე, უსიტყვოდ შეასრულო... თავზარდაცემული ვიდექი. მხოლოდ ერთი ფიქრი მიბურღავდა ტვინს – ოჯახში რა ვთქვა, ცოლს როგორ ვუთხრა-მეთქი?! მთელი დღე ქალაქში ვიხეტიალე. ვერაფერი მოვიფიქრე. როცა გვიან, შინ მივედი, გონება გამინათდა: მოსკოვში მივედივარ, ერენბურგთან. არავის დააეჭვებდა ეს. ყველა მიჩვეული იყო – წამდაუწუმ მოსკოვში გავრბოდი. დიდი ამბით გამამზადეს „სამოსკოვოდ“. სასტუმრო და სადღესასწაუ-

ლო ტანსაცმელი ჩავაწყვეთ ჩემოდანში. სადაც მაგზავნიდნენ, იქ რად მიწოდდა, მაგრამ ხომ ვერ ვიტყვოდი! შეწკიპული თოფივით ვიყავი დაჭიმული და საქმით დაკავებულ კაცს ვთამამობდი. გამოწკიპული-გამობრანჭული, დილაადრიან გამოვედი სახლიდან. ერთი კი მკითხეს გაკვირვებით – ასე ადრე სად გარბიხარო? დავარწმუნე – უამრავი საქმე მაქვს სტუდიაში და იქიდან პირდაპირ ვაგზავლზე გავალ-მეთქი. სტუდიის კართან რომ მივედი, რვა საათიც არ იყო, მე კი ცხრაზე ვიყავი დაბარებული. ეზოში შესვლა არ მიწოდდა, არც ვინმესთან შეხვედრა. კინოსტუდიის პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს, პატარა, ერთსართულიანი სახლი იდგა, თუხარელებისა. სახლს შემოღობილი ეზო ჰქონდა. იქ შევედი, მივიძალე და ლოდინი დავიწყე. დროის გაყვანას ვცდილობდი. თანდათან გაცოცხლდა პროსპექტი, ხალხით გაივსო. ჩემი სამალავიდან გამოსვლის დროც მოვიდა. ზანტად წამოვედი ქუჩისაკენ და რას ვხედავ... ორი კაცი ამოსდგომია მხარში ჩვენს დირექტორს და ჯიკავ-ჯიკავით მოაძუნძულებენ. საიდანაც, უცბად, შავი ავტოც მოვარდა. ნადირექტორალი შიგ შეაგდეს და ლანდებივით გაქრნენ. ერთხანს ვიდექი პირდაღებული, მერე შინ მოკვრცხლე. ჩემი დაჭერა აღარავის გახსენებია...

50-იანი წლების შუა პერიოდში დესტალინიზაცია დაიწყო. ერთმა ხელმძღვანელმა უთხრა თურმე დავით რონდელს: თქვენ ვერაფერს ვეღარ გააკეთებთ, – შეშინებული თაობა ხართო... შინ დაღონებული დაბრუნებულა რეჟისორი და უთქვამს: ალბათ მართალია – მართლა შეშინებული თაობა ვართო...

დავით რონდელი კინოკავშირის მეორე მდივანი იყო. ერთხელ საგზურები მოვიდა კინოკავშირში. 500 მანეთად შეგეძლო იტალიაში, ორი კვირით წასულიყავი ტურისტად. ოჯახში როგორც წესი, ფული არ ჰქონდა, მაგრამ შვილი შეჰპირდა – მაგ თანხას მე გადავიხდი, ოღონდ ასეთ შესანიშნავ წინადადებაზე უარი არ თქვაო. შეთანხმდნენ, რომ სალამოს სამსახურიდან საგზურს მოიტანდა. ის სალამოც დადგა. შვილმა – ალექსანდრემ შეამჩნია, რომ მამა საგზურის შესახებ არაფერს ამბობდა და პირდაპირ ჰკითხა: რა ქენი, აილე თუ არაო? არაო... რა დროს ჩემი იტალიაო...

ბატონი ალექსანდრე იხსენებს ამას და ამბობს: მართლა მოტეხილი თაობა იყო: საზღვარგარეთისადმი შიშის კომპლექსი 70-იან წლებშიც კი გამოჰყვათო...

1976 წელს გარდაიცვალა 72 წლიანად...

აპეზიაზი



თამარ მამასაშვილი

ამებიაზის სახელწოდებით ცნობილია ნაწლავთა დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია მსხვილი ნაწლავის წყლულოვანი დაზიანება, სხვადასხვა ორგანოში აბსცესის (ჩირქის კერების) განვითარება და ეს ყველაფერი ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობს. დაავადებას ერთუჯრედიანი პროტოზოზა – ჰისტოლიტიკური ენტამება იწვევს.

ინფექციის ძირითადი წყაროა ცისტების გამოყოფილი ადამიანი. ცისტა ამების უმოდრაო, გარსით დაფარულ ფორმას წარმოადგენს. ამებიაზის მწვავე პერიოდში ცისტები არ გამოიყოფა და ავადმყოფი ეპიდემიოლოგიურად საშიში არ არის. მაგრამ არასრულყოფილად ნამკურნალები ადამიანი ცისტების მატარებელი შეიძლება გახდეს და იგი წლების მანძილზე, განავალთან ერთად, გამოყოფს დიდი რაოდენობით ცისტას, რომელიც დიდხანს ძლებს გარემოში.

გადაცემის ფაქტორებიდან უპირველესად საშიშია ადამიანის ფეკალური მასით დასვრილი სასმელი და სამეურნეო წყალი. ცისტების გადაცემა ხდება აგრეთვე დაბინძურებული მწვანილითა და ხილით, საკვები პროდუქტებით, ჭუ-

ჭყიანი ხელებით, საოჯახო ნივთებით, ცისტებმატარებელთან კონტაქტით, ზაფხულობით – ბუხების მეშვეობით.

საჭმლის მომწელებელ სისტემაში მოხვედრილი ჰისტოლიტიკური ეტნამების ცისტის გარსი დაიშლება და ვეგეტაციური (გამრავლებისუნარიანი) ფორმები იწყებს გამრავლებას, ბრმა ნაწლავის ლორწოვან გარსში ჩანერგვას და ლორწოვან ქვეშა გარსში შეჭრას. ამ ადგილებში წარმოიქმნება ანთებითი კვანძები, რომელიც შემდგომში ღრმა წყლულებად გარდაიქმნება. დაწყებული პროცესი ბრმა ნაწლავიდან თანდათანობით ვრცელდება მსხვილი ნაწლავის დისტალურ (ქვედა) სეგმენტებზე სიგმოიდურ და სწორ ნაწლავამდე. მრავლობითი წყლულები განაპირობებს ისეთი სიმპტომების ჩამოყალიბებას, როგორცაა კოლიტი, სისხლის დნა, შენორცებები. სისხლის გზით ცისტების დისემინაციის (მოთესვის) შედეგად ფორმირდება მძიმე, ნაწლავგარეშე გართულებები: ღვიძლის, ფილტვების, თავის ტვინის და სხვა ორგანოთა აბსცესი (დაჩირქება). ყველაზე ხშირია ღვიძლის ამებური აბსცესი.

ნაწლავთა ამებიაზის ფარული პერიოდი 1-3 კვირას გრძელდება, ზოგჯერ – 3-4 თვესაც. დაავადება იწყება უმადობით, საერთო სისუსტით, დაღლილობით, შრომის უნარის დაქვეითებით, მუცლის ტკივილით. შემდეგ ვითარდება ფაღარათი (კუჭის აშლა). ენაზე თეთრი ნაღებია. პირველ დღეებში დეფეკაციის (კუჭის მოქმედების) სიხშირე დღე-ღამეში 3-5-ს აღწევს, განავალი თხელია, ლორწოს შემცველი, ძლიერ სუნიანი. ტკივილი ლოკალიზებულია ბრმა ნაწლავის არეში ან გაფანტულია. მდგომარეობა თანდათან მძიმდება, დეფეკაციის სიხშირე მატულობს 8-10-მდე დღე-ღამეში. განავალში სისხლი ჩნდება. ავადმყოფს ეწყება შემაწუხებელი ჭინთვები. 2-3 კვირის შემდეგ (მსუბუქ შემთხვევებში – უფრო ადრე) ავადმყოფის მდგომარეობა უმჯობესდება: დეფეკაციის და ჭინთვების სიხშირე მცირდება, ტკივილი ნაკლებინტენსიური ხდება, გა-

ნავალში სისხლი და ლორწო კლებულობს, ძილი უმჯობესდება, მადა მატულობს, საერთო მდგომარეობა ნორმალური ხდება.

არანამკურნალებ ან არასათანადოდ ნამკურნალებ ავადმყოფს სხვადასხვა ფაქტორის (ცუდი კვება, გაცივება, ავითამინოზი) გავლენით, თუ იგი ცისტების მატარებელი დარჩა, პერიოდულად ეწყება ამებიაზის გამწვავებები, რაც წლების განმავლობაში გრძელდება, ამას კი ნაწლავური და ნაწლავგარე სხვადასხვა სიმძიმის გართულებები მოსდევს. ნაწლავური გართულებებიდან აღსანიშნავია ღრმა წყლულით ნაწლავის კედლის გახვრეტა, რასაც პერიტონიტის განვითარება მოსდევს.


თუ ცისტა სისხლის გზით მოითესა ღვიძლში, შესაძლოა განვითარდეს ამებური ჰეპატიტი (ღვიძლის ანთებითი დაზიანება) ან ღვიძლის აბსცესი. ეს გართულებები იწყება მაღალი ტემპერატურით (39-40 გრადუსი), შემცივნებით, ოფლის დენით. ღვიძლი მნიშვნელოვნად დიდდება, მტკივნეული ხდება. აბსცესის დროს ზოგადი მდგომარეობა მძიმეა და პროგნოზი არასაიმედო.

ცისტების მატარებლობას ამებიაზის დროს არ ახასიათებს კლინიკური სიმპტომები.

ამებიაზის დიაგნოსტიკა ძირითადად ეყრდნობა განავლის მიკროსკოპულ გამოკვლევას. მასალა უნდა იყოს სრულიად ახალი (არაუგვიანეს 15 წუთისა დეფეკაციიდან).

ამებიაზის სამკურნალოდ იყენებენ ამებიციდურ პრეპარატებს: მეტრანიდაზოლს, ამბილჰარს, ტინიდაზოლს და სხვა.

ამებიაზის პროფილაქტიკისათვის საჭიროა სასმელი და სამეურნეო წყლის სანიტარული დაცვა. საეჭვო შემთხვევაში სასმელი წყალი გადაადუღეთ. ■



გაქვთ თუ არა დიფუზური ტოქსიკური ჩივივი?



1. ხართ თუ არა ალგზნებული?
2. გიჭირთ თუ არა ერთ საგანზე ყურადღების გამახვილება?
3. გაწუხებთ თუ არა გულის ფრიალი?
4. ამჩნევთ თუ არა თავს გადაჭარბებული სიცხის შეგრძნებასა და ოფლიანობას?
5. გჩვევიათ თუ არა კიდურების კანკალი?
6. ამჩნევთ თუ არა თავს კუნთების სისუსტეს?
7. გაწუხებთ თუ არა უძილობა?
8. გახასიათებთ თუ არა მრავალსიტყვაობა?
9. დაიკელით თუ არა ბოლო დროს წონაში?
10. გაქვთ თუ არა კრიალა (წყლიანი) თვალები?
11. ხომ არ ამჩნევთ, რომ თქვენი თვალის კაკლებმა წინ გამოიწია?
12. გაქვთ თუ არა თვალების წვა, ტკივილი, მასზე სიმძიმის შეგრძნება?
13. სარკეში ჩახედვისას შეგიძინევათ თუ არა, რომ თვალის ფერად გარსსა და ქუთუთოებს შორის ისახება ხოლმე



- სკლერის თეთრი ზოლი?
14. გაქვთ თუ არა აჩქარებული პულსი (90-ზე მეტი)?
 15. თვალთ შესამჩნევია ხომ არ არის ყელის არეში ფარისებრი ჯირკვლის გადიდება?
 16. ხომ არ გაქვთ ხოლმე დაბალი ტემპერატურა?
 17. გემართებათ თუ არა ფალარათი (კუჭის აშლა)?
 18. გაქვთ თუ არა მაღალი ზედა წნევა (140-160) და დაბალი ქვედა (დი-

ასტოლური) წნევა?
 19. იღლებით თუ არა ადვილად და გაქვთ თუ არა ქოშინი ფიზიკური დატვირთვისას?
 პასუხისთვის „დაიხ“ დაიწერეთ 1 ქულა; „არა“ – 0.

დააჯამეთ ქულები

16-19 ქულა: სასწრაფოდ მიმართეთ ენდოკრინოლოგს კონსულტაციისათვის და დიაგნოზის დასაზუსტებლად.
10-15 ქულა: პროფილაქტიკური გამოკვლევა არც თქვენ გაწყენთ. თუმცა დადებითი პასუხის ალბათობა თქვენთვის შედარებით ნაკლებია.
4-9 ქულა: თქვენ მიერ დაფიქსირებული ცალკეული სიმპტომები შესაძლოა სხვა დაავადებით იყოს გამოწვეული. უფრო კარგად დააკვირდით საკუთარ თავს და საეჭვო შემთხვევაში ექიმს მიმართეთ.
0-3 ქულა: ჯერჯერობით შეგიძლიათ მშვიდად იყოთ. მაგრამ ყურადღების მოღუწება ჯანმრთელობას არ უყვარს. პერიოდულად ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევები. ■

თუ ფეხი გიოფლიანდებათ

ფეხის ოფლიანობის დროს კარგ შედეგს მოგიტანთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული აბაზანა:

1. აიღეთ გამხმარი, დანაწევრებული მუხის ქერქი, დაასხით მღუღარე წყალი (ერთ წილ ქერქზე ათი წილი წყალი) და ხარშეთ თხუთმეტი წუთის განმავლობაში. ერთ ლიტრ ნახარშს დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი თაფლი და ათი გრამი არაყი. ათი დღის განმავლობაში, ყოველ საღამოს ფეხზე, მიღებული ნახარშის აბაზანები გაიკეთეთ.
- ნახარშის ტემპერატურა 30 გრადუსი უნდა იყოს. აბაზანის ხანგრძლივობა 20-25 წთ.
2. კარგ ეფექტს იძლევა ძმრიანი აბაზანებიც: 5 ლიტრ წყალში გახსნით ერთი ჩაის ჭიქა ღვინის ძმარი.

აბაზანის ტემპერატურა 35 გრადუსი უნდა იყოს. აბაზანის ხანგრძლივობა – 15-20 წთ.

3. შეგიძლიათ გაიკეთოთ წყალბადის ზეჟანგის აბაზანებიც: ერთ ლიტრ წყალში გახსენით ერთი სუფრის კოვზი წყალბადის ზეჟანგი. აბაზანის ტემპერატურა – 30-35 გრადუსი, ხანგრძლივობა – 15-20 წთ.
- სასურველია, აბაზანები გაიკეთოთ ყოველდღე ან დღეგამოშვებით მაინც. შეგიძლიათ გაიკეთოთ ერთი და იგივე აბაზანა, ან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი – მონაცვლეობით.
- აბაზანის მიღების შემდეგ ფეხი კარგად შეიმშრალეთ, წინდების ჩაცმის წინ თითებს შორის ცოტაოდენი კარტოფილის ფქვილი ან ტალკი მიიფრქვიეთ. ■





ბევრი ადამიანის ცნობიერებაში CNN-ი ორ რამესთან — ახალი ამბების ტელეგადაცემებთან და ლარი კინგის სახელთან არის ასოცირებული. ეს კაცი აგერ უკვე 16 წელია რეგულარულად გამოდის სახელგანთქმული კომპანიის ეკრანზე და, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში გაფრცვლებული არხის იმიჯს წარმოადგენს. კინგი სამართლიანად არის მიჩნეული ტელევიზიის ნამდვილ ვეტერანად: ამ ცოტა ხნის წინ მან თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობის 40 წლისთავი აღნიშნა. ამ ხნის მანძილზე ლარი კინგმა 30000-ზე მეტ ადამიანს ჩამოართვა ინტერვიუ.

ჰიპერსიესიკლი ინტელექტი

მის თოქ-შოუში მოხვედრა ძალიან საპატიოა. მის სტუდიაში პრაქტიკულად ყველა ქვეყნის პრეზიდენტი და მსოფლიოში სახელმწიფოებრივი ყველა ადამიანი ნამყოფი, მათ შორის: დალაი-ლამა, ბილ გეიტსი, ფრენკ სინატრა, ბარბრა სტრაიზანდი, მაღონა, მუჰამედ ალი, ელიზაბეტ ტელიორი. ცნობილია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა ლარი კინგს მიწვევაზე უარი უთხრეს: ეს ჟაკლინ კენედი ჩაიღინა.

გამოთქმა — „შეუცვლელი ადამიანი არ არსებობს“ ლარი კინგს ნაკლებად ენება, რადგან ის მართლაც უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს. აშშ-ში თოქ-შოუსა თუ სხვა სატელევიზიო პროექტს ხანგრძლივი დღე არ უწერია: ჩვეულებრივ, ის 5 წელიწადზე მეტხანს „არ მუშაობს“. ამ თვალსაზრისით, კინგმა ყველა რეკორდი მოხსნა. მისი პროგრამის დებიუტი 1985 წელს შედგა და იმ დღიდან მოყოლებული დღევანდლამდე, ნებისმიერ რეიტინგში ის უცვლელად ზღვება უმაღლეს საფეხურებზე. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის, რომ 1998 წელს CNN-ის მეპატრონემ ტედ ტერნერმა კიდევ 5 წლით დაულო მას კონტრაქტი, რომლის თანახმად, წელიწადში 7 მლნ დოლარი უნდა გადაუხადოს ხელფასის სახით. თუმცა ტელევიზიის კვლავი კიდევ რადიოშიც და ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ამერიკულ გაზეთში — USA TODAY-შიც მუშაობს.

ამობენ, ლარი კინგს განსაკუთრებული ინტუიცია აქვს და ის ძალიან ზუსტად „გრძნობს“ თანამოსაუბრეს. ზოგჯერ გადაცემის სტუდია სტომატოლოგის კაბინეტს მოგაგონებთ, რომელიც ბორმანქანით ბურ-

ღავს თავისი სტუმრის „მტკივან კბილს“. ამიტომ ხშირად საუბარი გადაცემის მონაწილის გამოცდას ემსგავსება ხოლმე. თუმცა, როგორც თავად ლარი ამბობს, ის არასდროს ისახავს მიზნად თანამოსაუბრის დაბნევას ან დამცირებას.

ის ცდილობს, მოკლე კითხვები დასვას და ერიდება კითხვებს, რომლებიც იწყება სიტყვებით — „რატომ...“ ან „როგორ მოახერხეთ...“ ყველაზე მეტად ადამიანებს ის აკვირვებთ, რომ კინგი ახერხებს, როგორც თანასწორს ისე ელაპარაკოს პოლიტიკურ მოღვაწესაც, შოუბიზნესის წარმომადგენელსაც და ნობელის პრემიის ლაურეატსაც. ის მუდამ კომპეტენტურია. მისი განსწავლულობა და ღრმა ცოდნა სპეციალისტებსაც კი აოცებთ. ეს მით უფრო გასაოცარია, რომ „ყოვლისმცოდნე“ კინგი არც ერთი დღე არ მჯდარა საუნივერსიტეტო აუდიტორიაში...

ბრუკლინელი ბიჭი

მისი ნამდვილი სახელია ლარი ცვიგერი. დაიბადა 1933 წლის 19 ნოემბერს ნიუ-იორკის ებრაულ კვარტალში — ბრუკლინში. მამამისი ბარის მეპატრონე იყო, დედა — რუსი ემიგრანტი — მთლიანად შვილების აღზრდით იყო დაკავებული. ცვიგერთა ოჯახი ძალიან მეგობრულად ცხოვრობდა. ლარი ძალიან კონტაქტური ბიჭი ყოფილა და დღემდე ინარჩუნებს თბილ ურთიერთობებს ბავშვობის დროინდელ მეგობრებთან როცა მის გარშემო მყოფ მოზარდებს ამერიკის პრეზიდენტობა და ბეისბოლის ვარ-



სკვლავობა აბოღებდათ, ლარი რადიოს წამყვანის კარიერაზე ოცნებობდა. ის ხშირად ბაძვლა რადიოშიღობში გაგონილ დიქტორთა ნმებს და ხან საფეხბურთო მატჩის კომენტატორად, ხან ღისკყოკედ და ხანაც ახალი ამბების გადაცემის წამყვანად წარმოედგინა თავი...

როცა ბიჭი 9 წლისა იყო, მოულოდნელად მამა გარდაეცვალა და იმ მომენტიდან ცაიერთა ოჯახს უსიამოვნებათა ხანა დაეწყო. ლარისა და მისი უმცროსი ძმის ფეხზე დაყენების მთელი სიმძიმე დედას დააწვა. ორი წელიწადი ისინი უმუშევართა შეშვებით ცხოვრობდნენ...

მამის სიკვდილმა საგრძნობლად იმოქმედა ლარის სწავლაზე. ერთხელ საქმე სკოლიდან მის გარიცხვამდეც კი მივიდა. ბოლოს და ბოლოს, ბიჭმა მანც მიატანა დამამთავრებელ კლასამდე, თუმცა „სამოსნის“ ატესტატი მანცდამანც კარგ მომავალს ნამდვილად არ უქადა.

სკოლის შემდეგ ყველა მისმა თანაკლასელმა, სწავლის გასაგრძელებლად, კოლეჯებს მიაშურა, ლარიმ კი რძის დამტარებლად დაიწყო მუშაობა. მაშინაც კი, ყველას არწმუნებდა, რომ აუცილებლად გახდებოდა რადიოს წამყვანი. ახლო მეგობრები ურჩევდნენ, ციდან ჩამოსულიყო და უფრო რეალურ პროფესიაზე ეფიქრა.

იმ ფირმის კანტორა, რომელშიც ლარი მსახურობდა, მესამე სართულზე იყო, იმავე შენობის მეოცე სართულზე კი ცნობილი რადიოსადგური იყო განთავსებული. ლიფტში შესული ყმაწვილი დროდადრო სპეციალურად დააჭერდა ხოლმე ხელს მეოცე დილაკს და სანამ ლიფტი მოძრაობდა, წარმოიდგენდა, რომ მართლაც მეოცე სართულზე მუშაობდა და არა მესამეზე...

ამერიკელებს უყვართ ანდაზა: „ცხოვრებაში ერთხელ იღბლის ცხენი ყველას ჩაურბენს ახლოს, მაგრამ ყველა როდი ახერხებს, ზურგზე შეახტეს მას“. ლარიმ ეს მოახერხა. ერთხელ, შემთხვევით, ის ტელერადიოკომპანია CBS-ის თანამშრომელს გადაეყვარა და მან ურჩია, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო მაიამიში, რადგან ნიუ-იორკში რადიოში მოხვედრის არანაირი შანსი არ არსებობდა. მაიამიში კი იმ დროს მიყოლებით იხსნებოდა პატარა დამოუკიდებელი რადიოსადგურები, რომლებიც პერსპექტიულ ახალგაზრდებს იღებდნენ სამუშაოდ.

ახალი ცხოვრება მაიამიში

მაიამიში ლარი მთელი დღეები რადიოსადგურებში სიარულით იყო დაკავებული. ერთ-ერთი მათგანის მთავარი მენეჯერი მარშალ საიმონდსი მოიხიბლა ყმაწვილის ერთუზიანობითა და შეუპოვრობით და მისი გასინჯვა გადაწყვიტა: ახალი ამბების გამოშვება წააკითხა მიკროფონში. „კარგი დიქცია და ჟღერადი ხმა გაქვს, — უთხრა საიმონდსმა, — მაგრამ ამჟამად ვაკანსია არ გვაქვს. თუ გინდა, შეგიძლია სტუდიის დამლაგებლად დარჩე და როგორც კი ადგილი გათავისუფლდება, აგიყვანო“. ლარი სისხარულით ცას ეწია.

რამდენიმე თვის მანძილზე ის ყოველდღე დადიოდა რადიოში სტუდიის დასალაგებლად, თავისუფალ დროს კი ესწრებოდა ბენიბოლის მატჩებს და აკვირდებოდა, როგორ უძღვებოდნენ რეპორტაჟს კომენტატორები, კითხულობდა ახალი ამბების გამოშვებებს, ვარჯიშობდა დიქციის დასაყენებლად. „ეს ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღეები იყო: ესოდენ ძლიერ ოცნების განხორციელებას არ მივახლოებივარ!“ — იგონებდა შემდგომ კინგი.

სანატრელი მომენტი, ბოლოს და ბოლოს, დადგა. ერთ-ერთი დისკოკეი მიდიო-

და სტუდიიდან და ლარის დილის ეთერის წაყვანა შესთავაზეს. „მთელი დამე არ მიძინა, ასეთი მღელვარება არასოდეს განმიცდია, — ჰყვებოდა მოგვიანებით ლარი. — წინა საღამოს საიმონდსმა დამირეკა და მითხრა: რაღაც უნდა მოგუხერხოთ შენს გვარს — ის არანაირად არ უხდება რადიოს წამყვანსო... მერე რაღაც ცნობარი გადამალა და მისი მხერა სპირტიანი სასმელების კინგის მაღაზიაზე შეჩერდა. „კინგის“ თაობაზე რას იტყვიო? — მკითხა. კარგად ჟღერს, თანაც, რაც მთავარია, ადვილი დასამახსოვრებელია-მეთქი“.

ასე დაიბადა ლარი კინგი. „დილა მშვიდობისა! მე ლარი კინგი მქვია და ეს ჩემი პირველი დღეა რადიოში“ — ასე დაიწყო თავისი რადიოდებიუტი 22 წლის ლარიმ, რომელიც მალე შეიყვარეს მსმენელებმა — საუბრის უშუალო მანერის გამო, რომელიც მან დღემდე შეინარჩუნა. ეს გარემოება მალე შეაფასეს სხვა რადიოსადგურის პროდიუსერებმაც, რომლებმაც გასართობი დილის შოუს გაძლიოდა შესთავაზეს.

ახალი შოუ რაღაცით გამორჩეული უნდა ყოფილიყო. ლარის თავში საუცხოო იდეა მოუვიდა: პირდაპირი რეპორტაჟები ებრაული სასადილოდან. თავიდან ის ოფიციალტებსა და შემთხვევით კლიენტებს ესაუბრებოდა, გადაცემის ხიბლი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ინტერვიუები სპონტანური და ამიტომ ძალიან ცოცხალი იყო. ერთხელ კი სასადილოში იმ დროს ცნობილი მომღერალი შევიდა. მასთან ჩაწერილი ინტერვიუ ძალიან უშუალო და მხიარული გამოვიდა, ამის შემდეგ კი სასადილოს ბეგრმა ცნობილმა ადგილობრივმა ადამიანმა მიაშურა. ცხადია, თითოეულ მათგანს ლარი ესაუბრებოდა. შოუმ პოპულარობით ყველას გადააჭარბა ფლორიდაში. 1960 წელს სატელევიზიო ინტერვიუს მომავალ მეფეს, უკვე ლამის გადაცემის წაყვანა შესთავაზეს, თანაც — ტელევიზიაში...

სწრაფად მზარდმა პოპულარობამ ლარის ცუდი სამსახური გაუწია: ის მეტისმეტად მფლანგველი გახდა, უამრავ ფულოს ხარჯავდა რესტორნებსა და კაზინოებში და 70-იანი წლების დასაწყისში ვალებში ჩაეფლო. მდგომარეობა ერთმა უსიამოვნო ამბავმაც დაუმძიმა, რომელიც საეჭვო რეპუტაციის მეწარმესთან იყო დაკავშირებული. ლუის ვოლფსონი, რომელსაც პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ცდილობდა, კინგის საშუალებით მოეგვარებინა თავისი პრობლემები. ლაპარაკობდნენ, თითქოს კინგს მისთვის პრეზიდენტ ნიქსონთან შეხვედრა უნდა მოეწყო. შეხვედრა, ცხადია, არ შემდგარა, მაგრამ გაზეთებმა საკმე გაბუქეს და სრულიად წარმოუდგენელი ინფორმაცია გაავრცელეს.



პირდაპირი ეთერი მაღონასთან...



... ბანდერასთან და პოპკინსთან...



... მონიკა ლევისნისკისთან...



...მარლონ ბრანდოსთან...



... სარა ფერგიუსონთან და კიდევ 30 ათას ადამიანთან...



რადიკალიზაცია

მთელ კაცთა მოდემას ერთი ანჩხლი ქალი ჰყოლია: ყოველ მამაკაცს ის თავისი ცოლი ჰგონია.

გოტპოლდ ებრაიმ ლესინგი

ვიტემ ბრძანა: „ვისაც დილით უნდა მტერზე გამარჯვება, ის საწოლში სამხრობამდე არასოდეს არ დარჩება“.

„გუდრუნი“

თავს სინანული სჯობია ბოლოჟამ დანანებასა –

ჭირს მყოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლის ვნებასა.

დავით გურამიშვილი

ვისაც სურს ჯარის გაწყობა, ბევრი რამ უნდა დაიკლოს.

ადილეური აფორიზმი

ქვეყნად არ მეგულება უკეთესი სამოსელი, ვიდრე კუნთების ფოლადი და ჯანსაღი კანი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ექვს ნამდვილ მეგობარს? ასე წელი უნდა!

მტერს და ორგულს შეიძენ დღეში სამოცს თუნდაც.

საადი

არასოდეს არ ძვერა, რომ ღვთაებრივს ეზიარება ის, ვისაც ეშინია მიწიერი ტანჯვისა.

ჯორდანო ბრუნო

ვით ფუტკარი წუწნის ყვაილს, შენც აგროვე სიბრძნის მადლი!

ყვაილობა რომ გაავლის, შენ შეგრჩება ნექტრის თაფლი.

ვილჰელმ მიულერი

ლარი კინგმა მყისიერად დაკარგა ყველა სამსახური, მისი საბანკო ანგარიში კი საბოლოოდ დაცარიელდა.

სამი წელი „მაიამელ დეენილად“ დადიოდა. არავის, მთელი ფლორიდის შტატში, არ სურდა სამუშაოდ მიეღო გაფუჭებული რეპუტაციის ჟურნალისტი. ლარის მაიამიდან წასვლა მოუხდა. როგორმე ვალებს რომ გამკლავებოდა, ნებისმიერ სამუშაოზე თანხმდებოდა და, საბოლოოდ, მწარე გამოცდილება მისთვის სასიკეთოდ შემობრუნდა: მომხდარმა მას ბევრ საკითხზე სხვა თვალთ შეახედა და ცხოვრებისეულ პრინციპებზე ჩააფიქრა. „მამინ თავს შეეფიცე, რომ არასოდეს ვისესხებდი ფულს, რათა ყოველი სატელეფონო ზარის გაგონებისას ელეთ-მელეთი აღარ მომსვლოდა...“ – იგონებდა შემდგომ ლარი.

ბოლოს და ბოლოს, სკანდალი დავიწყებას მიეცა და ლარი კვლავ იხმეს ტელევიზიაში. მან სრული რეაბილიტაცია მიიღო მყურებლებისგან და არასოდეს აღარ გაუშეორებია ძველი შეცდომები. იმ დროისთვის, როცა ტედ ტერნერმა სამუშაოდ თავის CNN-ში მიიწვია, ლარი კინგი უკვე უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ადამიანად ითვლებოდა.

აჭიმიანი კაცი

1985 წელს CNN-ის ეთერში დაიბადა აჭიმიანი ინტელექტუალის სახე, აჭიმი კი ლარი კინგის სავიზიტო ბარათად იქცა. უმაღლეს პოპულარობას მისმა პროგრამამ 1992-93 წლებში მიაღწია, როდესაც პრეზიდენტობის კანდიდატთა პოლიტიკური დებატების საყვარელ ასპარეზად იქცა. ბევრი სპეციალისტი იმდროინდელ მოვლენებს ისტორიულსაც კი უწოდებს. მაგრამ იმისათვის, რომ შენი მოღვაწეობა ისტორიად აქციო, დაუღალავად უნდა იშრომო. სწორედ ასე იქცევა ლარი კინგი: ის ყოველდღე უძღვება პირდაპირ ეთერში ტელე და რადიოგადაცემებს, უქმებშიც არ ისვენებს, რადგან შაბათობით მიმდინარე კვირის მოვლენების ტელემომხილვას აკეთებს. ის დღესაც თავდავიწყებით არის შეყვარებული თავის საქმეზე.


რაც შეეხება თავისუფალ დროს, ლარი კინგი მას მთლიანად ერთ საქმეს ანდომებს – ის ქორწინდება: ქორწინებათა რაოდენობით ზომ მხოლოდ ელიზაბეტ ტელიორს ჩამორჩება. ალბათ ლარი იმ მამაკაცების კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, ვინც, შეიყვარება მთელი ცოლი, უმაღლესად მო-ჰყავს იგი. ასეთი ქალი მის ცხოვრებაში ექვსი იყო...

პირველად ის მამინ დაქორწინდა, როცა სკოლა სულ ახალი დამთავრებული ჰქონდა, მაგრამ ის ქორწინება ძალზედ ხანმოკლე აღმოჩნდა. მეორე ცოლთან – ელენ ეკინსთან ლარიმ ორჯერ სცადა ოჯახის შექმნა. „დაიხანაძღვილად ჰიპერსექსუალური მამაკაცი ვარ და ძალიან მიყვარს ქალები. ამას ვერაფერს ვუხერხებ!“ – სიცილით ამბობს ლარი კინგი.

ოთხი წლის წინ მან მეშვიდედ მოიყვანა ცოლი. მისი რჩეული ამჯერად ტელეწამყვანი შოუნ საუსეიკი აღმოჩნდა, რომელიც 26 წლით არის ქმარზე უმცროსი. მასთან შეუღლების პერიოდში ლარი გულმა შეაწუხა, ამიტომ ხმაურიანი ქორწილი არ გამოუვიდათ, თუმცა ცერემონია, ახლობელთა ვიწრო წრეში, მაინც შედგა – სამედიცინო ცენტრში.

შარშან წვეილს მეორე შვილი შეეძინა. საერთოდ, ჟურნალისტებმა ზუსტად ვერა და ვერ დაადგინეს, რამდენი შვილი ჰყავს ლარის: ზოგი ამტკიცებს, რომ – ხუთი, ზოგი კი ექვსს ასახელებს...

ახლა ლარი 68-ე წელშია და, ჩანს, პენსიაზე ჯერ არც ფიქრობს. ალბათ შეიძლება, მას ბედნიერი კაცი ვუწოდოთ, რადგან ყველაზე სანუკვარი ოცნებები აუნდა. „სამუშაო ჩემთვის ყველაფერია, – ამბობს კინგი. – მე ვიცნობდი ექიმებს, რომლებსაც მობეზრდათ მედიცინა, შეეხვედრივარ ადვოკატებს, რომლებსაც ყელში ამოუვიდათ ოურისპრუდენტია. მაგრამ მსგავსი რამ არასდროს მსმენია ტელევიზიის მუშაკებისგან. იმის წარმოდგენაც არ შემიძლია, რისთვის უნდა მომეკიდა ხელი, გარდა ჟურნალისტობისა“.



ლარი კინგის მეშვიდე ცოლია, მასზე 26 წლით უმცროსმა კოლეგამ შოუნ საუსეიკმა გელეინგერვიუს მეფეს უკვე ორი შვილი აჩუქა

კვირის (18 - 24 ივნისი) ასპროლოგიური პროგნოზი

პარეზიზი - 22/V-21/VI



ეს კვირა ძალიან შესაფერისია გაბეღული და შესაძლოა, ავანტიურისტული გადაწყვეტილებებისთვისაც კი. რაც უფრო აქტიური და ენერგიული იქნებით, მით უფრო მეტს მიაღწევთ. ფორტუნა თქვენს მხარეს არის. თუმცა კვირა დღეს უმჯობესია, მაინც დაისვენოთ, სასურველია - უახლოესი მეგობრების წრეში.

პირნიზი - 22/VI-22/VII



სავსებით შესაძლებელია, რომ კრედიტორებმა ძველი ვალის დაბრუნება მოეთხოვონ, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ეს უსიამოვნებაც აგცდეთ. კვირის შუა პერიოდში ყველაფერი საუცხოოდ აგეწობათ, აი, კვირის ბოლოსთვის კი დიდი ყურადღების გამოჩენა გმართებთ: გამორიცხული არ არის, რომ რაღაც უსიამოვნება შეგემთხვევთ.

ლომი - 23/VII-23/VIII



ეცადეთ დიდი დაკვირვებით აკეთოთ ყველა საქმე და მაქსიმალურად დაიზღვიოთ თავი შეცდომებისგან: ამ კვირაში ბევრი ისეთი რამის კეთება მოგიწევთ, რაც წინ დაგზვდება. თქვენი ენერგიულობა და აქტიურობა აღმავლობით ვითარდება, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ მეტისმეტი დატვირთვა ჯერ მაინც არ ღირს.

ქალწული - 24/VIII-23/IX



რომელიმე თქვენი ნათესავისა თუ თანამშრომლის დასასვენებლად წასვლა დამატებით დაგტვირთავთ. შეიძლება ეს, კვირაში ერთი-ორჯერ ყვავილების მორწყვითაც შეძიოფარგლოს, თუმცა არც სამსახურშია გამორიცხული ორმაგად დატვირთვა. სამაგიეროდ, ნებისმიერი მსგავსი „განსაცდელი“ დიდი სიკეთით დაგაბრუნდება.

სასწორი - 24/IX-23/X



ეს კვირა ფრიად სასიამოვნო პერსპექტივას გიქადით. არც, ისეთი მოგზაურობაა გამორიცხული, როგორც გეცხშირად გიოცნებიათ. ასეც რომ არ მოხდეს, ბევრი სასიამოვნო და დასამახსოვრებელი შეხვედრა გელით. თანაც, ახლა დამყარებულმა კონტაქტებმა შეიძლება დიდი ფინანსური წარმატება მოგიტანოთ.

ღრიანკალი - 24/X-22/XI



გამახვილებული ინტუიცია სამსახურში წარმოქმნილი რთული სიტუაციების შეფასებასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. თუმცა, არც გამოცდილი, ბრძენი კოლეგების რჩევები გაწყენთ, ამიტომ ნუ ითაკლებთ, ჭკუას დაეკითხოთ მათ.

მევიღობანი - 23/XI-21/XII



ეს კვირა ბევრ სიხარულს მოგიტანთ - როგორც ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ისე სამსახურში მიღწეული წარმატებით. კვირის შუა პერიოდში სიფრთხილე გამოიჩინეთ და ნურც ხანგრძლივ გარიგებებს დადებთ. უქმეებში სილამაზისადმი დიდ ლტოლვას იგრძნობთ და თუ მუხეუმში ან თეატრში ვერ წახვალთ, საინტერესო წიგნი მაინც წაიკითხეთ.

თხის რქა - 22/XII-20/I



ამ კვირაში უამრავი პრობლემა გეჩნებათ. ამასთან დაკავშირებით ბევრს ვერაფერს გირჩევთ: ეცადეთ, დაღლილობა გარშემომყოფებისადმი გალიზიანებით არ გამოხატოთ. და კიდევ - ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

მარწყული - 21/I-19/II



თუ აქამდე სასიყვარულო „ფორტუნა“ დაგვიტოვდათ პრობლემები, ახლა ზუსტად ის დრო დგება, როცა აქტიურ იერიშზე უნდა გადახვიდეთ. თქვენი მიზმიდევლობა და სექსუალურობაც კი საკმაოდ გაძლიერდება. ამიტომაც საპირისპირო სქესის წარმომადგენლები მზად იქნებიან, საკმაოდ ადვილად დაჰყენენ თქვენს ნებას.

თევზი - 20/II-20/III



ამ კვირაში რაღაცის ნულიდან დაწყება მოგიწევთ. ეს შეიძლება იყოს სამსახური ან კიდევ, იმ ადამიანთან ურთიერთობის შეცვლა, რომელიც დიდად არ გეხატებათ გულზე. იოლ ცხოვრებას ნუ ელით. გაითვალისწინეთ, რომ სხვისი აზრის მოსმენა და საკუთარისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, თქვენი უმთავრესი კოზირებია.

მარტი - 21/III-20/IV



თქვენი ნიშნისათვის საკმაოდ ხელსაყრელი პერიოდი დგება. მოჭარბებული კომუნიკაბელურობა და მომხიბლავი გაველინა ადამიანებთან თქვენს დაახლოებას შეუწყობს ხელს. ამ ყოველივეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენი კარიერისთვის.

მკობი - 21/IV-21/V



დროა, სერიოზულად მოჰკიდოთ ხელი საკუთარ ფინანსურ საქმეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე ამ თვის ბოლოს სერიოზული პრობლემები გაგიჩნდებათ. გაგიკვირდებათ და, ფინანსური პრობლემებისთვის და საერთოდ, საქმიანი მოლაპარაკებისთვის ყველაზე ხელსაყრელი თქვენთვის უქმეები იქნება. შესაძლოა, რომელიმე წვეულებაზე ახალი პარტნიორი ან თქვენი მომავალი სპონსორი გაიცნოთ.

სართოში არაა მომჯირონე?

აღნიშნული ტესტის კითხვებზე პასუხის გაცემით შეძლებთ დაადგინოთ, მფლანგველი ხართ, მეტისმეტად ძუნწი თუ ოჯახის ბიუჯეტს აზრიანად და ეკონომიურად ანაწილებთ.

1) გინევთ თუ არა ორისამი საქმის ერთდროულად დაწყება, თუ გრძნობთ, რომ ვერც ერთს ვერ მიიყვანთ ბოლომდე?

- ა) იშვიათად - 1;
- ბ) ხშირად - 0;
- გ) არასოდეს - 2.

2) ხელფასის აღებისთანავე ყიდულობთ თუ არა ძვირადღირებული ნივთებს, თუ იცით, რომ შემდეგ ფული აუცილებლად შემოგაკლდება?

- ა) არასოდეს - 2;
- ბ) ყოველთვის - 0;
- გ) ხანდახან - 1.

3) თუ ლამაზი ტანსაცმელი მოგეწონებათ, შეგიშლით თუ არა მის შექმნაში ხელს ნივთის სიძვირე?

- ა) ხანდახან - 1;
- ბ) არასოდეს - 0;
- გ) ყოველთვის - 2.

4) თუ ოჯახში რაიმე ნივთი გაგიფუჭდათ (მაგალითად, მიქსერი, მაგნიტოფონი), რა გირჩენიათ — მისი შეკეთება თუ ახლის შექმნა?

- ა) ყიდულობთ ახალს - 0;
- ბ) გააჩნია, რა დაჯდება შეკეთება - 2;
- გ) თავად შეაკეთებთ ნივთს - 1.

5) თუ წინდა დაგვხათ, როგორ მოიქცევით?

- ა) გაკერავთ - 2;
- ბ) გადაადგებთ - 0;
- გ) მეორე წყვილს ინახავთ: იქნებ გამოგადგეთ - 1.

6) გაქვთ თუ არა ჩვევად სახლში უქმად ანთებული ნათურის ან ჩართული გაზქურის გამორთვა?

- ა) ყოველთვის არა - 0;
- ბ) არასოდეს - 1;
- გ) ყოველთვის - 2.

7) ტელეფონზე მხოლოდ საქმეზე საუბრობთ თუ უბრალოდ, ბაასი გიყვართ?

- ა) როგორც წესი, მხოლოდ საქმეზე - 2;
- ბ) გიყვართ ტელეფონზე საუბარი - 0;
- გ) სიტუაციის მიხედვით - 1.

8) შეგიძლიათ თუ არა რამდენიმე მარტივი საქმის ერთდროულად კეთება?

- ა) დიახ - 2;
- ბ) არა - 0;
- გ) საქმეზეა დამოკიდებული - 1.

9) თუ შინ ძველი გაზეთები დაგიგროვდათ, როგორ იქცევით?

- ა) ყრით - 0;
- ბ) აბარებთ მაკულატურაში - 2;
- გ) ყურადღებას არ აქცევთ და დასტა სულ უფრო იზრდება - 1.

10) გაქვთ თუ არა ჩვევად საჭიროზე მეტი პურის შექმნა?



- ა) დიახ - 0;
- ბ) არა - 2;
- გ) ხანდახან - 1.

11) ბოლომდე შეიქცევით თქვენს თევზზე მოთავსებულ საჭმელს თუ მისი დატოვება გიყვართ?

- ა) ხანდახან ტოვებთ - 1;
- ბ) არასოდეს არ ტოვებთ - 2;
- გ) ყოველთვის ტოვებთ - 0.

12) სათუთად ემყრობით თუ არა ტანსაცმელს და ფეხსაცმელს?

- ა) დიახ - 2;
- ბ) არა - 0;
- გ) ყოველთვის არა - 1.

13) უფრო ხილდებით თუ არა სხვის ნივთებს?

- ა) არა - 0;
- ბ) დიახ - 1;
- გ) უფრო მეტად, ვიდრე საკუთარ ნივთებს - 2.

დააჯამეთ მიღებული ქულები

20-26 ქულა: ზედმეტად ხელმომჭირნე ადამიანი ხართ, ყველაფრის კარგად აწონ-დაწონა გიყვართ. ცდილობთ, დღევანდელი დღით იცხოვროთ, სახვალის საქმის გადადება არ გიყვართ.

13-19 ქულა: ფულის უქმად ფლანგვა არ გიყვართ, მაგრამ დროდადრო გიყვართ ხელგაშლილობის დემონსტრირება.

6-12 ქულა: საკმაოდ მფლანგველი ადამიანი ხართ.

ხანდახან ფიქრობთ, რომ მეტი ეკონომიურობა გმართებთ და საკუთარ თავს აუცილებელ ნივთებზეც უარს ეუბნებით, შემდეგ კი ცდილობთ, „დანაკარგი“ აინაზღაუროთ.

0-5 ქულა: უზრუნველი, მფლანგველი ადამიანი ხართ, ძალიან ქარაფშუტულად ექცევით არა მარტო ფულს, არამედ ყველაფერს, რასაც კი მატერიალური ღირებულება აქვს.



მესამე ჯახნავადი მსოფლიოში

სწორედ ასე მოინსენიებენ ბოლო წლებში ავსტრალიაში ჰომოსექსუალისტებს, რომლებიც ამ ქვეყანაში ძლიერ მომრავლდნენ და აგერ უკვე 23 წელიწადია რეგულარულად ატარებენ გრანდიოზულ კარნავალს სიდნეიში. მონაწილე „გეებისა“ და ლესბოსელთა რაოდენობით ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჯარო დღესასწაულია და

პრაქტიკულად, მხოლოდ რიო-დე-ჟანეიროს სახელგანთქმულ კარნავალსა და ახალი ორლეანის ჯახის კარნავალს ჩამოუვარდება. „გეების“ სანახავედ, საერთო ჯამში 500 ათასამდე მაყურებელი იყრის თავს, მათ შორის – 12 ათასამდე უცხოელი ტურისტი. შესაბამისად, ღონისძიებას დიდი შემოსავალიც მოაქვს ახალი სამხრეთ უელსის შტატის ბიუჯეტისათვის. ორგანიზატორთა გამოთვლებით, კარნავალის დროს თითოეული ტურისტი დღეში საშუალოდ 200 დოლარს ხარჯავს სოლმე, სულ კი ბოლო ზეიმმა 20 მლნ დოლარზე მეტი მოუტანა ხაზინას.

ხოჭოებს გადასახადებისგან გათავისუფლებაც შესძლებიათ

ჯორჯიის (აშშ) უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმი იშვიათი მწერების უნიკალური კოლექციით სამართლიანად ამაყობს. აღსანიშნავია, რომ ის მთლიანად კერძო პირთა შეწირულობების წყალობით დაგროვდა. არც ერთი მწერი, თავად უნივერსიტეტის თანამშრომლებსა თუ სტუდენტებს არ დაუჭვრიათ. საინტერესოა ისიც, რომ კოლექცია ყოველწლიურად ივსება – ე.ი. მოყვარულ ენტომოლოგთა რიცხვი არა და არ კლებულობს. მაგრამ მათ ენთუზიაზმს დიდი მატერიალური სტიმულიც

ჰქონია: მწერების მრეკებლები, ისევე, როგორც ნებისმიერი ქველმოქმედი მოქალაქე, თურმე საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ. ამდენად, ყოველწლიურად, დეკლარაციების შევსების დროს (მაის-ივნისი), უამრავი ადამიანი ხოჭოებითა და ჭრიჭინობელებით დატვირთული, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტისკენ მიემართება...



სიმსუქნე თვითმფრინავით მგზავიობასაც უშლის ხელს

შტატისტიკის მოყვარული ამერიკელები, პრაქტიკულად, ყოველ წელს მსუქანი ადამიანების რაოდენობის მატებას აფიქსირებენ. უამრავ პრობლემას შორის, რომელიც მიმეწონოსნებს ცხოვრებას უმწარებს, ამას წინათ კიდევ ერთი გამოიკვეთა: მგზავრობა თვითმფრინავით, რომლის სავარძლები მათ გაბარიტებს ვერ აკმაყოფილებს. ერთმა აზოვანმა ქალბატონმა – სინტია ლუთერმა ამის გამო ავიაკომპანიის თანამშრომლებს თავისი უკმაყოფილება გაუზიარა, რაზეც ამერიკული სერვისისთვის ერთობ უჩვეულო პასუხი მიიღო: კეთილი ინებეთ და ორი ბილეთი შეიძინეთო. ამით აღშფოთებულმა კლიენტმა SOUTHWEST AIRLINES-ს სასამართლოში უჩივლა, მაგრამ ამჟამად ლოს-ანჯელესის სასამართლომ ამჯერად კომპანიის მხარე დაიჭირა.

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა კობა დავითაშვილმა. ვულოცავთ ბატონ კობას და ვუსურვებთ წარმატებებს!

გულ(რ)ახდილნი

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაფარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიგრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (19 ივნისის) 13 საათამდე.



**„ფანტაზია“
გულ(ჩ)ახდილნი**



**„ფანტაზიორებს
მკითხველი“**

**მე გაზაფხულივით
მოგეპარე...**



36
6 / 23

კრემი სკინორენი

სარკვესავით კრიალა კანი



სამკურნალო
საშუალება
თქვენი
კანისთვის

